

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ადვაძე

უარყოფის პრაგმატული ასპექტები სხვადასხვა სისტემის ენებში
(ქართული და ინგლისური ენების მასალაზე დაყრდნობით)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის (1005)

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: მანანა რუსიეშვილი - პროფესორი

ნუნუ გელდიაშვილი - პროფესორი

თელავი

2015

სარჩევი

შესავალი	4
თავი I	
უარყოფის კვლევა ლინგვისტიკაში	13
თავი II	
უარყოფის გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში	32
§1. უარყოფის გამოხატვის საშუალებები ენის სისტემური ელემენტების დონეზე ინგლისურ ენაში	33
§1.1. უარყოფითი აფიქსები და აფიქსაციით წარმოებული უარყოფითი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ ენაში	34
§1.2. უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები ინგლისურ ენაში	41
§2. უარყოფის გამოხატვა სინტაქსის დონეზე ინგლისურ ენაში	51
§2.1. ლიტოტესი	66
§2.2. ორმაგი უარყოფა	70
§3. უარყოფის გამოხატვა დისკურსის დონეზე ინგლისურ ენაში	76
§3.1 ფარული (იმპლიციტური) უარყოფა ინგლისურ ენაში	77
§3.2 ფარული (იმპლიციტური) პოზიტივი ინგლისურ ენაში	82
§3.3. ექსპლიციტური უარყოფის ილოკუციური ფუნქციები ინგლისურ ენაში	84
თავი III	
უარყოფის გამოხატვის საშუალებები ქართულ ენაში	103
§1. უარყოფის გამოხატვის საშუალებები ენის სისტემური ელემენტების დონეზე ქართულ ენაში	103
§1.1. უარყოფითი აფიქსები და აფიქსაციით წარმოებული უარყოფითი ლექსიკური ერთეულები ქართულ ენაში	104
§1.2. უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები ქართულ ენაში	107
§2. უარყოფის გამოხატვა სინტაქსის დონეზე ქართულ ენაში	112

§2.1. ორმაგი უარყოფა ქართულ ენაში	117
§3. უარყოფის გამოხატვა დისკურსის დონეზე ქართულ ენაში	120
§3.1. ფარული (იმპლიციტური) უარყოფა ქართულ ენაში	120
§3.2. ფარული (იმპლიციტური) პოზიტივი ქართულ ენაში	122
§3.3. ექსპლიციტური უარყოფის ილოკუციური ფუნქციები ქართულ ენაში	123

თავი IV

ნაწილაკებით გამოხატული უარყოფა ენებში	135
§1. „არ“, „ც“, „არც“, „კი“ ნაწილაკებითა და მათი კომბინაციებით გამოხატული უარყოფა ქართულ ენაში	141
დასკვნა	157
ლიტერატურა	162
წყაროები	174

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია უარყოფის, როგორც ენობრივი ფენომენისა და ლინგვისტური კვლევის საგნის შესწავლა. უარყოფა უნივერსალური ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა, მაგრამ სხვადასხვა ენას მისი გამოხატვის განსხვავებული საშუალებები აქვს: ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური), კონტექსტუალური ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილია ნეგაციის გამოხატვის საშუალებები ორი განსხვავებული სისტემის მქონე ენების (ინგლისური და ქართული) საფუძველზე. შესწავლილია უარყოფის ფუნქციის პრაგმატული ასპექტები მხატვრული ლიტერატურის ტექსტობრივ მასალაზე დაყრდნობით და გაკეთებულია მათი შეპირისპირებითი ანალიზი.

უარყოფის განსაზღვრებათა მიხედვით ენის სეგმენტი, რომელსაც ფუნქციურად და სტრუქტურულად უკავშირდება უარყოფა, არის სინტაქსური სეგმენტი, ხოლო მისი შესაბამისი ძირითადი ერთეული კი – წინადადება [Падучева, 1990].

აღნიშნული დეფინიციის ავტორები არიან ლინგვისტები, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების პირველ ეტაპს, როცა ლინგვისტურ აზროვნებას ჯერ კიდევ წარმართავდა კვლევის სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმა და რომლის ფარგლებში უმაღლეს სტრუქტურულ ერთეულად მიჩნეული იყო წინადადება.

ლინგვისტიკის თანამედროვე ეტაპზე უარყოფა უნდა დაუკავშირდეს არა სინტაქსს და წინადადებას, როგორც სინტაქსის ძირითად სტრუქტურულ ერთეულს, არამედ დისკურსს, როგორც ენობრივი სისტემის კომუნიკაციური აქტუალიზაციის უშუალო შედეგს და დისკურსით წარმოდგენილი უმაღლესი დონის ენობრივ ერთეულს – ტექსტს.

უარყოფის, როგორც ტექსტთან დაკავშირებული პრობლემის აქტუალობა, შეიძლება დავასაბუთოთ ორი არგუმენტით. პირველი არგუმენტი ატარებს ლოგიკურ

ხასიათს და ემყარება იმ პრინციპს, რომ უარყოფა (ისევე როგორც მტკიცება) წარმოადგენს აზრობრივ ქმედებას, რომელიც აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს აზროვნების ენობრივი ფორმის უმაღლეს და ცენტრალურ ერთეულს. მეორე არგუმენტი კი უშუალოდ დაკავშირებულია თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული განვითარების სადღეისოდ დომინანტურ ეტაპთან - ანტროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარდიგმასთან.

ამ ეტაპზე, როდესაც დომინირებს ანტროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმა, ენის უმაღლეს რანგობრივ ერთეულად მიიჩნევა სწორედ ტექსტი/დისკურსი. აქედან გამომდინარე, ¹“უარყოფის მოქმედების სფეროდ” (scope of negation) უნდა მივიჩნიოთ არა წინადადებისათვის განმსაზღვრელი პრედიკაცია, არამედ მიმართებათა ის სისტემა, რომელიც დამახასიათებელია მთლიანად ტექსტისათვის (დისკურსისათვის).

ასეთი ფორმულირების საფუძველზე საჭიროა გაიმიჯნოს წინადადება და ტექსტი, რომელიც ძნელია გაკეთდეს მექანიკურად. ზოგადად, წინადადება არის ტექსტის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, მაგრამ შესაძლებელია იყოს ისეთი კონტექსტიც, როდესაც სწორედ წინადადება შეასრულებს მთელი ტექსტის ფუნქციას.

უარყოფის კვლევისას ტექსტზე აქცენტის გადატანა ლოგიკურად გულისხმობს თვით ტექსტის დაკავშირებას დისკურსის ფენომენტთან, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს უარყოფის, როგორც ენობრივი მოვლენის არა მხოლოდ ტექსტობრივ, არამედ, ასევე, პრაგმატულ ასპექტში განხილვას. უარყოფის კვლევასთან ჩვენ მიერ უკვე დაკავშირებული ამოცანები შეიძლება გადაჭრილ იქნეს მხოლოდ თანამედროვე

¹“უარყოფის მოქმედების სფეროდ” (scope of negation) არის უარყოფითი ლექსიკური ერთეულის სემანტიკური გავლენა შესაბამისი წინადადების შემადგენელ ელემენტებზე ანუ სემანტიკური დომენი, რომელსაც უარყოფა მიეკუთვნება. [Hidalgo-Downing, 2000: 45]

²პრაგმატიკის ისეთ პრინციპზე დაყრდნობით, როგორცაა ინტერსუბიექტურობის პრინციპი.

თუ უარყოფას განვიხილავთ, უპირველესად, როგორც ენობრივ ფენომენს, იგი უნდა გავიაზროთ კომუნიკაციურ ასპექტში. მისი ამგვარი გააზრება კი გულისხმობს, რომ უარყოფა (ისევე როგორც მისი ანტიპოდი – მტკიცება) ხდება არა რომელიღაც აბსტრაქტულ სივრცეში, არამედ კომუნიკაციურ სივრცეში, ე.ი. ორ სუბიექტს, ანუ ადრესანტსა და ადრესატს შორის. ასეთი მიდგომის საფუძველზე პრიორიტეტული ხდება ისეთი საკითხები, როგორცაა: სამეტყველო აქტი, ადრესანტის ინტენცია, მეტყველებითი ზემოქმედება, კომუნიკანტების ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული სირთულეები, სამეტყველო გარემოს თავისებურებები, წარუმატებელი კომუნიკაციის მიზეზები, სამეტყველო აქტის კომუნიკაციური სტრატეგიები, ტაქტიკა და ა.შ.

ანტროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის საფუძველზე კვლევა არ გამორიცხავს აღნიშნული საკითხის განხილვას ენის სისტემურ დონეზე, რაც მოცემული ნაშრომის ფარგლებში გულისხმობს უარყოფის გამოხატვის საშუალებების სისტემატიზაციას ინგლისურ და ქართულ ენებში და შემდგომ, ამის საფუძველზე,

²ტერმინი პრაგმატიკა ტრადიციულად გამოიყენება სემიოტიკის სამიდან ერთ-ერთი დარგის აღნიშვნისთვის (სემიოტიკასა და სინტაქტიკასთან ერთად). თანამედროვე ლინგვისტიკაში იგი ენას განიხილავს და შეისწავლის მომხმარებლის კუთხით, კერძოდ, განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა: ადრესანტის არჩევანი, პრობლემები ენის სოციალურ ასპექტში მოხმარების პროცესში, კომუნიკაციის აქტში მონაწილეებზე ენის გამოყენების ეფექტი. პრაგმატიკა აქცენტს აკეთებს სემანტიკის, სოციოლინგვისტური და ექსტრალინგვისტურ კონტექსტს შორის არსებულ „სფეროზე“. მაგრამ ამ დომენებთან საზღვრები ჯერ არ არის ზუსტად დადგენილი. პრაგმატიკა მოიცავს დეიქსისის (გამონათქვამის სიტუაციური ასპექტები, კონტექსტი), საუბრის იმპლიკაციის (კოპერაციის პრინციპის საფუძველზე გამონათქვამის ფორმიდან დასკვნის გაკეთება), პრესუპოზიციის (ადრესანტის მიერ ნაგულისხმები მნიშვნელობა), სამეტყველო აქტებისა და დისკურსის სტრუქტურის ასპექტებს. [Crystal, 2011: 379]

ტექსტში/დისკურსში ილოკუციური აქტების საფუძველზე მათი პრაგმატული ფუნქციების განსაზღვრას.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულია უარყოფის გამოხატვის საშუალებების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში სემანტიკურ, სინტაქსურ და სამეტყველო აქტების დონეზე. მათ შორის განხილულია ორმაგი უარყოფის თავისებურებები ქართულ ენაში, ორმაგი უარყოფის სინტაქსური კატეგორიები ლინგვისტიკაში, ლიტოტესი, როგორც უარყოფის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება, იმპლიციტური (ფარული) უარყოფის გამოხატვის საშუალებები სემანტიკურ, სინტაქსურ და დისკურსის დონეზე, ინგლისურ ენაში უარყოფითი პოლარული ელემენტები და ამის საფუძველზე სავარაუდო უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულები ქართულ ენაში, უარყოფასთან ასოცირებული და უარყოფის გამაძლიერებელი ლექსიკური ერთეულები ქართულ და ინგლისურ ენებში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად ხორციელდება უარყოფის სისტემის შემუშავება ქართულ ენაში და უარყოფის შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში. უარყოფის კვლევასთან ჩვენ მიერ უკვე დასახული ამოცანები გადაჭრილია თანამედროვე პრაგმატიკის ისეთ პრინციპებზე დაყრდნობით, როგორცაა ინტერსუბიექტურობის ენობრივი პრინციპი, ადრესანტის ინტენცია, სამეტყველო აქტის ილოკუციური მნიშვნელობა.

ანალიზისათვის გამოყენებულია ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი მხატვრული ლიტერატურა.

ნაშრომის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დისკურსის დონეზე ნეგაციის განმსაზღვრელი და მასთან ასოცირებული ერთეულების სისტემატიზაცია და შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში. კერძოდ:

1) დისკურსში ნეგაციის გამომხატველი სისტემური დონის ლექსიკური ერთეულების სისტემატიზაცია ქართულ და ინგლისურ ენებში და მათი შეპირისპირებითი ანალიზი;

2) ნეგაციის, როგორც სამეტყველო აქტის, ფუნქციები ტექსტში/დისკურსში და თითოეულის ილოკუციური მნიშვნელობის განსაზღვრა ინგლისური და ქართული მხატვრული ლიტერატურის ტექსტებრივი მასალის მაგალითზე;

3) ნეგატიური რეაქციის სამეტყველო აქტების კლასიფიკაცია ინგლისურ და ქართულ ენებში;

4) “ც”, “კი”, “არც” და “არ” ნაწილაკების ფუნქციები დისკურსში, ამ ნაწილაკებით გამოხატული უარყოფითი სამეტყველო აქტების კლასიფიკაცია პრაგმატული თვალსაზრისით და მათი შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურ ენასთან;

5) თითოეული ტიპის ნეგატიური რეაქციის სამეტყველო აქტის ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურის აღწერა ინგლისურ და ქართულ ენებში;

6) ნეგაციის გამაძლიერებელი საშუალებების ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში.

კვლევის მეთოდი. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

შერჩევის მეთოდი, რომლის საფუძველზე საანალიზო ტექსტებიდან ხდება ნეგატიური ფრაზების გამოყოფა. მასალად გამოყენებულია ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი ლიტერატურა შესაბამისი თარგმანებით.

აღწერითი მეთოდი, რომლის საფუძველზეც ხდება საანალიზო ტექსტებში მოძიებული უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებების კლასიფიკაცია და დახასიათება. პირველ ეტაპზე, სისტემურ დონეზე გამოყოფილი იქნა დისკურსში ნეგაციის გამომხატველი ლექსიკური და სინტაქსური საშუალებები ინგლისურ და ქართულ ენებში და აიგო შესაბამისი ველები;

მეორე ეტაპზე გაკეთდა უარყოფითი და უარყოფასთან ასოცირებული ლექსიკური ერთეულების შემცველი ფრაზების ანალიზი პრაგმატული კუთხით, კერძოდ, განისაზღვრა განსხვავება უარყოფის გამოხატვის ექსპლიციტურ (აშკარად, დაუფარავად, არაორაზროვნად გადმოცემული/გამოხატული აზრი) და იმპლიციტურ (ფარულად, ნაგულისხმები, ორაზროვნად გადმოცემული/გამოხატული აზრი) საშუალებებს შორის ქართულ და ინგლისურ ენებში, გაკეთდა ფრაზების ანალიზი

²ილოკუციური ფუნქციის/ძალის (illocutionary force) მიხედვით და შეიქმნა შესაბამისი ველები (ქართულ და ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან მოძიებული მასალის საფუძველზე).

საანალიზო ტექსტების მიხედვით შესრულებული ნაშრომის ფარგლებში განისაზღვრა უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ლექსიკურ, სინტაქსურ და ტექსტის/დისკურსის ფარგლებში.

შედარების მეთოდი. ჩატარდა შეპირისპირებითი ანალიზი ქართულ პირველწყაროსა და შესაბამის თარგმანს შორის. დადგინდა უარყოფის ტრანსფორმაციის თავისებურებები ქართულ და ინგლისურ ენებში.

დისერტაციის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ პირველად არის შესწავლილი უარყოფის ენობრივი ფენომენი ქართულ ენაში თანამედროვე ანტროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში, შესწავლილია ნეგაციის პრაგმატული ასპექტები და მისი შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურ ენასთან.

დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ნეგაციის ენობრივი ფენომენის შიდა და ენათაშორისი ინვენტარიზაცია დისკურსის დონეზე იძლევა უარყოფის ახლებურად გააზრების საშუალებას ზოგად თეორიულ ასპექტში და ქართულ და ინგლისურ ენებში მისი შეპირისპირებითი ანალიზის საშუალებას. იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, სალექციო-სასწავლო კურსებზე, ენის შემსწავლელების მიერ. იგი ასევე ხელს შეუწყობს ლინგვისტიკისა და, ზოგადად, ფილოლოგიის დარგის განვითარებას/სიღრმისეულ შესწავლას.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და

³ილოკუცია/ილოკუციური აქტი - ტერმინი, რომელიც გამოიყენება სამეტყველო აქტების თეორიაში იმ ქმედების აღსანიშნავად, რომელიც ხორციელდება მთქმელის მიერ გამონათქვამის ფორმირებისათვის. ილოკუციური აქტის/ილოკუციური ძალის მაგალითებია: პირობა, ბრძანება, მოთხოვნა და ა.შ. [Crystal, 2011: 236]

დასკვნითი ნაწილისაგან. დისერტაციას თან ერთვის გამოყენებული თეორიული ლიტერატურისა და წყაროების/მხატვრული ნაწარმოებების სია.

ნაშრომის **პირველი თავი** არის უარყოფის კვლევის ისტორია, რომელიც, პირობითად, დაყოფილია სამ პერიოდად: უარყოფის კვლევა დაწყებული ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსებით, რომლებიც უარყოფას, ძირითადად, განიხილავდნენ ფილოსოფიური და ლოგიკური კუთხით, თუმცა, გარკვეულწილად, მაინც მოხდა უარყოფის ლინგვისტურ ჭრილში განხილვაც. მეორე ეტაპზე უარყოფის ფენომენით დაინტერესება გრძელდება ფილოსოფიასა და ლოგიკაში, მაგრამ ამასთან ერთად მე-20 საუკუნეში დაიწყო უარყოფის როგორც ლინგვისტური პრობლემის კვლევა. მას საფუძველი დაუდო დანიელმა ლინგვისტმა ოტო იესპერსენმა. ამ პერიოდში შესწავლილ იქნა უარყოფის სხვადასხვა ასპექტები დაწყებული მორფოლოგიიდან უარყოფის ლოგიკური ასპექტებისა და ტიპოლოგიური კვლევებით დამთავრებული. ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ლინგვისტური კვლევის სფეროში.

ამ ეტაპზე ლინგვისტურ კვლევებში შეინიშნება ორი განსხვავებული მიმართულება: (1) უარყოფის კვლევა ლოგიკური ასპექტით, რომელიც არ გამორიცხავს ენობრივი ასპექტების კვლევას; (2) უარყოფის ტიპოლოგიური კვლევა: გამოიკვეთა უარყოფის, როგორც მტკიცებასთან განუყრელად დაკავშირებული ფენომენის ენობრივი ასპექტი, ე.ი. დაიწყო უარყოფის, როგორც ლინგვისტური პრობლემის, ინტენსიური კვლევა. უარყოფის ლინგვისტური ასპექტი დაუკავშირდა წინადადებას, რომელიც იქცა უარყოფის მოქმედების სფეროდ, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა მის შინაგან კავშირს პრედიკაციასთან.

ლინგვისტური კვლევის მესამე ეტაპზე ხდება ენობრივი დიქტომიის გათვალისწინება, უარყოფის ფენომენი განიხილება როგორც სისტემურ, ასევე დისკურსის დონეზე, პრაგმატულად განპირობებულ ინტერსუბიექტურ და ტექსტობრივ სივრცეში. ტექსტის კვლევა ხდება სამეტყველო აქტების დონეზე. ტექსტოცენტრული მიდგომის თანახმად, ენა განიხილება როგორც დისკურსი და არა როგორც ცალკეული წინადადება. ტექსტის ლინგვისტიკა ენას განიხილავს კომუნიკაციის ფორმით (წერითი

თუ ზეპირი), ხოლო ანალიზისათვის იყენებს ფრაზაზე და წინადადებაზე დიდ სტრუქტურულ ერთეულებს. სამეტყველო კომუნიკაციის მინიმალურ ერთეულად მიღებულია სამეტყველო აქტი.

მეორე თავში განხილულია უარყოფის გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში ენის სისტემური ლექსიკური ერთეულების, სინტაქსის და დისკურსის/ტექსტის დონეზე. ნეგაცია დისკურსში შესწავლილია სამეტყველო აქტების ფარგლებში, განისაზღვრა ნეგაციის ილოკუციური მნიშვნელობები და ის ლექსიკური და სინტაქსური საშუალებები, რომლებიც მათ ფორმირებაში დაეხმობენ მონაწილეობას. გაკეთდა ინგლისურში ნეგაციის გამოხატვის საშუალებების სქემა, რომელმაც მოიცვა გამოხატვის როგორც ექსპლიციტური საშუალებები, ასევე იმპლიციტურიც. ინგლისურ ენაში უარყოფის სქემატურმა გამოხატვამ მოგვცა ვექტორი, რომელზეც ლექსიკური ერთეულები ლაგდება მზარდი უარყოფითობით.

მესამე თავში განხილულია უარყოფის გამოხატვის საშუალებები ქართულ ენაში ენის სისტემური ლექსიკური ერთეულების, სინტაქსის და დისკურსის/ტექსტის დონეზე. ნეგაცია დისკურსში შესწავლილია სამეტყველო აქტების ფარგლებში, განისაზღვრა ნეგაციის ილოკუციური მნიშვნელობები და ის ლექსიკური და სინტაქსური საშუალებები, რომლებიც მათ ფორმირებაში დაეხმობენ მონაწილეობას. გაკეთდა ქართულში ნეგაციის გამოხატვის საშუალებების სქემა, რომელმაც ასევე მოიცვა ექსპლიციტური და იმპლიციტური გამოხატვის საშუალებები.

მეოთხე თავი ეძღვნება ნაწილაკებით გამოხატულ უარყოფას ზოგადად ენებში და, კონკრეტულად, არ, ც, არც და კი ნაწილებით გამოხატულ უარყოფას ქართულ ენაში და მის შეპირისპირებით ანალიზს ინგლისურთან.

დასკვნა მოიცავს კვლევის შედეგებს. წარმოდგენილია უარყოფის ფუნქციური ასპექტები ქართულ ენაში, უარყოფითი ნაწილაკებისა და მასთან კოლოკაციაში მყოფი ნაწილაკებს ფუნქციები პრაგმატული კუთხით, მათი შეპირისპირება ინგლისურ ენასთან. ინგლისურ ენაში ნეგაციის წარმოებაში რაოდენობრივად უფრო მეტი ლექსიკური ერთეული მონაწილეობს ვიდრე ქართულში. ქართულ ენაში უარყოფითი

სემანტიკური მნიშვნელობის ერთეულები რაოდენობრივად ნაკლებია. თუმცა ისინი ნეგაციას აწარმოებენ სხვა დამხმარე ლექსიკური ერთეულების საშუალებით, რომლებსაც დამოუკიდებლად უარყოფითი სემანტიკა არ გააჩნიათ. უარყოფის გამოხატვის მრავალფეროვნება ქართულში მიიღწევა არა იმდენად რაოდენობრივი საშუალებებით, რამდენადაც ნეგაციაში მონაწილე ერთეულების ტრანსპოზიციით, რაც გულისხმობს, რომ ქართულ ენაში შესაძლებელია სინტაქსის დონეზე ლექსიკური ერთეულების ტრანსპოზიცია, რომელიც სემანტიკურ განსხვავებას იძლევა დისკურსის/ტექსტის დონეზე.

ნაშრომი მთავრდება გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ჩამონათვალით.

უარყოფის კვლევა ლინგვისტიკაში

უარყოფით დაინტერესების მიზეზი მრავალია: იგი გვხვდება ყველა ენაში, არსებობს მისი გამოხატვისა და ინტერპრეტაციის სხვადასხვა საშუალება, დაკავშირებულია ენის ბევრ ასპექტთან, მისი საშუალებით შესაძლებელია ბევრი სინტაქსური და სემანტიკური მექანიზმებისა და მათ შორის არსებული კავშირების ახსნა.

უარყოფის კვლევა პარადიგმული მოდელის მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად: პირველი ეტაპი არის ანტიკური ეპოქა, როდესაც უარყოფა განიხილებოდა როგორც ფილოსოფიური და ლოგიკური პრობლემა. ანტიკური პერიოდის საბერძნეთის ეელელი ფილოსოფოსები, ისევე როგორც ადრინდელი ინდოელი ბუდისტები უარყოფის კვლევას უკავშირებდნენ “არარას” მეტაფიზიკასა და ონტოლოგიაში [Бондаренко, 1983: 7-19].

ლინგვისტიკის ჭრილში უარყოფის საკითხი წამოყენებული იყო პლატონის მიერ ნაწარმოებში “სოფისტი”. დიალოგში განხილულია სხვაობა “უარყოფასა” და “განსხვავებულს” შორის. ამასთან ერთად, უარყოფითი გამონათქვამები ითვლება ნაკლებ ღირებულად, ვიდრე მტკიცებითი, ვინაიდან ნაკლებ კონკრეტული ან ნაკლებ ინფორმატიულია [პლატონი, 2013].

არისტოტელესთან უარყოფის კვლევამ ონტოლოგიის სფეროდან ენასა და ლოგიკაში გადაინაცვლა. არისტოტელეს უარყოფის კონტრარული და კონტრადიქტორული დაპირისპირება არის ფსიქოლინგვისტების კვლევის ერთ-ერთი მთავარი თემა. უარყოფის საკითხი არისტოტელემ პირველად წამოჭრა “ორგანონში”, რომელშიც განხილულია კონტრარულ-კონტრადიქტორული უარყოფა, უარყოფა კვანტორებითა და მოდალობით, მესამე გამორიცხვის კანონი [Аристотель, 1976]. ნაშრომში “კატეგორიები” იგი უკვე გამოყოფს ოპოზიციების ოთხ სახეს:

- (1) კორელაცია (ურთიერთდამოკიდებულება);
- (2) კონტრარულობა;
- (3) ჩამორთმევა (რაიმეს დაკარგვა);
- (4) კონტრადიქტორულობა (მტკიცება-უარყოფა) [Аристотель, 1978].

მეორე ეტაპი: უარყოფის ფენომენით დაინტერესება გრძელდება ფილოსოფიასა და ლოგიკაში. უარყოფის, როგორც ლინგვისტური პრობლემის, კვლევა, ძირითადად, უკავშირდება მე-20 საუკუნეს. მას საფუძველი დაუდო დანიელმა ლინგვისტმა ოტო იესპერსენმა, რომელმაც შეისწავლა უარყოფის სხვადასხვა ასპექტები მორფოლოგიიდან დაწყებული უარყოფის ლოგიკური ასპექტებისა და ტიპოლოგიური კვლევებით დამთავრებული. მისი კვლევები შეეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც ამჟამად შეისწავლება ენის პრაგმატული კვლევის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს უარყოფის ფუნქციების შესწავლას დისკურსში. ო. იესპერსენი განიხილავდა მრავალჯერად უარყოფას, უარყოფის, როგორც ჩვეულებრივი და მარკირებული ფენომენისა და სკალარული ფენომენის ინტერპრეტაციის საკითხებს, განსხვავებას ზოგად უარყოფასა (sentential/nexal negation) და კერძო უარყოფას (constituent/special negation) შორის [Jespersen, 1917].

ყველა ენაში უარყოფის გამოხატვას მოსდევს კონტრასტი უარყოფით და მის შესაბამის მტკიცებით წინადადებას შორის. ფ. სოსიურზე დაყრდნობით, პრადის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლებმა ასიმეტრიულობის აღნიშვნისათვის შემოიტანეს მარკირების ცნება [Jakobson, 1962, 1971]. ბინარული ოპოზიციის შემთხვევაში, არამარკირებული ფრაზა ფორმალურად ითვლება ნაკლებ რთულად (ხშირად ნულოვანი რეალიზაციით). ი. გრინბერგის მოსაზრებით, უარყოფისათვის დამახასიათებელია დაუფარავი (აშკარა) გამონათქვამი, მაშინ როდესაც მტკიცებისათვის დამახასიათებელია ნულოვანი (უარყოფითად არამარკირებული) გამონათქვამი [Greenberg, 1966].

შემდგომში უარყოფის კვლევა განვითარდა ორი განსხვავებული მიმართულებით:

(1) ლოგიკური მიმართულება, რომელიც არ გამოირიცხავს ენობრივი ასპექტების კვლევას;

(2) უარყოფის ტიპოლოგიური კვლევა: გამოიკვეთა უარყოფის, როგორც მტკიცებასთან განუყრელად დაკავშირებული ფენომენის, ენობრივი ასპექტი, ე.ი. დაიწყო უარყოფის როგორც ლინგვისტური პრობლემის ინტენსიური კვლევა. უარყოფის ლინგვისტური ასპექტი დაუკავშირდა წინადადებას, რომელიც იქცა უარყოფის მოქმედების სფეროდ, რაც თავის მხრივ, ნიშნავდა მის შინაგან კავშირს პრედიკაციასთან.

სტანდარტული უარყოფის ცნება შემოტანილი იყო ჯ. ფეინეს მიერ, რომელიც გულისხმობდა ზმნის შემცველი ძირითადი წინადადების უარყოფას. ინგლისურ ენაში ეს ნიშნავდა დამხმარე ზმნის შემდეგ ნაწილაკის “not” დამატებას [Payne, 1985].

ბევრი ლინგვისტი აღნიშნავდა, რომ გარკვეული გარემოსათვის [გრამატიკის წესებიდან გამომდინარე) უფრო დამახასიათებელია ისეთი უარყოფითი კონსტრუქციები, რომლებიც განსხვავდება სტანდარტული უარყოფის შემთხვევებისაგან.

პ. კარელის მიერ 40 ენის მაგალითზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ არასტანდარტული უარყოფისათვის ყველაზე დამახასიათებელი გარემო არის იმპერატივები, ეგზისტენციალური და არაზმნური (nonverbal) წინადადებები. იმპერატივებში არასტანდარტული უარყოფა გამოვლინდა 17 ენაში, ეგზისტენციალური უარყოფა – 9 ენაში, ხოლო არავერბალური – 8 ენაში [Karel, 1996: 70-71].

ო. დალიმ დაახლოებით 240 ენის საფუძველზე გააკეთა მორფოლოგიური და სინტაქსური უარყოფის ტიპოლოგია. უარყოფითი მარკერის სტატუსის მიხედვით მან გამოყო მორფოლოგიური უარყოფის რამოდენიმე ტიპი: პრეფიქსებით, სუფიქსებითა და ცირკუმფიქსებით წარმოებული, პროსოდიული და რედუბლიკაციური. სინტაქსური უარყოფის შემთხვევაში უარყოფითი მარკერი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ნაწილაკი ან დამხმარე ზმნა უარყოფით ფორმაში. დალის კვლევის საფუძველზე, მორფოლოგიური უარყოფა გამოვლინდა 108 ენაში, სინტაქსური უარყოფა არაფლექსიური ნაწილაკით – 99 ენაში და სინტაქსური უარყოფა უარყოფითი დამხმარე

ზმნით – 40 ენაში. ორმაგი უარყოფითი მარკერები გვხვდება არა მარტო ცირკუმფიქსებით გამოხატული მორფოლოგიური უარყოფის დროს, არამედ სინტაქსური უარყოფის შემთხვევაშიც [Dahl, 1979].

მ. მიესტამომ 297 ენაში კლაუზულას ფარგლებში შეისწავლა უარყოფის სტრუქტურული თავისებურებები. სიმეტრიული უარყოფის შემთხვევაში მტკიცებითი და უარყოფითი სტრუქტურები არ იძლევა განსხვავებას გარდა უარყოფითი მარკერის არსებობისა უკანასკნელის შემთხვევაში. ასიმეტრიული უარყოფის შემთხვევაში აღინიშნება კონსტრუქციული და პარადიგმატული ასიმეტრია. კონსტრუქციული ასიმეტრიის დროს უარყოფითი კლაუზულა კონსტრუქციულად განსხვავდება მისი შესაბამისი მტკიცებითი ფორმისაგან, პარადიგმატული ასიმეტრიის შემთხვევაში არ არის შესაბამისობა წინადადების პარადიგმის წევრებს შორის. ასიმეტრიული უარყოფა იყოფა კიდევ იმის მიხედვით, თუ რომელ დომენს ან კატეგორიას შეეხება ასიმეტრია [Miestamo, 2003].

მ. დრაიერის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, მის მიერ ამ თვალსაზრისით შესწავლილი 1011 ენიდან, 66 ენაში აღმოჩნდა ორმაგი უარყოფა, რომელიც გამოიხატება ზმნის ორივე მხარეს უარყოფითი მარკერის არსებობით [Dryer, 2005].

ჯ. ფეინეს მონაცემებით მსოფლიო ენებში გამოიყოფა ოთხი ტიპის უარყოფითი მარკერი: მორფოლოგიური (აფიქსალური), უარყოფითი ნაწილაკები, უარყოფითი ზმნები და უარყოფითი არსებითი სახელები [Payne, 1985].

სინტაქსური უარყოფის შემთხვევაში მტკიცებითი და უარყოფითი წინადადებების დიფერენცირება არ არის ყოველთვის ადვილი [Horn, 1989: 31]. ზოგჯერ

კლაუზულა (clause) – გრამატიკული ორგანიზაციის ერთეული, რომელიც არის წინადადებაზე მცირე და ფრაზაზე, სიტყვაზე ან მორფემაზე დიდი. [კრისტალი, 2011]

შეუძლებელია ექსტრა-ლინგვისტური ფაქტორების დიფერენცირება როგორც პოზიტიურის ან ნეგატიურის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ლაპარაკია უარყოფით წინადადებაზე და ნეგატიურ მნიშვნელობაზე, ძნელია განსაზღვრა, წინადადება მტკიცებითია თუ უარყოფითი. ზოგიერთი ზმნების სემანტიკაში ჩადებულია უარყოფითი მნიშვნელობა. ასეთი ტიპის ზმნებია: fail, deny, refuse, reject, dissuade, doubt და ა.შ. ისინი ნეგატიურ სემანტიკას გამოხატავენ უარყოფითი მარკერების გარეშე. ლ. ჰორნი მათ თვლის პრაგმატული კუთხით უფრო რთულ მოცემულობად, ვინაიდან ისინი ემყარებიან დისკურსის წინა პროპოზიციას [Horn, 1989: 522].

გენერაციული პარადიგმის ფარგლებში პირველად ე. კლიმამ შეიმუშავა უარყოფის გრამატიკა. ე. კლიმა განიხილავდა უარყოფის სამ ურთიერთდაკავშირებულ დომენს:

- (1) ზოგადი უარყოფის დომენი;
- (2) ფარდობითი მოქმედების სფერო;
- (3) უარყოფითი პოლარული ელემენტების ლიცენზირება [Klima, 1964].

ე. კლიმამ შეისწავლა პოლარული მგრძნობელობის საკითხი ენაში [Klima, 1964]. მან აღწერა ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში და ერთეულები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ დადებით კონტექსტში. ე. კლიმამ ტრანსფორმაციული გრამატიკის ფარგლებში ინგლისური განუსაზღვრელი ნაცვალსახელების “some” და “any” შესწავლისას შემოიღო ცნება ⁴“c-command” (ზემდგომი ზემოქმედების სფერო), უფრო ზუსტად მისი ზუსტი ინვერსია (in-construction with). უარყოფის მოქმედების ფარგლები (scope of negation) არის სინტაგმატური დამოკიდებულების ტიპური მაგალითი. ი. ლიი და ე. ჰორნი ასევე დაინტერესებული იყვნენ ლექსიკური ერთეულების სინტაგმატური დამოკიდებულებებით, კერძოდ, ისინი

⁴c-command (ზემდგომი ზემოქმედების სფერო) – წინადადებაში შემავალ ფრაზებს შორის დამოკიდებულება, რომელიც მგრძნობიარეა მისი შემადგენელი ელემენტების იერარქიული თანმიმდევრობის მიმართ [International Encyclopedia of Linguistics, 2003].

შეისწავლიდნენ „some“ და „any“, „sometimes“ და „ever“, „too“ და „either“ წყვილ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებსაც კვაზი-კომპლემენტარული დამოკიდებულება აქვთ [Lee & Horn, 1994].

ი. გრინბერგმა, ო. დალიმ, მ. დრაიერმა უარყოფითი მარკერის პოზიციის განსაზღვრისათვის შეისწავლეს წინადადებაში უარყოფის პოზიცია ზმნასთან მიმართებაში ანუ უარყოფის პრევერბალური და პოსტვერბალური ფორმები [Greenberg, 1966; Dahl, 1979; Dryer, 1988].

მ. დრაიერმა 345 ენაში შეისწავლა უარყოფითი მარკერის მდებარეობა წინადადების სამ წევრთან მიმართებაში: სუბიექტი (S), ობიექტი (O) და ზმნა (V). მისი მონაცემების თანახმად, SOV ენებისათვის უფრო დამახასიათებელია SOVNeg ან SONegV წყობა. NegSOV და SNegOV წყობის ენები შედარებით იშვიათია. SVO ენებში უფრო ხშირად არის SNegVO წყობა და V-საწყისი პოზიციის ენებში უმეტესად გვხვდება NegV წყობა (NegVSO ან NegVOS) [Dryer, 1988].

კვლევის საფუძველზე გამოიხატა ტენდენცია, რომ უარყოფითი მარკერები, ძირითადად, წინ უსწრებენ ზმნას. 345 ენიდან, მ. დრაიერის მონაცემებით 227 (70%) ენაში უარყოფითი მარკერი დგას ზმნის წინ [Dryer, 1988].

ო. იესპერსენმა პირველმა განიხილა პრევერბალური და პოსტვერბალური უარყოფა [Jespersen, 1917]. მან შენიშნა, რომ არსებობს მკვეთრად გამოხატული ტენდენცია იმისა, რომ უარყოფა იყოს პრეპოზიციურ მდგომარეობაში, ან გამოყენებული იყოს რამდენადაც შესაძლებელია ადრე, ძალიან ხშირად კონკრეტულად იმ სიტყვის წინ (ძირითადად ზმნის წინ), რომლის უარყოფაც ხდება [Jespersen, 1924: 4].

ლ. ჰორნი აღნიშნულ ტენდენციას უწოდებს ნეგაციის პირველადობას (წინმსწრებობას) [Horn, 1989: 292-293]. ნეგაციის პირველადობის (წინმსწრებობის) საფუძველი კომუნიკაციის ეფექტურობაში უნდა ვეძებოთ, ვინაიდან, ნაგატიური მარკერის ან უარყოფითი ლექსიკური ერთეულის მაქსიმალურად წინ მოთავსება ადარტოვებს მსმენელში გაურკვევლობას ნათქვამის მნიშვნელობასთან (მიზნობრიობასთან) დაკავშირებით [Jespersen, 1924: 297].

უარყოფითი ლექსიკური ერთეულებისა და უარყოფითი მარკერების გარდა ენებში არის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ხშირად გვხვდება უარყოფითი კონტექსტის შემთხვევაში, ე.წ. უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულები (Negative Polarity Items – NPI). უ. ლადუსო თვლის, რომ გამონათქვამები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების, როგორცაა any, ever და სხვ., ლიცენზირება გააკეთოს, სცდება სინტაქსური მახასიათებლების ფარგლებს. იგი განისაზღვრება იმ სიტყვებით, რომლებიც ახდენენ ამ ლექსიკური ერთეულების ლიცენზირებას. უ. ლადუსომ შემოიღო ცნება “დადმავალი შედეგობრიობა” (DE – Downward Entailment). მისი თვალსაზრისით, სწორედ დადმავალი შედეგობრიობის გარემო განაპირობებს უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების ლიცენზირებას [Ladusaw, 1980].

ა. ჯიანაკიდოუ თვლის, რომ კონტექსტებს, სადაც გვხვდება უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულები, აქვთ საერთო მახასიათებელი. ეს არის სინამდვილესთან შეუსაბამობა - არავერიდიკალობა ან ანტივერიდიკალობა (nonveridicality) [Giannakidou, 2001: 99-127].

⁵დადმავალი შედეგობრიობა (DE – Downward Entailment, დადმავალი გამომდინარეობა) – ნებისმიერი მსაზღვრელისთვის D, თუ “D men walk” გამომდინარეობს “D fathers walk”, მაშინ D არის დადმავალი შედეგობრიობის. მაგ.: No/Every man walks. → No/every father walks. [Progovac, 1994]

⁶nonveridicality - არავერიდიკალობა ან ანტივერიდიკალობა:

(1) Op ვერიდიკალურია მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ $Op \rightarrow p$ პლოგიკურად ვალიდურია. წინააღმდეგ შემთხვევაში Op არავერიდიკალურია.

(2) არავერიდიკალური ოპერატორი Op არის ანტივერიდიკალური იმ შემთხვევაში თუ $Op \rightarrow \neg p$ ლოგიკურად ვალიდურია [Giannakidou, 1998:8].

არავერიდიკალური კონტექსტებია: მოდალობის, განზრახვის, უნივერსალურობის, დადმავალი შედეგობრიობის გამომხატველი, დიზუნქციური და არამტკიცებითი (კითხვები, იმპერატივები და პირობითობის გამომხატველები [Giannakidou, 2011].

ლ. ჰორნიმ შეისწავლა უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულებისთვის მისაღები კონტექსტები ე.წ. ⁷“ფლობერის ტრიგერები” (“Flaubert triggers”). ჰორნის მოსაზრებით, უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების ლიცენზირება ხდება ფარული უარყოფითი იმპლიკაციით (ფარულად თქმული, ნაგულიხმები) ან ზმნიზებით “only“ [Horn, 2001: 173-200]

კ. ბაისენსი იყო პირველი, რომელმაც სცადა პოლარული ლექსიკური ერთეულების კლასიფიკაცია და დახასიათება, მაგრამ მას მათთვის არ მიუნიჭებია აღნიშნული დასახელება. მან გამოყო უარყოფითი კონტექსტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულების ოთხი ჯგუფი, რომელთაგან ერთში შედის ⁸დადებითი პოლარული ლექსიკური ერთეულები (Positive Polarity Items -PPI) [Buysens, 1959].

უ. ლადუსო სწავლობდა უარყოფის თანაწყობის სემანტიკას და თვლიდა, რომ n-სიტყვები განხილული უნდა ყოფილიყო როგორც თვითლიცენზირებადი უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულები [Ladusaw, 1992]. ამრიგად, ტრიგერის არსებობის შემთხვევაში n-სიტყვები უზრუნველყოფენ თვითლიცენზირებას, მაგრამ რეგულარული უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების შემთხვევაში კი ასე არ ხდება. ტექნიკურად n-სიტყვას წინადადების ქეშმარიტების პირობაში შეაქვს ეგზისტენციური კვანტორი. n-სიტყვის ნეგატიური ძალა მის ნეგატიურ მახასიათებელშია, რომელიც არ

⁷“ფლობერის ტრიგერები” (“Flaubert triggers”) – როგორც ღმერთი დეიზმში და ავტორი ფლობერის რომანში, უარყოფაც ანალოგიურად არის ყველგან და არსად არ ჩანს. [Israel, 2004]

⁸დადებითი პოლარული ლექსიკური ერთეულები არის გამონათქვამები, რომლებიც “იდევნება” უარყოფის მიერ და აქვს ტენდენცია არ იმყოფებოდეს უარყოფის მოქმედების ფარგლებში. დადებითი პოლარული ლექსიკური ერთეულები როგორც კლასი პირველად იდენტიფიცირებული იყო ბეიკერის მიერ [Baker, 1970]. შემდგომში ამ ლექსიკურ ერთეულებს სწავლობდნენ ზაბოლცი, ნილსენი და ერნსტი [Szabolcsi, 2004; Nilsen, 2003; Ernst, 2008]. ასეთი ლექსიკურ ერთეულებს მიეკუთვნება: me, already, would rather და სხვ., მოსაუბრეზე ორიენტირებული ზმნიზებები – fortunately, perhaps და სხვ. [Giannakidou, 2008]

გააჩნია ნეგატიური პოლარობის ლექსიკურ ერთეულს. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ n-სიტყვები არიან სემანტიკურად უარყოფითი და უარყოფის თანაწყობა არის შეთანხმების ვარიანტი. უარყოფის თანაწყობა განიხილება როგორც სემანტიკური და არა სინტაქსური მოვლენა. უარყოფის თანაწყობას ო. იესპერსენი უწოდებდა ორმაგ უარყოფას [Jespersen, 1917], ე. კლიმა – უარყოფის ინკორპორაციას [Klima, 1964], უ. ლაბოვი – უარყოფის მიზიდვის წესს [Labov, 1972].

ა. ფონ ბერგენმა და კ. ფონ ბერგენმა მოგვცეს უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების კლასიფიკაცია და გამოყვეს ხუთი შესაბამისი ჯგუფი [von Bergen & von Bergen, 1993]. აღნიშნული კლასიფიკაცია არ იძლეოდა უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების ერთმნიშვნელოვანი გამიჯვნის საშუალებას, მაგალითად, “any” შედის რამოდენიმე ჯგუფში.

ა. ფონ ბერგენი და კ. ფონ ბერგენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უარყოფითი პოლარობის ერთმნიშვნელოვანი დიფერენცირება ძნელია. უარყოფითი პოლარობის ანუ უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების გამოყენების შემთხვევაში სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა ურთიერთკავშირშია [Bergen & Bergen, 1993: 198-199].

დე მეისი თვლის, რომ პოლარობა არ არის ერთგვაროვანი ფენომენი და ამიტომ აზრი არა აქვს პოლარული ელემენტებისათვის ზოგადი განმარტების ძიებას [De Mey’s, 1990].

ადამ ვერლიმ შეისწავლა პოლარული ელემენტების – უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულებისა და ⁹თავისუფალი არჩევანის ლექსიკური ერთეულების

⁹თავისუფალი არჩევანის ლექსიკური ერთეულები (FCA – Free Choice Items) გამოხატავს არჩევანის თავისუფლებას. თავისუფალი არჩევანი გულისხმობს დომენის გაფართოვებას (domain widening) [Kadmon and Landman, 1993], განურჩევლობას (indifference) [von Stechow, 2000; Horn, 2000; Giannakidou, 2001], დომენის გაურკვევლობას (domain vagueness) [Dayal, 1998], არაინდივიდუალიზაციას (nonindividuation) [Tovena and Jayez, 2005]. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს ლექსიკური ერთეული any: Any cat hunts mice [Giannakidou, 2008].

ტიპოლოგია მათი სკალური ანალიზის საფუძველზე ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებში. ვერლის მოსაზრებით, აღნიშნულ ენებში შესაძლებელია უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების და თავისუფალი არჩევანის ლექსიკური ერთეულების ინტერპრეტაციისა და ლიცენზირების წინასწარი განსაზღვრა [Werle, 2002].

უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების ¹⁰ცენზორი (ლისენსორი) ძირითადად ქმნის დადმავალი გამომდინარეობის კონტექსტს [Ladusaw, 1979; Zwarts 1986; van der Wouden, 1994, 1997] ან არავერიდიკალურ კონტექსტს [Zwarts, 1995; Giannakidou, 1997, 1998, 1999].

უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულები, კერძოდ, yet, anymore, either, neither და მათი ლიცენზირების პირობები შესწავლილი აქვს დ. ლევინსონს. მისი მოსაზრებით მათი გამოყენების ლიცენზირება დაკავშირებულია სემანტიკაში ჩადებულ “ნეგატივობასთან”. [Levinson, 2008]

ბევრი ლინგვისტის ინტერესის სფეროს შეადგენდა სხვადასხვა ენებში მრავალჯერადი უარყოფის შემთხვევების შესწავლა.

ვან დერ ვუდენი გამოყოფს მრავალჯერადი უარყოფის ოთხ ტიპს:

(1) ორმაგი უარყოფა: ერთი უარყოფითი ელემენტი აბათილებს მეორეს, რის შედეგადაც მიიღება მტკიცება;

(2) შესუსტებული უარყოფა: ერთი უარყოფითი ელემენტი ასუსტებს მეორეს. შედეგად გვაქვს შუალედური მნიშვნელობა დადებითსა და უარყოფითს შორის;

(3) უარყოფის თანაწყობა: ორი ან მეტი უარყოფითი ელემენტის საფუძველზე ვღებულობთ სემანტიკურად ერთ უარყოფას;

¹⁰ცენზორი (ლისენსორ) – ლექსიკური ერთეული, რომელიც წინადადებას ცენზურას უწევს და გარკვეულ ლექსიკურ ერთეულებს მასში დგომის უფლებას რთავს [ფრომკინი ..., 2009: 224].

(4) ემფატური უარყოფა: ერთი უარყოფითი ელემენტი აძლიერებს მეორეს. შედეგი არის უფრო ძლიერი, ვიდრე ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მეორე ნეგატიური ლექსიკური ერთეულით [Wouden, 1994: 93].

ვან დერ ვუდენის, ფ. ცვარტისა და დენ ბესტენის კვლევების საფუძველზე გამოყოფენ უარყოფის თანაწყობის სამ ჯგუფს [Wouden and Zwart, 1993; Den Besten, 1986]:

(1) უარყოფის გავრცობა - უარყოფა ვრცელდება ყველა განუსაზღვრელ ერთეულზე უარყოფის მოქმედების ფარგლებში;

(2) უარყოფის დუბლირება - დამახასიათებელი ნეგატიური ლექსიკური ერთეული გვხვდება წინადადებაში, რომელშიც არის უარყოფითი გამონათქვამი;

(3) უარყოფის გავრცობისა და დუბლირების კომბინაცია - დამახასიათებელი ნეგატიური ლექსიკური ერთეული გვხვდება წინადადებაში, რომელშიც არის ერთზე მეტი უარყოფითი გამონათქვამი.

ორმაგი უარყოფის მაგალითს წარმოადგენს რიტორიკული ფიგურა ლიტოტესი, რომელიც არის მტკიცების გამოხატვა საწინააღმდეგოს უარყოფით. ლიტოტესის შემთხვევაში ორი უარყოფითი მნიშვნელობა ასუსტებს ერთმანეთს.

ლინგვისტური კვლევების აღნიშნულ ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული ენობრივი დიქოტომიის ფენომენი, ასევე, არ ხდებოდა ინტერსუბიექტურობისა და ტექსტოცენტრიზმის გათვალისწინება, რაც აისახა კვლევების თეორიულ შედეგებზე.

მესამე ეტაპი: ენობრივი დიქოტომიის გათვალისწინებით, უარყოფის ფენომენი განიხილება როგორც სისტემურ, ასევე, დისკურსის დინეზე, პრაგმატულად განპირობებულ ინტერსუბიექტურ და ტექსტობრივ სივრცეში.

ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დაწყებულია ტექსტის კვლევა სამეტყველო აქტების დონეზე. ტექსტის ლინგვისტიკა განვითარდა ბოლო რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში. ტექსტოცენტრული მიდგომის თანახმად, ენა განიხილება როგორც დისკურსი და არა როგორც ცალკეული წინადადება. წინადადება ითვლება ენის ერთეულად და, შესაბამისად, ტექსტის ნაწილად. ტექსტი ითვლება სემანტიკურ ერთეულად არა ფორმის, არამედ მნიშვნელობის მიხედვით.

ტექსტის ლინგვისტიკა ენას განიხილავს კომუნიკაციის ფორმით (წერითი თუ ზეპირი), ხოლო ანალიზისათვის იყენებს ფრაზაზე და წინადადებაზე დიდ სტრუქტურულ ერთეულებს. სამეტყველო კომუნიკაციის მინიმალურ ერთეულად მიღებულია სამეტყველო აქტი. სამეტყველო აქტი ეწოდება კონკრეტული წინადადების წარმოებას რეალური სამეტყველო კომუნიკაციის პირობებში. სამეტყველო აქტის ასეთი განმარტება ემთხვევა ტერმინის “გამონათქვამის” თანამედროვე ცნებას [Austin, 1962]. სამეტყველო აქტის ცნება საფუძვლად დაედო ჯ. ოსტინის თეორიას.

სამეტყველო აქტის თეორიას საფუძველი ჩაუყარეს ლ. ვიტგენშტაინმა და ჯ. ოსტინმა. ამ თეორიასთან ასევე ხშირად ასოცირდება ჯ. სერლი. ლ. ვიტგენშტაინმა შემოიღო ფიქრის ხაზი, რომელსაც უწოდა “ენის ჩვეულებრივი ფილოსოფია”. მისი მოსაზრებით, ენობრივი მნიშვნელობა დამოკიდებულია მის ქმედით გამოყენებაზე. ენა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება, არის “ენის თამაში”, ვინაიდან მას გააჩნია წესები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანები ენის გამოყენების პროცესში იცავენ გარკვეულ წესებს [Wittgenstein, 1963].

ჯ. ოსტინი განიხილავდა სამეტყველო აქტის სამ ასპექტს და გამოყოფდა კიდევ სამი ტიპის აქტს – ლოკუციურ (locutionary), ილოკუციურ (illocutionary) და პერლოკუციურ (perlocutionary) აქტებს [Austin, 1962].

ლოკუციური (locutionary act) ეწოდება თვით წარმოთქმის აქტს - ფაქტის კონსტატაციას. ჯ. ოსტინის თანახმად, ლოკუციური აქტი შესაძლებელია ინტერპრეტირებული იყოს სამი სახით. ლოკუციური აქტის რეალიზაცია ხდება, პირველ რიგში, როგორც ფონური/ხმოვანი აქტის (phonic act) - გარკვეული ბეგრების წარმოთქმა, მეორე, გამოიყოფა ფატიკური აქტი (phatic act) - სიტყვების წარმოთქმა, რომელიც აღიქმება როგორც გარკვეული ბგერათაშეთანხმება, შეესაბამება გარკვეულ ლექსიკონს და კონკრეტულ გრამატიკას და, ბოლოს, მესამე - რეტიული აქტი (rhetic act) - ენობრივი ნიშნების, გარკვეული სიტყვების წარმოთქმა მათთვის დამახასიათებელი მნიშვნელობითა და რეფერენციით. ფატიკური და რეტიული აქტები განსხვავდება ციტირებისას. კერძოდ, ფატიკური აქტის ციტირება ხდება პირდაპირი სამეტყველო

აქტით. მაგალითად, მან თქვა: “წადი”, ამ შემთხვევაში “წადი” წარმოადგენს ფატიკურ აქტს. რეტიული აქტის გადმოცემა ხდება ირიბი თქმით: “მან თქვა, რომ მე წავსულიყავი”.

ლოკუციურ აქტს მოჰყვება ილოკუციური აქტის (illocutionary act) განხორციელება. ილოკუციური აქტი გამოხატავს განზრახვას, ისახავს გარკვეულ მიზანს. ილოკუციური აქტისათვის დამახასიათებელია: განზრახულობა (actuality), მიზნობრიობა (intentionality) და პირობითობა (conventionality). ილოკუციური აქტი ხორციელდება მეტყველების პროცესში და უპირისპირდება თვით ამ მეტყველებას. სწორედ ილოკუციური აქტი გახდა ლინგვისტური კვლევის ძირითადი ობიექტი და, ხშირად, როდესაც საუბრობენ სამეტყველო აქტზე, გულისხმობენ სწორედ ილოკუციურ აქტს. შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა განზრახვა, რისთვისაც ხდება ამა თუ იმ ლოკუციის წარმოება. ეს შეიძლება იყოს შეკითხვა ან პასუხი, ინფორმირება ან გაფრთხილება, განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანა, მოწონება ან კრიტიკა, მოწოდება ან აკრძალვა და ა.შ. ამრიგად, ლოკუცია, რომელიც თავისთავად არამიზანმიმართულია, შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა ფუნქციით. ჯ. ოსტინი უწოდებდა მას ენის ფუნქციებს, რომელიც არ შეესაბამება სტრუქტურულ ლინგვისტიკაში მიღებულ ტერმინოლოგიას. მან ამ ცნებისათვის წამოაყენა ახალი ტერმინიც – ილოკუციური ძალა (Illocutionary force), რომელიც სამეტყველო აქტის მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

თუმცა, შესაძლებელია, რომ როგორც ლოკუციურ, ისე ილოკუციურ აქტს ჰქონდეს დამხმარე ფუნქცია. აღნიშნული შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც საუბარი წარმოებს მსმენელის/ადრესატის აზრსა და გრძნობებზე ზემოქმედების მოხდენის განზრახვით. სამეტყველო აქტის ამ მხარეს ოსტინმა უწოდა პერლოკუცია ანუ პერლოკუციური აქტი (perlocutionary act). პერლოკუციური აქტისთვის დამახასიათებელია მიზნობრიობა, რომელიც გულისხმობს მეორე ადამიანის/მსმენელის ქცევაზე, ფიქრებზე, გრძნობებზე ზემოქმედებას (რაიმეს შესრულების/გაკეთების

მოთხოვნა, დარწმუნება, შეშფოთება) და სასურველი შედეგის მიღებას. ოსტინს მაგალითად მოჰყავდა ფრაზები სხვადასხვა ზმნით:

“მან თქვა, რომ...” – ლოკუციური აქტი;

“იგი ამტკიცებდა, რომ...” – ილოკუციური აქტი;

“მან დამარწმუნა, რომ...” – პერლოკუციური აქტი.

ამრიგად, შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის სამეტყველო აქტი, იმის მიხედვით თუ რა კუთხით მოხდება მისი განხილვა:

(1) სამეტყველო აქტი მისი სუბსტანციისა და ენობრივი შემადგენლობის გათვალისწინებით არის ლოკუციური აქტი;

(2) ილოკუციური აქტი განიხილება მიზნისა და რეალიზაციის პირობის მიხედვით;

(3) პერლოკუციური აქტი განიხილება შედეგისა და მისი მსმენელზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

სამეტყველო აქტების თეორიის ძირითადი ამოცანა გახდა სხვადასხვა ილოკუციური მნიშვნელობის (ილოკუციური ძალის) გამოყოფა და ამ მნიშვნელობის/ძალის კლასიფიკაცია.

პირველი კლასიფიკაცია ეკუთვნის ჯ. ოსტინს. იგი უშვებდა, რომ ამა თუ იმ პერფორმატიული ზმნის (რომელსაც შეეძლო მხოლოდითი რიცხვის პირველ პირში აწმყო დროის მოქმედებით გვარში პერფორმატიული გამონათქვამის ფორმირება) არსებობა გულისხმობს შესაბამისი ილოკუციური ძალის არსებობას. ასეთი გაგებით პერფორატიული ზმნები აკეთებენ სხვადასხვა ილოკუციური ძალის ექსპლიცირებას. ამრიგად, ჯ. ოსტინი მივიდა ილოკუციური აქტების კლასიფიცირების აუცილებლობამდე. ჯ. ოსტინმა გამოყო ხუთი კლასი – ვერდიქტები, ეგზერსიტივები, კომისივები, ბეჰაბიტივები, ექსპოზიტივები და მოგვცა შესაბამისი ზმნების დახასიათება.

ჯ. ოსტინი თვლიდა, რომ ამ კლასიფიკაციას ჰქონდა ნაკლოვანი მხარეები. კერძოდ, არ იყო კლასების მკვეთრი გამიჯვნა, ერთი და იმავე ილოკუციური აქტი

თავისი მნიშვნელობის მიხედვით ხვდებოდა სხვადასხვა კლასში, განსაკუთრებით ეს შეეხებოდა ექსპოზიტივებს.

აღნიშნული კლასიფიკაციას ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა. კრიტიკის ობიექტები იყო არაზუსტი ფორმულირებები, პირველ რიგში კი კლასის დაკავშირება პერფორმატიულ ზმნებთან და კლასიფიკაციის არაუნივერსალობა.

ჟ. სერლიმ შექმნა ილოკუციური აქტების ორიგინალური კლასიფიკაცია, რომელიც სადღეისოდ უფრო მიღებულია [Searle, 1976: 1-23]. სწორედ მისი კლასიფიკაცია არის გამოყენებული წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში. მან სამეტყველო აქტების კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო 12 კრიტერიუმი, რომელთა შორის სამი ძირითადია:

(1) ილოკუციური მიზანი (illocutionary point or purpose) – შეიძლება გაცხადებული იყოს სხვადასხვა ძალით. ამის ენობრივი მაგალითია თხოვნისა და ბრძანების ილოკუციური აქტები. მათი ილოკუციური მიზანი ერთნაირია, კერძოდ, ორივე არის მცდელობა მსმენელს გააკეთებინოს რაიმე. უმნიშვნელოვანეს განსხვავებას ამ ორ ერთი მიზნის მქონე აქტს შორის ქმნის მათი ილოკუციური ძალა (illocutionary force) – თხოვნა და ბრძანება.

(2) შესაბამისობის მიმართება (direction of fit) – ამ კრიტერიუმით არსებობს ილოკუციური აქტის ორი მიმართება: სიტყვების შესაბამისობა სამყაროსთან და პირიქით. ქმედებას მოსდევს სამყაროს შესაბამისობა სიტყვებთან, როგორც ეს არის დაპირისპირების, ფიცის, თხოვნის, მოთხოვნის, ბრძანების დროს. სიტყვების შესაბამისობა რეალობასთან ხდება, მაგალითად, მტკიცებისას, აღწერისას და ა.შ. რეალობის შესაბამისობა სიტყვებთან გვხვდება მოთხოვნის, ბრძანების და ა.შ. შემთხვევაში.

(3) ფსიქოლოგიური მდგომარეობა (psychological state) – განზრახვის, სურვილის, რწმენისა და ა.შ. გამოხატვა. ფსიქოლოგიური მდგომარეობა ხდება სამეტყველო აქტის გულწრფელობის პირობა. ამა თუ იმ აქტის წარმოებისას მთქმელი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას პროპოზიციით გამოხატულ შინაარსთან.

ჟ. სერლი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა წესები, რომლითაც რეგულირდება სამეტყველო აქტი და ასევე, აეხსნა, თუ როგორ ხდება კომუნიკაციის პროცესში ადრესანტიდან ადრესატზე განზრახვის გადაცემა. სერლის თანახმად, იმისათვის, რომ გაიგო ნათქვამის მნიშვნელობა, უნდა მიხვდე ადრესანტის ინტენციას. ვინაიდან ენა არის ინტერნაციონალური ქცევა, იგი განხილული უნდა იყოს როგორც ქმედების ფორმა. ამრიგად, სერლი დეკლარაციას განიხილავს მეტყველების აქტად. სამეტყველო აქტის ძირითადი ერთეულია გამონათქვამი, რომელიც გამოხატავს ადრესანტის ინტენციას. ადამიანი ლაპარაკის პროცესში აწარმოებს აქტს.

ჟ. სერლმა გამოყო სამეტყველო აქტების ხუთი კატეგორია: დირექტივები (directives, მთქმელს სურს, რომ მსმენელმა გააკეთოს რაიმე), კომისივები (commissives, მთქმელი თვითონ გააკეთებს რამეს მომავალში), ექსპრესივები (expressives, გამოხატავს გრძნობებს, ემოციებს), რეპრეზენტატივები (representatives, გამოხატავს რწმენას პროპოზიციის ჭეშმარიტებაზე) და დეკლარატივები (declaratives, გამონათქვამი გავლენას ახდენს გარე ექსტრალინგვისტურ სიტუაციაზე და ცვლის მას). აღნიშნული კლასიფიკაცია არ არის დაკავშირებული რომელიმე კონკრეტულ ენასთან.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ ლინგვისტიკის თანამედროვე ეტაპზე, ნებისმიერი კვლევა უნდა ითვალისწინებდეს ენობრივი სფეროს გაფართოებულ კონტექსტს. გათვალისწინებული უნდა იყოს ენა როგორც ქმედება, ანუ კომუნიკაციის აქტი და აღნიშნული კომუნიკაციის მიზანი. აქედან გამომდინარე, მხოლოდ პრაგმატიკის საფუძველზე უნდა მოხდეს დისკურსისა და მისი შემადგენელი ელემენტების განხილვა, ვინაიდან, ხშირად, სემანტიკურ მნიშვნელობასა და პრაგმატულ მნიშვნელობას შორის შეიძლება არსებითი განსხვავება გვექონდეს. მაშინ როდესაც, ლექსიკური ერთეულის სემანტიკური მნიშვნელობა უცვლელია, პოტენციურია, პრაგმატული კუთხით იგი კონკრეტულ კონტექსტზეა დამოკიდებული; ლექსიკური ერთეულის სემანტიკური მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული ადრესატზე, პრაგმატულად კი – პირველი დამოკიდებულია მეორეზე; სემანტიკა დაინტერესებულია მნიშვნელობით, პრაგმატიკა დაინტერესებულია იმით, თუ რისი

თქმა სურდა ადრესანტს, ანუ ორიენტირებულია ილოკუციურ მნიშვნელობაზე, ილოკუციურ ძალაზე, რომელიც ხშირად შეიძლება არ ჩანდეს ზედაპირულ დონეზე და იმპლიციტურად იყოს გამოხატული.

უარყოფის ფუნქციები დისკურსში პრაგმატული ასპექტით შეიძლება შესწავლილი იყოს ისევე, როგორც მტკიცებითი გამონათქვამების ფუნქციები. ამ მხრივ გამოირჩევა თ. გივონისა და გ. ტოტის შრომები. თ. გივონის მოსაზრებით, უარყოფის განსხვავება ლოგიკასა და ლინგვისტიკაში მდგომარეობს იმაში, რომ ლინგვისტიკაში უარყოფა მარკირებულია პრესუპოზიციურად [Givon, 1978]. თ. გივონი უარყოფით გამონათქვამებსა და მოვლენებს განიხილავდა როგორც პრესუპოზიციურ მოდალობას და თვლიდა მათ კოგნიტიურ მოვლენად [Givon, 1993].

გ. ტოტიმ ტექსტში უარყოფის ფუნქციების დადგენის მიზნით ჩაატარა ინგლიური ენის წერილობითი და ზეპირი ტექსტების კომპიუტერული მონაცემების ანალიზი. მან გამოყო უარყოფის ორი ტიპი: rejection (refusal-ის ჩათვლით) და denial, რომლებიც შეიძლება გამოხატული ყოფილიყო ექსპლიციტურად და იმპლიციტურად და ამის საფუძველზე შეიმუშავა უარყოფის სტრუქტურა [Tottie, 1991].

უარყოფის ფუნქციებს დისკურსში ასევე სწავლობდნენ მ. ჰალიდე და რ. ჰასანი [Halliday & Hassan, 1985a; 1985b; 1992].

ა. პაგანო გვთავაზობს უარის გამოხატვის კლასიფიკაციას წერილობით ტექსტებში. მისი კლასიფიკაცია ემყარება უარყოფის დამოკიდებულებას იმ პროპოზიციასთან, რომელზეც ხდება უარის თქმა. ა. პაგანო გამოყოფს უარის გამოხატვის ოთხ სახეს:

- (1) ინფორმაციის უარყოფა;
- (2) ტექსტის ინფორმაციის უარყოფა;
- (3) მოლოდინის გამტყუნება;
- (4) კონტრასტი [Pagano, 1994].

შ. ვენგის თანახმად, უარყოფას ნარატივში აქვს შემდეგი ფუნქციები:

- (1) ახსნა-განმარტება;

- (2) მოლოდინზე უარი (შეეხება ფონურ თანაიმფორმაციას);
- (3) უარი მოლოდინზე, რომელიც ემყარება ფაქტების გამომდინარეობის პრინციპს (ძირითადად, გვხვდება ფრაზები კავშირით “but”);
- (4) ნარატივში გადამწყვეტი/გარდატეხის მომენტი;
- (5) ნარატივის დაძაბულობის მომენტი, მიუთითებს პიკზე ნარატივში [Hwang, 1992].

ქართულში უარყოფასთან მიმართებაში კვლევები ჩატარებული აქვს რ. ასათიანს. მან შეისწავლა **Yes/No** ნაწილაკების სემანტიკა და ტიპოლოგია [ასათიანი, 2005].

ბ. ხეცურიანმა შეისწავლა უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში [ხეცურიანი, 1999].

ქართული ენის ნაწილაკების საკომუნიკაციო ფუნქციებზე კვლევა ჩატარებული აქვს მ. შერაზადიშვილს [შერაზადიშვილი, 2003].

რ. მარსაგიშვილმა შეისწავლა უარყოფითი ემოციური დამოკიდებულების (“უხეშობის”) გამოხატვის საშუალებები ქართული, ინგლისური და რუსული ენების ლექსიკურ სისტემაში [მარსაგიშვილი, 1999].

წინამდებარე ნაშრომში ნეგაციის ლინგვისტური ანალიზი ტარდება სწორედ სამეტყველო აქტების თეორიის შუქზე. კვლევის ერთეულად აღებულია ენობრივი სისტემის კომუნიკაციურ აქტუალიზაციის უშუალო შედეგი – დისკურსი და დისკურსით წარმოდგენილი უმაღლესი დონის ენობრივი ერთეული – ტექსტი. დისკურსი გულისხმობს ინტერსუბიექტურობის პრინციპს, რომლის თანახმად, კომუნიკაცია მყარდება ორი სუბიექტს – ადრესანტსა და ადრესატს შორის. უარყოფის ტექსტთან დაკავშირება არგუმენტირებულია იმითი, რომ იგი, ისევე როგორც მტკიცება, წარმოადგენს ადამიანის აზრობრივ ქმედებას. შესაბამისად, აღნიშნული ითვალისწინებს ქმედების ავტორის – ადრესანტის ინტენციას, რომელიც გააჩნია მას კონკრეტულ შემთხვევაში და რომლის რეალიზაციაც შეიძლება სცილდებოდეს წინადადების ფარგლებს. თუმცა, შესაძლებელია, იყოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წინადადებას

აქვს ტექსტის ფუნქცია. უარყოფა განიხილება ფუნქციური/პრაგმატული და სტრუქტურული თვალსაზრისით და ხდება მისი სემანტიკური ანალიზი. ყურადღების ცენტრში ექცევა ადრესანტის ინტენცია, რაც გულისხმობს იმ მიზნობრიობას, რისთვისაც წარმოებული იყო დისკურსი ანუ მის ილოკუციურ მნიშვნელობას/ძალას. ნაშრომში შესწავლილია სამეტყველო აქტები, რომლებიც მარკირებულია ნეგაციით ლექსიკურ და სინტაქსურ დონეებზე, ასევე სამეტყველო აქტები, რომლებიც გამოხატავენ იმპლიციტურ უარყოფას ქართულ და ინგლისურ ენებში.

ვფიქრობთ, უარყოფის კვლევა, როგორც ინტერსუბიექტურად კონსტრუირებული ტექსტობრივი ფენომენისა, საინტერესო, პროდუქტიული და პერსპექტიულია. იგი იძლევა საშუალებას ნეგაცია განხილული იყოს უფრო სიღრმისეულად, რომელიც სცილდება წინადადების ფარგლებში განსაზღვრულ პრედიკაციას და ავლენს უარყოფის არა მხოლოდ ექსპლიციტურ, არამედ იმპლიციტურ ასპექტებსაც.

თავი II

უარყოფის გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში

აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში უარყოფის შესწავლა ხდება ენის სისტემურ-სემიოტიკური და ანტროფოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში. ნაშრომში უარყოფის მოქმედების სფეროდ განსაზღვრულია ტექსტი, თუმცა, ხდება იმის გათვალისწინებაც, რომ ტექსტის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს წინადადება, ხოლო წინადადების სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს სიტყვა.

აღნიშნული გულისხმობს, რომ დისკურსში ნეგაციის გამოხატვის საშუალებების აღწერას ვიწყებთ ენის სისტემური დონიდან და სინტაქსის გავლით მივდივართ დისკურსში/ტექსტში მისი გამოხატვის საშუალებებისა და მათი ფუნქციის შესწავლამდე.

ბუნებრივ ენებში უარყოფის გამოხატვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ლოგიკური უარყოფისაგან. პირველ რიგში ეს შეეხება იმას, რომ უარყოფა ყოველთვის არის მარკირებული ერთეული მტკიცებასთან მიმართებაში [Horn, 1989]. არ არსებობს ენა, რომელშიც მტკიცებითი წინადადება არის მარკირებული და მისი შესაბამისი უარყოფითი წინადადება - არა [Dahl 1979; Payne 1985]. ამ მიმართებით, ბუნებრივ ენებში მტკიცებითი და უარყოფითი წინადადებები არ არიან სიმეტრიულები.

ენებში არსებობს სინტაქსურ დონეზე უარყოფის გამოხატვის სხვადასხვა საშუალებები. თუმცა, გარკვეულწილად, მათი რაოდენობა შეზღუდულია. ამ მხრივ გამოიყოფა ენების სამი ტიპი [Zeijlstra, 2007]:

- ენები, სადაც უარყოფა გამოიხატება სპეციალური ზმნებით, რომელიც უარყოფს წინადადებას.
- ენები, სადაც უარყოფა გამოიხატება ზმნებით, რომლებიც მოიცავს მთელ კლაუზულას.

- ენები, სადაც უარყოფა გამოიხატება უარყოფითი ნაწილაკებით წინადადების დონეზე.

უარყოფით ნაწილაკები არის სხვადასხვა სახის და მიეკუთვნებოდა მეტყველების ნაწილების სხვადასხვა ჯგუფს. შეიძლება გამოიყოს უარყოფითი მარკერების სამი ჯგუფი:

(1) ადვერბიალური უარყოფითი მარკერები, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს როგორც პრევერბალურ, ისე პოსტვერბალურ პოზიციაში;

(2) პრევერბალური ნეგატიური მარკერები, რომლებიც ყოველთვის დგანან სრული ზმნის მარცხნივ;

(3) აფიქსალური ნეგატიური მარკერები, რომლებიც მონაწილეობენ ზმნის მორფოლოგიურ ფლექსიაში.

მოცემულ თავში აღწერილია ინგლისურ ენაში ნეგაციის გამოხატვის საშუალებები ენის სისტემურ, სინტაქსურ და დისკურსის დონეზე.

§1. უარყოფის გამოხატვის საშუალებები ენის სისტემური ელემენტების დონეზე ინგლისურ ენაში

ინგლისურ ენაში ენის სისტემურ დონეზე უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს უარყოფითი ლექსიკური ერთეულებით, რომლებსაც შეიძლება იმთავითვე ჰქონდეს უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობა ან წარმოებული იყოს სხვადასხვა საშუალებით. ინგლისურში უარყოფითი ლექსიკური ერთეულების წარმოების საშუალებებია: აფიქსაცია, პრეფიქსაცია და სიტყვათა წარმოება.

§1.1 უარყოფითი აფიქსები და აფიქსაციით წარმოებული უარყოფითი ლექსიკური ერთეულები ინგლისურ ენაში

უარყოფითი ლექსიკური ერთეულების მორფოლოგიური წარმოება ხდება უარყოფითი აფიქსებით. უარყოფითი პრეფიქსები სხვა პრეფიქსებთან შედარებით სემანტიკური კუთხით უფრო რთულია, ვინაიდან ხდება მათი მნიშვნელობების დომენების გადაფარვა [Plag, 2003: 99].

პრეფიქსი **a(n)** - ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს “not”, “without”, “lacking”. აღნიშნული პრეფიქსი გვხვდება:

(1) არსებითი სახელებისაგან წარმოებულ ზედსართავ სახელებში: abacterial, abiogenetic და ა.შ. ძირითადი მნიშვნელობა არის “without”. მაგალითად: achromatic - ფერის გარეშე (without color).

(2) არსებით სახელებთან - abaptism, abiogenesis, abiosis, aclusion; ზმნიშედები გვხვდება მცირე რაოდენობით: abiogenetically, atypically.

ამ პრეფიქსით ნაწარმოები ბევრი სიტყვა გვხვდება სამეცნიერო ლექსიკაში: aphasia, anoxia, aseptic [Plag, 2003: 99].

პრეფიქსი **anti-** გამოხატავს ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ცნებებს. მაგალითად, სიტყვებში: anti war, anti-capitalist, anti-scientific, anti-freeze, anti-pascist, პრეფიქსი შეიძლება პერეფრაზირებული იყოს როგორც: “against, opposing”.

პრეფიქსი **anti-** არსებითი სახელებისგან, ზედსართავი სახელებისგან და ზმნიშედებისგან აწარმოებს ზედსართავ სახელებს: **anti-war** movement, **anti-freeze** liquid.

მეორე ტიპის **anti-** პრეფიქსით არსებითი სახელებისგან ნაწარმოები არსებითი სახელების მნიშვნელობაა: “X-ის ოპოზიციური ერთეული”, ან “X-სგან განსხვავებული მახასიათებლის ჰქონა”. ასეთი ლექსიკურ ერთეულების მაგალითებია: **anti-hero**, **anti-particle**, **anti-professor** და ა.შ.

აღნიშნული პრეფიქსი შეიძლება დაერთოს გერუნდისაგ: **anti-agglutinating**, **anti-rotating** და მიმღობასაგ: **anti-mechanized** [Plag, 2003: 99].

პრეფიქსები **contra-/counter-** წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან *contra*, რომლის მნიშვნელობაა „against“. *Contra-* ნიშნავს: „against, opposite“, *counter-* ნიშნავს: „contrary, opposite“. მაგალითად, *contraposition* ნიშნავს: “an opposite position” (საწინააღმდეგო პოზიციას). *countercurrent* ნიშნავს: „a current flowing in an opposite direction” [დინება, რომელიც საწინააღმდეგო მიმართულებით მიედინება]. [Encyclopedia, 1996: 245]. პრეფიქსი **counter-** შეიძლება შეგვხვდეს ზმნასთანაგ: *counterpose*.

პრეფიქსები **contra-/counter-**, ძირითადად, იხმარება გასუბსტანტივებულ არსებით სახელბთან: *contra-dict-ion*, *counter-intellig-ence*, *contra-rie-ty*, *counter-meas-ure*.

de- პრეფიქსი წარმოსდგება ლათინურიდან და მისი მნიშვნელობაა: „from, off, apart, away, down, out.” ინგლისურ ენაში აღნიშნული პრეფიქსი გვხვდება ძალიან ხშირად და გამოხატავს მნიშვნელობას: „reversal, removal, reduction.” ამრიგად, “deactivate” ნიშნავს: „to make inactive”, “decontaminate” ნიშნავს: „to remove the contamination in” და “decompress” ნიშნავს: „to remove or reduce pressure” [Encyclopedia, 1996: 245].

პრეფიქსი **de-** დაერთვის ზმნებსა და არსებით სახელებს და აწარმოებს:

(1) ზმნებს შებრუნებითი და უარყოფითი მნიშვნელობით - *ecolonize*, *depollute*, *deselect*, *deactivate*, *decode* და ა.შ.

(2) არსებით სახელებს – *debarbarization*, *debriefing*, *decalcination* და ა.შ.;

(3) მცირე რაოდენობით ზედსართავ სახელებს – *decapitated*, *declassified* და სხვ.

ძალიან ხშირად ზმნები ამ პრეფიქსით პარასინთეზური წარმოებისაა. მაგალითად: *decaffeinate*. მას არ გააჩნია შესაბამისი ზმნა პრეფიქსის გარეშე [Plag, 2003: 99]. პრეფიქსი **de-** გვხვდება ბევრ ნეოლოგიზმთან: *decentralise*, *deconteminate*, *denazify* და ა.შ. [Арнольд, 1986: 98].

პრეფიქსი **dis-** ლათინური წარმოშობისაა და მისი მნიშვნელობებია: “not, not any“, „apart, asunder” [Encyclopedia, 1996: 245]. სემანტიკურად *un-* და *de-* პრეფიქსებთან არის დაკავშირებული და უცხოური ზმნების ფუძეებიდან აწარმოებს საწინააღმდეგო

მნიშვნელობის ზმნებს: disassemble, disassociate, discharge, disconnect, disqualify. გარდა ამისა, აღნიშნულ პრეფიქს შეუძლია აწარმოოს ძირითადი ზმნის უარყოფა სინტაქსური უარყოფით გამოხატული მნიშვნელობის მსგავსად: disagree – not agree, disobey – nor obey, dislike – not like და ა.შ. [Plag, 2003: 100]. სემანტიკურად ამ პრეფიქსით წარმოებული ზმნები შეიძლება გამოხატავდნენ:

(1) ფუძისეული მნიშვნელობის საწინააღმდეგო მნიშვნელობას, რაიმეს არარსებობას, თვისების არქონას: (believe - რწმენის ქონა, disbelieve - რწმენის არქონა): disaffirm, disagree, disappear, disapprove, disarm, disclaim, displease, disroot და ა.შ.

(2) შემადგენელ ნაწილებად დაყოფას, დაშლას (connect - შეერთება, დაკავშირება, disconnect - გათიშვა).

(3) რაიმეს დაკარგვას, ჩამორთმევას (dismiss - სამსახურიდან გაშვება): dispossess, disentitle.

dis- პრეფიქსი ასევე გვხვდება ლექსიკალიზებულ ზედსართავ სახელებში მნიშვნელობით: “არა X”. ასეთი ლექსიკური ერთეულების მაგალითებია: dishonest, dispassionate, disproportional და ა.შ. [Plag, 2003: 100].

პრეფიქსი **dis-** ასევე აწარმოებს არსებით სახელებს მნიშვნელობით “რაიმეს არარსებობა” (advantage – უპირატესობა, disadvantage – არახელსაყრელი მდგომარეობა): dis-believ-er, dis-tortion-ist, dis-infect-ion, dis-inclina-tion, dis-illu-sion, dis-agree-ment, dis-allow-ance, dis-obedi-ence, dis-loyal-ty, dis-commod-ity, dis-comfit-ure, dis-advant-age, ზმნებს: dislike, disobey, disrobe, discharge, disagree, disable, disconnect, disembark და სხვ.;

პრეფიქსი **dis-** დაერთვის ასევე ზედსართავ სახელებს: disloyal; მიმღეობას - dis-tracted, disappointed, displeased და გერუნდივს - dis-obliging.

პრეფიქსი **dis-** აწარმოებს მცირე რაოდენობით ზმნიზედებსაც: disobediantly, disadvantageously, disappointedly, discomfortably, discomposedly, disgracefully და ა.შ.

in- (im-/il-/ir-) პრეფიქსი გვხვდება მხოლოდ ლათინური წარმოშობის ზედსართავ სახელებთან და აქვს მნიშვნელობა “not”: incomprehensible, inactive, intolerable, implausible, illegal, irregular და ა.შ. [Plag, 2003: 100].

პრეფიქსით **in-** (**im-/il-/ir-**) იწარმოება:

(1) არსებითი სახელები: im-bal-ance, im-pati-ence, il-legal-ity, im-post-ure და სხვ.;

(2) ზედსართავი სახელები: in-cap-able, in-sensit-ive, in-flex-ible, in-glori-ous, im-mor-al და სხვ.;

(3) ზმნა: inactivate.

(4) ასევე მცირე რაოდენობით უარყოფით ზმნიზედებები: irrationally, improperly, indecently.

mis- პრეფიქსი ანგლო-საქსონური წარმოშობისაა. დაერთვის:

(1) ზმნებს (ძირითადად) და აქვს მნიშვნელობა: “არაზუსტი/არაზუსტად”, “არასწორი/არასწორად”: misalign, mispronounce, misreport, miscalculate, missaply, misdiagnose, misuse, mistrust, misdial.

(2) ზმნისაგან ნაწარმოებ არსებით სახელებს: mis-calcula-tion, mis-manage-ment, mis-conce-ive, mis-cogniz-ant, mis-app-ly, mis-chiev-ous, mis-di-al და სხვ.

(3) უშუალოდ არსებით სახელებს და აწარმოებს ისევ არსებით სახელებს: misfortune, mistrial და ა.შ.

non- პრეფიქსი აწარმოებს:

(1) უარყოფით ზედსართავ სახელებს ზედსართავ სახელზე დართვისას. ასეთ შემთხვევაში ლექსიკური ერთეული იძენს მნიშვნელობას: “არა X”. მაგალითად: non-biological, non-commercial, non-returnable.

un- და in- პრეფიქსებისაგან განსხვავებით **non-** პრეფიქსს არა აქვს შეფასებითი ძალა. მაგალითად: un-scientific და non-scientific, irrational. გარდა ამისა, **non-** უფრო აწარმოებს კონტრადიქტორულ და კომპლემენტარულ ოპოზიციებს [Plag, 2003: 100]. მათ შორის:

(2) არსებით სახელებს: nonsmoker, nonviolence, nonpayment და ა.შ.

(3) აბსტრაქტულ ნაზმნარ სახელებს: noninterference, nonsense, nonresistance.

(4) უარყოფით მიმღებებს: non-commissioned (არმიაში ოფიცერის წოდება მინიჭებულზე დაბალი რანგის), non-combatant (ყველა, ვინც დაკავშირებულია არმიასთან, მაგრამ არა საბრძოლო საქმიანობით). [Арнольд, 1986: 99].

un- გამოიყენება მარტივი არაემფატური უარყოფის წარმოებისათვის. იგი უფრო გამოხატავს არა ოპოზიციას, არამედ რაიმე არარეალურს ან შეიძლება ჰქონდეს ორი განსხვავებული მნიშვნელობა:

1. მარტივი უარყოფა, როდესაც ემატება ზედსართავის ან მიმღებობის ფუძეს: happy – unhappy, kind – unkind, even – uneven, believable – unbelievable, productive – unproductive.
2. ზმნებთან პრეფიქსის გამოყენებისას მნიშვნელობა შებრუნებადია, გამოხატავს კონტრარულ მოქმედებას: bind – unbind, do – undo, mask – unmask, pack – unpack [Арнольд, 1986: 99].

ა) შეერთება, მიმაგრება, დაკავშირება (to pack - ჩალაგება, to unpack - ამოლაგება);

ბ) დაფარება, დახურვა, რაიმეს მოთავსება (to dress - ჩაცმა; to undress - გახდა).

dis-, il-/im-/in-/ir- და un- პრეფიქსებით გამოხატული უარყოფა უფრო ძლიერია, ვიდრე ნაწილაკით not გამოხატული უარყოფა სინტაქსურ დონზე: not happy – unhappy, not polite – impolite; not regular – irregular; not to believe – to believe [Арнольд, 1986: 213-214]

კ. ზომერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იესპერსენის თვალსაზრისს. მან პირველმა ჩამოაყალიბა ზოგადი წესი, რომლის თანახმად un- პრეფიქსით ზედსართავი სახელების უმრავლესობას აქვთ გაუფასურების მნიშვნელობა [Zimmer, 2000: 9]. ამ საკითხს გააჩნია ლოგიკური საფუძველიც. აღნიშნული გულისხმობს კონტრალურ (ორზე მეტი შესაძლებლობის) და კონტრადიქტორულ (მხოლოდ ორი შესაძლებლობის) ცნებებს შორის დამოკიდებულებას. კ. ზომერი იძლევა შემდეგ განმარტებას:

(1) უარყოფითი აფიქსები გამოიყენება იმ ზედსართავი სახელების ფუძეებთან, რომლებსაც გააჩნიათ შეფასების სკალაზე “პოზიტიური” მნიშვნელობა - “good – bad”, “desirable – undesirable”;

(2) უარყოფითი აფიქსები არ გამოიყენება იმ ზედსართავი სახელების ფუძეებთან,

რომლებსაც გააჩნიათ შეფასების სკალაზე “ნეგატიური” მნიშვნელობა - “good – bad”, “desirable – undesirable” [Zimmer, 2000: 62].

ზიმერი თვლის, რომ არ არსებობს საიმედო კრიტერიუმები „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ ზედსართავი სახელების გარჩევისთვის, ამიტომ ყველა დასავო შემთხვევას განიხილავს ინტუიციის საფუძველზე და მიაკუთვნებს ნეიტრალურ კატეგორიას (მაგალითად: smooth, rough, sporadic, regular და ა.შ.).

მ. ალენი მიუთითებს, რომ un- და non- პრეფიქსებით წარმოებული სიტყვები სემანტიკურად განსხვავდება ერთმანეთისაგან: პრეფიქსი un-, ძირითადად, აწარმოებს კონტრარულ უარყოფას (თუმცა შეიძლება აწარმოოს კონტრადიქტორულიც), პრეფიქსით non-წარმოებული უარყოფითი ლექსიკური ერთეულები კი არიან ხოლოდ კონტრადიქტორული წყვილები. მაგალითად: unhuman treatment – non-human characteristics, undying melody – a non-dying organism [Allen, 2000: 202]. ამ თვალსაზრისით, non- პრეფიქსით გამოხატული უარყოფის ფარგლები ვრცელდება მთელ სიტყვაზე, un- პრეფიქსით გამოხატული უარყოფის ფარგლები კი შეეხება სიტყვის მხოლოდ გარკვეულ ასპექტს. მაგალითად: non-wearable და un-wear-able. Non-wearable გულისხმობს, რომ ვერასოდეს ვერ ჩაიცმევ, მაშინ როდესაც, un-wear-able არის weaeable, მაგრამ ვერ ჩაიცმევ დროებით გარკვეული მიზეზების გამო. ანალოგიურად, “non-fluctuating signal” არის სიგნალი, რომელიც არასოდეს არ განიცდის ფლუქტუაციას, მაშინ როდესაც, “unfluctuating signal” არის სიგნალი, რომელიც არ განიცდის ფლუქტუაციას ამ მომენტისათვის [Allen, 2000: 202].

პრეფიქსით **un-** ინგლისურ ენაში წარმოებული არსებითი სახელები არ არის ბევრი:

- (1) თვით არსებითი სახელებისაგან არიან წარმოებული: unbelief, unemployment, unreality, unlawfulness, uncertainty, uncorcern.
- (2) ზედსართავი სახელებისგან წარმოებული უარყოფითი ზედსართავი სახელები: uncomfortable, undesirable, unchangeable, uncharitable.

(3) ზმნიზედებისგან წარმოებული ნეგატიური ზმნიზედები: unapprovingly, unhesitatingly, unwillingly, unwittingly, unadvisedly, undesignedly, undeservedly.

(4) გერუნდივისგან წარმოებული ნეგატიური გერუნდივი: un-binding un-feeling, un-bending, მიმღობასთან: un-washed, unexpected, unqualified, unanswered, uninformed, unfinished, unsaid.

სუფიქსი **less-** ძველი ინგლისური სუფიქსია და გამოხატავს მნიშვნელობას “lacking”. იგი დაერთვის არსებით სახელებს და, ძირითადად, აწარმოებს ზედსართავ სახელებს: artless, effortless, faultless, homeless, restless და სხვ.

უარყოფითი ცირკუმფიქსებით ნაწარმოები მეტყველების ნაწილები მოცემულია ქვემოთ სქემის სახით:

სქემა N1

პრეფიქსები/ სუფიქსები	არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	ზმნა	ზმნიზედა	გერუნდივი	მიმღობა
un-	+	+	+	+	+	+
in-/im-/ir-/il-	+	+	+	+	-	-
non-	+	+	+	-	-	-
dis-	+	+	+	+	+	+
anti-	+	+	-	+	+	+
contra- /counter-	+	-	-	-	-	-
a-	+	+	-	+	-	-
mis-	+	-	+	-	-	-
-less	-	+		-	-	-

როგორც სქემიდან ჩანს, ინგლისურში აფიქსაციით წარმოებული მეტყველების ნაწილები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. უარყოფითი პრეფიქსებით უარყოფით ფორმებს აწარმოებს მეტყველების ნაწილთა უმრავლესობა. პრეფიქსაციის მხრივ ყველაზე პროდუქტიულია არსებითი სახლი, რომელიც ირთავს ყველა უარყოფის

გამომხატველ პრეფიქსს, შემდეგ მოდის ზმნა და ზედსართავი სახელი. შედარებით ნაკლებპროდუქტიულია ზმნიზედა, გერუნდივი და მიმლეობა.

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურ ენაში მორფოლოგიურ დონეზე უარყოფის წარმოება პრეფიქსაციით საკმაოდ პროდუქტიულია.

§ 1.2. უარყოფითი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულები ინგლისურ ენაში

გარდა ცირკუმფიქსებით წარმოებული უარყოფითი ლექსიკური ერთეულებისა, ენებში არის უარყოფითი სემანტიკის მქონე სიტყვები, რომლებშიც იმთავითვე ჩადებულია ნეგატიური მნიშვნელობა. ასეთებია:

(1) უარყოფითი სემანტიკის ზმნები. იოკო იერი ამ კატეგორიაში გამოყოფს შემდეგ ზმნებს: forbid, refuse, forebear, avoid, prohibit, prevent, refrain, fear, doubt, deny და სხვ. [Iyeiri, 2010].

He refuses to talk about it.

იგი უარს ამბობს ისაუბროს ამაზე.

She denies all the charges that have been made against her.

იგი უარყოფს ყველა ბრალდებას, რომელიც მას წაუყენეს.

Visitors are prohibited from feeding the animals.

მნახველებს ეკრძალებათ ცხოველების კვება.

(2) უარყოფითი ნაცვალსახელები: no one, nobody, nothing, none, neither, no:

No one has any doubts about his ability.

არავის ეპარება ეჭვი მის შესაძლებლობებში.

Neither opinion is true.

არც ერთი მოსაზრება არ არის სწორი.

It's nothing to what I saw in Paris.

ეს არაფერია იმასთან შედარებით რაც პარიზში ვნახე.

It's none of your business.

ეს შენი საქმე არ არის.

(3) სიტყვები, რომლებიც იწყება n-ით, ე.წ. n-სიტყვები: ზმნიზედები - nowhere, never, neither, კავშირი -neither...nor [Leech, 1994: 227].

He was nowhere to be seen.

იგი არსად არ ჩანდა.

We will never forget what we saw.

ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება რაც ვნახეთ.

Neither answer is correct (= both answers are wrong).

არც ერთი პასუხი არ არის სწორი (= ორივე პასუხი მცდარია).

She eats neither meat nor cheese.

იგი არ ჭამს არც ხორცს და არც ყველს.

(4) უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულია წინდებული without:

Without water, there would be no life on Earth.

წყლის გარეშე სიცოცხლე არ იქნებოდა დედამიწაზე.

They left without saying goodbye.

ისინი წავიდნენ დამშვიდობების გარეშე.

(5) ლექსიკური წყვილი ერთეულები, რომლებიც ურთიერთჩანაცვლებადია იმის მიხედვით თუ რა სახის კონტექსტია: დადებითი თუ უარყოფითი [Leech, 1994: 269]. ასეთი წყვილი ერთეულებია: some – any, something – anything, somebody – anybody, somewhere – anywhere, somehow – anyhow, anyone (someone), anyway (some way) და სხვ. შესაბამისად, any, anything, anybody, anywhere, anyhow და სხვ. გამოიყენება უარყოფით კონტექსტში (უარყოფის მოქმედების ფარგლებში):

I need some books.

I don't need any books.

I desperately tried to find the right place somewhere.

I didn't try to find the right place anywhere.

(6) სიტყვები, რომლებიც არ არიან ფორმით უარყოფითი, მაგრამ გამოდიან უარყოფითი მნიშვნელობით:

hardly, scarcely, barely (= „almost...not”);

few, little (= „not many”, “not much”);

rarely, seldom (=not often”) [Leech, 1994: 226-227).

Hardly had I lit a cigarette as the wind blew it out of my hands.

სიგარეტის ანთება ვერ მოვასწარი, რომ ქარმა გამაგდებინა ხელიდან.

I can hardly believe it!

წარმოუდგენელია ამის დაჯერება!

From such a height his voice is barely audible.

ამ სიმაღლიდან თითქმის ვერ აღწევს ხმა დაბლა.

It'll take a little while.

ეს არ დაიკავებს დიდ დროს.

ინგლისურში უარყოფითი ლექსიკური ერთეულების მრავალი კლასიფიკაცია არსებობს. ადამ ვერლი გვთავაზობს ე.წ. განუსაზღვრელ უარყოფით ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც გამოიყენება არარსებობის გამოხატვისათვის და იძლევა ასეთი ლექსიკური ერთეულების ორ სერიას [Werle, 2002]:

no სერია: no, nothing, no one (nobody, nowhere, never)

any სერია: any, anything, anyone (anybody, anywhere, ever)

უარყოფით განუსაზღვრელ ლექსიკურ ერთეულებთან მიმართებაში არსებობს ორი ხედვა: ძლიერი (strong view) და სუსტი (weak view) [Werle, 2002]. ძლიერი ხედვის თანახმად, ყველა სკალარული განუსაზღვრელი სიტყვა არის უარყოფითი კვანტორი [Zanuttini, 1991; Haegeman, 1995; Brown, 1999]. სუსტი ხედვის თანახმად, უარყოფითი

განუსაზღვრელი ლექსიკური ერთეულები განიხილება მათი ფუნქციის მიხედვით [Karel, 1996; Haspelmath, 1997]. სუსტი ხედვა არ ითვალისწინებს კლასიფიკაციას.

აღამ ვერლის თანახმად, მკაცრი სკალარული ხედვის გათვალისწინებით, ნეგატიური განუსაზღვრელი ლექსიკური ერთეულები ენების უმრავლესობაში არის სკალარული განუსაზღვრელი სიტყვები (SIs – Scalar Indefinites), თუმცა ზოგიერთ ენაში ისინი შესაძლოა უარყოფით კვანტორებადაც ჩაითვალოს. ვერლის თანახმად, no არის უარყოფითი კვანტორი, ხოლო any - სკალარული განუსაზღვრელი ლექსიკური ერთეული.

ა. ვერლის თვალსაზრისით, უარყოფითი კვანტორების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ ისინი არარსებობას გამოხატავენ ზმნით გამოხატული უარყოფის ან რომელიმე სხვა უარყოფის მიერ ლიცენზირების გარეშე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მათ სემანტიკაში იმთავითვე ჩადებულია უარყოფითი მნიშვნელობა [Werle, 2002].

3. ზეილსტრა გამოყოფს უარყოფითი ლექსიკური ერთეულების ოთხ ჯგუფს [Zeijlstra, 2004: 38-39]:

(1) უარყოფითი მარკერები, რომლებიც გამოხატავენ უარყოფას და გამოიყენება სინტაქსური უარყოფის გამოხატვისათვის, მაგ.: ნაწილაკი not:

John does not walk.

(2) უარყოფითი კვანტორები, რომლებიც არა მარტო უარყოფენ წინადადებას ან მის რომელიმე შემადგენელ ნაწილს, არამედ აკავშირებენ კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულს ამ წინადადებასთან ან მის შემადგენელ ნაწილთან:

John sees nothing.

(3) უარყოფითი ლექსიკური ერთეულები, რომლებმაც წინადადებაში მათი მდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება შექმნან უარყოფითი კონტექსტი. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ლექსიკურ ერთეულებს განიხილავენ როგორც ნეგატიურ კვანტორებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი - როგორც არაუარყოფითი მნიშვნელობის ეგზისტენციურ კვანტორებს:

Nobody eats anything.

Nothing is done by anybody.

(4) ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც არა აქვთ მკაცრი უარყოფითი წაკითხვა, მაგრამ გააჩნიათ უარყოფითი სემანტიკური კონოტაცია, მაგ.: few. ჰ. ზეილსტრა ამ ჯგუფს მიაკუთვნებს ზოგიერთ ზმნას: fear, fail, doubt და, აგრეთვე, წინდებულებს: without, unless:

Mary has killed John without knife.

Few girls like John.

გარდა უარყოფითი მარკერებისა და უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებისა, ენებში გვხვდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ყოველთვის ან ხშირად კოლოკაციაში იმყოფება/ასოცირებულია უარყოფასთან. ასეთია ე.წ. უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულები. ინგლისურ ენაში ბევრი კვლევაა ჩატარებული მათზე. ამ ლექსიკური ერთეულების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მათ აქვთ შეზღუდული გამოყენება, კერძოდ, მათი გამოყენება ხდება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში/უარყოფის მოქმედების სფეროში [Wouden, 1994: 3]. ასეთ ერთეულებს მიეკუთვნება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შეიძლება იყოს მეტყველების სხვადასხვა ნაწილი: any (ნაცვალსახელი), yet, ever, until (ზმნიზედები), bother to (ზმნა) და ა.შ. გარდა ცალკეული ლექსიკური ერთეულებისა ამ ჯგუფში შედის სიტყვათა კომბინაციები და ფრაზეოლოგიზმები - **to lift a finger, to drink a drop, to budge an inch, to hurt a fly, to give a red cent, to bat an eye, to eat a bite, to do a thing, to give a damn/shit, to say a word, to utter a sound, in the least** და ა. შ.:

Bob didn't see any apple on the table.

* Bob saw any apple on the table.

I don't think I could ever trust you.

*I think I could ever trust you.

John never hurts a fly.

* John sometimes hurts a fly.

Frank didn't drink a drop of wine at the party.

* Frank drank a drop of wine at the party.

მეტყველების ნაწილების მიხედვით უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების სინტაქსური კლასიფიკაციის გარდა ლინგვისტები იძლევიან ამ ჯგუფის ლექსიკური ერთეულების სხვაგვარ კლასიფიკაციებსაც [Klima, 1964; Fauconnier, 1975a; Linebarger, 1980; von Bergen & von Bergen, 1993]. მაგრამ საბოლოოდ, არც ერთი კლასიფიკაცია არ აღმოჩნდა საკმარისად ეფექტური. ყველა ზემოხსენებულ კლასიფიკაციაში შედიოდა ლექსიკური ერთეულების ჰეტეროგენული ჯგუფები. ლინგვისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია ზუსტი კლასიფიკაცია და უარყოფითი პოლარული ელემენტები ღია კლასს მიაკუთვნეს.

ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთმა ლექსიკურმა ერთეულმა შესაძლოა დაკარგოს ან შეიძინოს უარყოფითი პოლარული თვისება. ზოგიერთი გამონათქვამი შეიძლება გახდეს პოლარული მგრძნობელობის მქონე მისი სემანტიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, თუმცა ძნელია წინსაწარ განსაზღვრა, ენის განვითარების პროცესში გარკვეულ ეტაპზე რომელიმე გამონათქვამი შეიძლება გახდეს პოლარულად მგრძნობიარე [Hoeksema, 1994]. აღნიშნულის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ინგლისური ზმნიზედა “ever”. იგი ჩამოყალიბდა, როგორც ნეგატიური პოლარული ლექსიკური ერთეული, მაგრამ მას თავიდან ჰქონდა არაპოლარული მნიშვნელობა ‘ყოველთვის’. შემორჩენილია გამოთქმა: he is ever a gentleman [Wouden, 1994: 17]. ინგლისურ-ქართული ლექსიკონის თანახმად, უარყოფით წინადადებებში მას აქვს მნიშვნელობა: **არასოდეს** [თ. მარგალიტაძე, 1997: 88-89].

did you love him? – Not ever - თუ გიყვარდათ იგი? – არა, არასოდეს.

nobody has ever done this before - ეს ჯერ არავის არასოდეს არ გაუკეთებია.

he is ever without a job - არასოდეს სამუშაო არა აქვს/მუდამ უმუშევარია.

I don't think we have ever met - მე მგონი ჩვენ არასოდეს შევხვედრივით ერთმანეთს.

nothing ever happens in our village - ჩვენს სოფელში არასოდეს არაფერი არ ხდება.

ამას ადასტურებს ლიტერატურიდან მოყვანილი მაგალითებიც, სადაც უარყოფითი მნიშვნელობა განსაზღვრულია ნეგატიური კონტექსტით:

The barrels of the guns that had hung on the deer feet on the wall of the log house lay out there on the heap of ashes and no one **ever** touched them. [ჰემინგუეი, 1963: 233]

თოვის ლულები კი, რომლებიც წინათ ძელურ სახლში ეკიდა კედლებზე, ახლა გარეთ ეყარა ნაცარში და ხელს აღარავინ ახლებდა.

Gekko: <id=233507146851141&cpos=81613294&word=ისედაც>

... because practically the whole school except me was there, and scrawny and faggy on the Saxon Hall side, because the visiting team hardly **ever** brought many people with them. [Selinger, 1979a: 28]

რადგან მთელი სკოლა იქ იყო, ჩემს გარდა. საქსონ ჰოლის ტრიბუნებიდან კი მისუსტებული კნავილიდა აღწევდა; ასეა ხოლმე – ჩამოსულ გუნდს ხალხი ცოტა ახლავს.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90540210&word=ცოტა>

He wasn't even listening. He hardly **ever** listened to you when you said something. [Selinger, 1979a: 35]

არც კი მისმენდა ასეთი ზნე სჭირს – შენ რაღაცას ეუბნები, ის კი არ გისმენს.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90542657&word=არ>

I don't think I'll **ever** forgive him for reading me that crap out loud. [Selinger, 1979a: 37]

არასოდეს არ ვაპატიებ, რომ სისულელე ასე ხმამაღლა წამიკითხა.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90543140&word=არასოდეს>

I'm the most terrific liar you **ever** saw in your life. [Selinger, 1979a: 40]

ჩემისთანა ტყუილების გუდას, ალბათ, ჯერაც არ შევხვედრივარ ცხოვრებაში.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90544328&word=არ>

He was a senior, and he'd been at Pencey the whole four years and all, but nobody **ever** called him anything except "Ackley. [Selinger, 1979a: 43]

უფროსი იყო, მთელი ოთხი წელი გაეტარებინა პენსიში, მაგრამ სახელს მაინც არ ეძახდნენ, გვართ მიმართავდნენ ხოლმე – “ეკლი”.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90545374&word=არ>

პოლარული ლექსიკური ერთეულების სემანტიკური თვისებები მნიშვნელოვნად განსხვავდება უარყოფითი კვანტორების სემანტიკური თვისებებისაგან. თუმცა, ორივე ჯგუფის ელემენტები გამოხატავენ არაყოფიერებას, პოლარული ლექსიკური ერთეულების მიერ გამოხატული უარყოფა უფრო მრავალფეროვანია. ზოგიერთი ლინგვისტის თანახმად, პოლარული ლექსიკური ერთეულები არიან სკალარული განუსაზღვრელი სიტყვები [Fauconnier, 1975a; Lee & Horn, 1994; Israel, 1996; Haspelmath, 1993]. ამას გარდა, ვერლიმ გააფართოვა სკალარული განუსაზღვრელი ლექსიკური ერთეულების საზღვრები და მოგვაწოდა პოლარული ლექსიკური ერთეულების სემანტიკა, რომლის თანახმად, ისინი შეიძლება იძლეოდნენ როგორც უარყოფითი, ასევე თავისუფალი არჩევანის ინტერპრეტაციას. მათ უარყოფის გამოხატვისათვის სჭირდებათ ზმნით გამოხატულ უარყოფასთან კომბინაცია [Werle, 2002]. უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების სინტაქსური მახასიათებლები განხილული იქნება მეორე თავის § 1.2 პარაგრაფში.

უარყოფასთან ხშირად ასოცირებულია/კოლოკაციაში იმყოფება გარკვეული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც, ფაქტიურად, ხელს უწყობენ მის ინტენსიფიკაციას, მაქსიმიზაციას. მათთან კომბინაცია, ძირითადად, გამოხატავს ემფაზას.

რ. კვერკი ინტენსიფიკატორებს სემანტიკური მახასიათებლის მიხედვით ყოფს სამ ჯგუფად: (1) აქცენტირებადი, (2) გამაძლიერებელი და (3) დამაკნინებელი [Quirk ..., 1985]. ინტენსიფიკატორები არ გამოხატავენ მხოლოდ ინტენსივობის ზრდას, ისინი მიუთითებენ ინტენსივობის სკალაზე გარკვეულ წერტილს, რომელიც შესაძლოა იყოს მაღალი ან დაბალი. აქცენტირებადი ლექსიკური ერთეულები გამოიყენება ხაზგასმისათვის, გამაძლიერებლები - მიუთითებენ ნორმის ზემოთ მაჩვენებელს, დამაკნინებელი - მიუთითებენ ნორმის ქვედა მაჩვენებელს.

(1) აქცენტირებადი ინტენსიფიკატორების მაგალითებია: definitely, actually, certainly, clearly, indeed, obviously, plainly, really, surely, for certain, for sure, ofcourse, frankly, honestly, literally, simply, fairly (BrE), just:

I just can't understand it.

I honestly don't know what he wants.

I simply don't believe it.

(2) გამაძლიერებელის ჯგუფში შედის:

- მაქსიმიზატორები, რომლებიც მიუთითებენ სკალის უმაღლეს წერტილზე (absolutely, altogether, completely, entirely, fully, quite, thoroughly, utterly, in all respect, most):

We absolutely refuse to listen to your grumbling.

He denied it completely.

- ბუსტერები (badly, deeply, greatly, heartily, much, so, violently, well, a great deal, a good deal, a lot, by far; exclamatory how, more) – მიუთითებენ სკალის შედარებით უფრო მაღალ წერტილზე:

He didn't care much about it.

- დამაკნინებელი ლექსიკური ერთეულების ჯგუფში, თავის მხრივ შედის რამოდენიმე ქვეჯგუფი:

- კომპრომიზატორები, რომლებიც ოდნავ ამცირებენ ეფექტს (kind of/sort of, quite/rather, more or less).

- ნაწილობრივ დამაკნინებლები (partly, slightly, somewhat, in part, to some extent, a little).

- მინიმიატორები (a bit, barely, hardly, scarcely, little, in the least, in the slightest, at all), რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ ეფექტს.

- მიახლოებითობის აღმნიშვნელები (almost, nearly, as good as, all but), რომლებიც გამოხატავენ ზმნის ძალის მიახლოებულ მნიშვნელობას:

I almost didn't meet him.

უარყოფის ემოციური ინტენსიფიკაციის სხვადასხვა გზა არსებობს. ასეთია ფრაზები: by no means, by any means და ა.შ. უარყოფითი კუთხით ემფაზა კეთდება ნეგატიური მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულების კოლოკაციით უარყოფასთა at all, whatever, ever, a bit, any more და ა. შ.:

I found nothing at all the matter with him.

You have no excuse whatever.

ზმნიზედის ever გამეორება ხდება ემფაზისთვის ან იხმარება როგორც გამაძლიერებელი:

I'll never, never go there again.

I've never in all my life seen such a crowd.

გამონათქვამები not one და not a (single) არის თვლადი არსებითი სახელების მსაზღვრელის ემფატური ალტერნატიული გამონათქვამი.

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ნეგაცია სინტაქსის დონეზე სცდება უარყოფითი სემანტიკის ფარგლებს. უარყოფითი სემანტიკური ლექსიკური ერთეულების გარდა ამ კატეგორიას მიეკუთვნება უარყოფასთან კოლოკაციაში მყოფი და უარყოფის მოქმედების სფეროში არსებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეული. ზემოთ განხილული ნეგატიური და ნეგატიურ კონტექტში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები მათი სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით, შეიძლება განვალაგოთ ჯგუფებად შემდეგი თანმიმდევრობით:

(1) მორფოლოგიურ დონეზე უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულები. ასეთია შედგენილი სიტყვები: nobody, nothing, nowhere და აფიქსაციით

წარმოებული სიტყვები: უარყოფითი პრეფიქსებით- un-, dis-, in/im/il/ir-, non-, anti-, contra-, counter-, mis- და უარყოფითი სუფიქსით - -less.

(2) იმთავითვე უარყოფითი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულები, როგორცაა ზმნები - refuse, deny, reject, etc), ზმნიზედები - never, nowhere, წინდებული - without, კავშირები - neither...nor, neither.

(3) დამაკნინებელი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულები, როგორცაა ზმნიზედები: hardly, scarcely, barely, nearly, ever, almost, only, few, little და სხვ.;

(4) უარყოფითი კონტექსტიდან გამომდინარე ჩანაცვლებადი ლექსიკური ერთეულები. ასეთი წყვილი ერთეულებია: any (some); anybody (somebody); anywhere (somewhere) anything (something), anyhow (somehow), anyone (someone), anyway (somehow) და სხვ.;


(5) უარყოფასთან ასოცირებული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ძირითადად უარყოფის მაქსიმიზაციას უწყობენ ხელს: until, at all, a bit, any more, yet და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური და ნეგაციაში მონაწილე ლექსიკური ერთეულების ბოლო ოთხი ჯგუფი წარმოადგენს უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების კატეგორიას.

§ 2 უარყოფის გამოხატვა სინტაქსის დონეზე ინგლისურ ენაში

ინგლისურში, ისე როგორც ყველა ენაში, სინტაქსის დონეზე შეიძლება გამოვყოთ უარყოფითი თხრობითი, კითხვითი და ძახილითი წინადადებები.

კვერკი “მტკიცებითობის” (assertion) ასპექტით გამოყოფს წინადადებების ორ ტიპს: მტკიცებითს (assertive) და არამტკიცებითს (non-assertive). თავის მხრივ, არამტკიცებითი წინადადება შეიძლება იყოს ორი ფორმით - თხრობითი და კითხვითი [Quirk, 1976: 26]. აღნიშნული სქემის სახით წარმოდგენილია ქვემოთ:



უარყოფით თხრობითი წინადადება გამოხატავს უარყოფითი ფაქტის, მოვლენის ან რაიმეზე უარის კონსტატირებას. ე. კლიმას თანახმად, უარყოფა სინტაქსის დონეზე შეიძლება გამოხატული იყოს ზოგადი (sentential negation) და კერძო უარყოფის (constituent negation) სახით [Klima, 1964]:

- a. George didn't attend Professor Lee's lecture.
- b. George decided not to attend Professor Lee's lecture. [Muntaña, 2008]

ბუნებრივ ენებში ოპოზიციები არასოდეს არ არიან თანაბარნი: არამარკირებული მტკიცებითი გამონათქვამი და მარკირებული უარყოფითი გამონათქვამი, მტკიცებითი წინადადების ზოგადი გამოყენება და პრაგმატულად დატვირთული უარყოფითი წინადადება, ორმაგი უარყოფის მარტივი ლოგიკა და უარყოფის უარყოფის რთული ლინგვისტური პრაგმატიკა (რომლის თანახმად, ორმაგი უარყოფა არასოდეს არ არის ზუსტად იგივეს დამამტკიცებელი, რაზედაც მიუთითებს წინადადების შესაბამისი მტკიცებითი ფორმა). ყველა უარყოფით წინადადებას არ გააჩნია პირდაპირი მტკიცებითი წყვილი, ისევე როგორც, ყველა დადებით წინადადებას არა აქვს შესაბამისი მარტივი უარყოფა. ამას გარდა, ბუნებრივ ენებში გვხვდება კონსტრუქციები, რომლებიც არ გამოხატავენ არც უარყოფას და არც მტკიცებას, ისინი შეიძლება იყვნენ პოლარული ერთი ან მეორე მიმართულებით.

მ. ისრაელი გამოყოფს სამი ტიპის პოლარულ ოპოზიციას: (1) კონტრადიქციას, (2) კონტრარობასა და (3) „ვექტორულს“ (reversal) [Israel, 2004].

(1) კონტრადიქტორული ოპოზიციის შემთხვევაში, ერთი გამონათქვამი სწორია და მეორე - არა.

(2) კონტრარული ოპოზიციის შემთხვევაში - მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, თუმცა ორივე შეიძლება იყოს მცდარი.

(3) „ვექტორული“ ოპოზიცია მოიცავს არა უშუალოდ პროპოზიციის ან პრედიკატის, არამედ, სკალაზე თანმიმდევრულად განლაგებული ერთეულების ოპოზიციას.

კონტრადიქცია არის ენაში ოპოზიციის ძირითადი გამომხატველი. ეს არის ბინარული ოპოზიცია ორ სემანტიკურ ერთეულს შორის, რომელიც მოცემული დომენისათვის ამოწურავს სხვა შესაძლებლობას. თუმცა, უფრო ფართო კონცეპტუალურ დომენში შესაძლებელია გამოირიცხოს ორზე მეტი ერთეული და სწორედ ამ შემთხვევაში აქვს ადგილი კონტრარულ ოპოზიციას. თეთრი ფერი კონტრარულია ცისფერი, წითელი, მწვანე და ა.შ. ფერების, მაგრამ, მისი ჭეშმარიტი ოპოზიცია არის შავი. არისტოტელეს თანახმად, შეიძლება გამოვყოთ შეუთავსებადი და ჭეშმარიტი პოლარული კონტრარული ერთეულები [Aristotle, 1976].

პოლარული კონტრარულობა საჭიროებს სკალარული განზომილების დომენს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ მაქსიმალურ ოპოზიციაზე. მ. ისრაელი თვლის, რომ ჩვენი კონცეპტუალური დომენების უმრავლესობა არის სკალარული: პერცეფციული, ემოციური, შეფასებითი ცნებები ყველა არის ხარისხობრივი კატეგორიები, შესაბამისად, მათი აღწერისათვის გამოყენებული ლექსიკური ერთეულებიც გამოხატავს ხარისხობრივ მაჩვენებელს, სკალარობას [Israel, 2004].

სკალარულ პრედიკატებთან დაკავშირებული სირთულე შეეხება გამომდინარეობის საკითხს, კერძოდ, პოლარულ ანტონიმებს, რომლებიც მიეკუთვნება ოპოზიციურ დომენებს და იძლევა ოპოზიციური ტიპის გამომდინარეობას.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ასახავს ჰორნის სკალებს, რომლებზეც ნაჩვენებია რაოდენობრივი, ეპისტემური მოდალობის, ტემპერატურის, უპირატესობის და შეფასების დომენები [Horn, 1972, 2001: 231]:

{all, most, many, some}	{none, hardly any, few}
{necessary, likely, possible}	{impossible, unlikely, uncertain}
{boiling, hot, warm}	{freezing, cold, cool}
{adore, love, like}	{loathe, hate, dislike}
{excellent, good, OK}	{terrible/awful, bad, mediocre}

თითოეული დომენი შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი განსხვავებული ოპოზიციური წყობის სკალის სახით. ტემპერატურის სკალისთვის არის “hot” სკალა, სადაც “hot” უფრო ცხელია, ვიდრე “warm” და მეორე, “cold” სკალა, სადაც “cold” აღემატება “cool”-ს. რეალურად ისინი შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთი სკალის სახით: {boiling, hot, warm, cool, cold, freezing}.

ოპოზიციის აღნიშნული მესამე (სკალარული) კატეგორია მნიშვნელოვნად განსხვავდება კონტრარობისა და კონტრადიქტორობისგან. სკალები არ არიან პროპოზიციები და, შესაბამისად, ვერ იქნებიან ჭეშმარიტი ან მცდარი. მაგრამ, სკალები განსაზღვრავენ პროპოზიციებს შორის გამომდინარეობით დამოკიდებულებას და ეს გამომდინარეობა არსებითად განსაზღვრავს სკალაზე განლაგებული ერთეულების რიგითობას/თანმიმდევრობას.

სკალარული გამომდინარეობის ორი სახე არსებობს - სკალარული დამოკიდებულება და სკალარული იმპლიკაცია. ზოგადად, სკალები შეიძლება განსხვავებული იყოს, მასზე განლაგებული ერთეულების თანმიმდევრობა შეიძლება იყოს არა მარტო სემანტიკური პარამეტრების გათვალისწინებით. ფოკონიემ [Fauconnier, 1975a, 1975b] გვიჩვენა, რომ სკალების „ინფერენსი“ (გამომდინარეობა) შეიძლება არ იყოს ყოველთვის ლოგიკური და ემყარებოდეს მოლოდინს. მაგალითად, ჩვენი მოლოდინია, რომ თუ ადამიანი უმკლავდება რთულ პრობლემას, იგი ასევე წარმატებით გაუმკლავდება ადვილ პრობლემასაც. ანალოგიური მოლოდინის ამსახველი პრედიკატები შეიძლება გამოხატული იყოს სკალარულად და იყოს გამომდინარეობის პრინციპის საფუძველი, მაგალითად:

Hank can run a five minute mile. => he can run a slower mile. |= he can't run a faster mile.

Hank can't run a five minute mile. => he can't run a faster mile. |= he can run a slower mile.

უარყოფა არის ერთ-ერთი ოპერატორი, რომელიც იწვევს სკალის შეტრიალებას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ნეგაცია არ გულისხმობს წინადადებაში მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულების არსებობას. ნეგაცია უფრო ფართო ცნებაა. ბევრი კვლევაა ჩატარებული ნეგაციის დეფინიციის, მისი მარკერების განსაზღვრისა და მოქმედების ფარგლების დადგენის მიზნით.

ე. კლიმას თვალსაზრისით, not და n't უარყოფა, უარყოფითი სახელური ფრაზები (nobody, nothing), უარყოფითი და საწინააღმდეგოს გამომხატველი/მაპირისპირებელი ზმნები (doubt), სიტყვები ნეგატიური აფიქსებით (unable, impossible) და ა.შ. შეესაბამება ნეგატიურ კონტექსტს, ვინაიდან მათი მოქმედების სფეროში ხდება უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების გამოყენება (ლიცენზირება) [Klima, 1964]. ზოგადად, უარყოფის მოქმედების სფერო (scope, სკოპუსი) განსაზღვრავს იმ სემანტიკურ ზემოქმედებას, რომელსაც ზოგიერთი სიტყვა წინადადებაში ახდენს მის გვერდით მდგომ ლექსიკურ ერთეულებზე [Quirk ..., 1985: 85]. მოქმედების სფეროდ მიჩნეულია უარყოფითი მორფემის მიერ დომინირებული მონაკვეთი და მის მარჯვნივ არსებული სფერო [Jackendoff, 1972].

ჯერ კიდევ ე. კლიმამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ როდესაც any გამოყენებული იყო უარყოფით წინადადებაში, some გამოიყენებოდა შესაბამის დადებით წინადადებაში. ე. კლიმა აღნიშნულ საკითხს მიუდგა ტრანსფორმაციული კუთხით, კერძოდ, იგი თვლიდა, რომ ტრანსფორმაცია განსაზღვრავს some-ის ჩანაცვლებას any-ით. მან ამ ტრანსფორმაციას უწოდა Indef-ინკორპორაცია. აღნიშნული ტრანსფორმაცია ხდება მხოლოდ უარყოფის მოქმედების ფარგლებში. კლიმა ასევე თვლიდა, რომ

ლექსიკურ ერთეულებში: *doubt*, *scarcely* და *dislike* ინკორპორირებულია “უარყოფითი აფიქსი”, როდესაც აქვს ¹¹*neg*-მახასიათებელი ე. კლიმა ასევე აღნიშნავდა, რომ *any* და *ever* შეიძლება ლიცენზირებული იყოს ზოგიერთ ისეთ გარემოში, რომელიც არ არის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი. ასეთი სინტაქსური გარემო შეიძლება იყოს: შეკითხვა, კვანტორების რესტრიქტორები (შემზღუდველები) და პირობითობის განმსაზღვრელები (*antecedents of conditionals*).

აღნიშნულიდან გამომდინარე, უარყოფითი კონტექსტი არ გულისხმობს წინადადებაში უბრალოდ უარყოფითი მარკერის არსებობას. კონტექსტის უარყოფითობა შეიძლება განისაზღვროს უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების დისტრიბუციის პირობების მიხედვითაც. აღნიშნული ლექსიკური ერთეულები გვხვდება არა მარტო უარყოფით კვანტორებთან, მათი ლიცენზირება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ფაქტორებითაც.

უ. ლადუსო და ფ. ცვარცი მიუთითებდნენ, რომ უარყოფით პოლარული ერთეულების ლიცენზირება შეიძლება მოხდეს დადმავალი შედეგობრიობის ოპერატორების გამოყენებით. ასეთი ოპერატორებია: *no one*, *few children*, *hardly any students* და სხვ. [Ladusaw, 1980; Zwarts, 1986]. ფ. ცვარცმა და ა. გიანიკიდომ აღნიშნულს დაუმატეს კიდევ ერთი პირობა - არავერიდიკალური კონტექსტი [Zwarts, 1995; Giannakidou, 1998]. არავერიდიკალური კონტექსტი მოიცავს არა მარტო დადმავალი შედეგობრიობის ოპერატორებს, არამედ გარკვეულ მოდალურ გარემოსაც (კავშირებით კილოს) და რიტორიკულ კითხვებს.

¹¹*neg*-მახასიათებელი - ჰეგემანი და ზანუტინი [Haegeman & Zanuttini, 1991] *Neg*-მახასიათებელს განსაზღვრავს როგორც რიზისა [რიზი, 1991] და ჰეგემანის [Haegeman, 1992] აფექტურობის კრიტერიუმის რეალიზაციას, რომელიც არეგულირებს მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებულ ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის გამოყენებას. აფექტურობის კრიტერიუმი შეეხება ისეთი მახასიათებლების მქონე ლექსიკურ ერთეულებს, რომლთა გამოყენება საჭიროებს ფუნქციური კატეგორიის კუთხით შეფასებას.

ზოგადად, თეორიები პოლარული მგრძობელობის შესახებ ორი მიმართულებისაა. ერთი აქცენტს აკეთებს სინტაქსზე, მეორე - სემანტიკაზე. ორივე ემყარება ე. კლიმას, რომელიც თვლიდა, რომ პოლარობის ცენზორებს აქვთ საერთო გრამატიკულ-სემანტიკური მახასიათებელი, ე. წ. “აფექტურობა” [Klima, 1964: 313] და ნეგატიური ლექსიკური ერთეულების ლიცენზირება ხდება იმ შემთხვევაში თუ ისინი იმყოფებიან ცენზორის “ზემდგომი ზემოქმედების სფეროში” (c-command). სემანტიკური თეორიები ფოკუსირებულია აფექტურობაზე [Hoeksema 1983, 1986; Zwarts 1996a, ბ; Wouden 1994, Giannakidou 1998]. სინტაქსური თეორიები ორიენტირებულია ცენზორსა (როგორ წესი, უარყოფას) და უარყოფით პოლარულ ლექსიკურ ერთეულს შორის არსებულ სინტაქსურ დამოკიდებულებაზე [Progovac, 1994; Kato, 2000].

თანამედროვე სემანტიკური მიდგომა იწყება ფოკონიეს პრაგმატული სკალებითა და იმპლიკაციის შებრუნებით [Fauconnier, 1975a, 1975b, 1978]. მან ჰორნის სემანტიკური სკალის საფუძველზე შემოიღო პრაგმატული სკალის ცნება, რომელიც ასოცირებულია პროპოზიციების სქემასთან [Horn, 1972]. პროპოზიციები სკალაზე განლაგებულია მზარდი/კლებადი მოსალოდნელი თანმიმდევრობით. სკალის დაბალ წერტილებზე განლაგებულია ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელი პროპოზიცია, ზედა წერტილებზე - ყველაზე მეტად მოსალოდნელი პროპოზიცია. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი წინადადება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემის სახით:

Frank can't solve the simplest problem.

x^n ყველაზე მარტივი ამოცანა

|

x^3

|

x^2

|

x^1

|

x^0 ყველაზე რთული ამოცანა

თუ ფრენკი ვერ ხსნის უმარტივეს ამოცანას (სკალის ყველაზე მაღალი წერილი), ეს გულისხმობს, რომ იგი ვერ შეძლებს მასზე რული ვერანაირი ამოცანის ამოხსნას. აღნიშნული ერთეულები სკალაზე მდებარეობენ უფრო დაბლა და, შესაბამისად, არიან უფრო რთული.

არსებითი სახელი ფრაზებში – “to lift a finger” და “to drink a drop” – არის იმპლიკაციის სკალის დაბალი წერტილი. ამრიგად, “to lift a finger” შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე მცირე ერთეულად ფიზიკური აქტივობის სკალაზე. ანალოგიურად, ფრაზა “a drop” მიუთითებს მინიმალურ რაოდენობას სითხის რაოდენობრივი მაჩვენებლის სკალაზე.

წინადადების - Frank didn't drink a drop იმპლიკაცია გულისხმობს შემდეგს:

Frank didn't drink a drop => Frank didn't drink a cup => Frank didn't drink a pint => Frank didn't drink a quart.

აღნიშნული წინადადების სქემა მოყვანილია ქვემოთ:

x^n ტონა
|
 x^3 ლიტრი
|
 x^2 ჭიქა
|
 x^1
|
 x^0 წვეთი

ფრენკს არ დაუღევია სითხის უმცირესი რაოდენობა, ექვივალენტურია იმისი, რომ მას საერთოდ არ დაუღევია.

ფოკონიე თვლის, რომ, როდესაც პროპოზიცია იცვლება მისი უარყოფით, ხდება გამომდინარეობის შეტრიალება. თუ რეგულარულ სკალაზე გამომდინარეობა აღმავალი მიმართულებისაა, შებრუნებულ სკალაზე გამომდინარეობა იქნება დაღმავალი.

ლადუსოს მოსაზრებით, უარყოფითი პოლარული ლექსიკური ერთეულების ლიცენზირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ დაღმავალი გამომდინარეობის (DE – Downward Entailment) ოპერატორის მოქმედების სფეროში [Ladusaw, 1979]. დაღმავალი გამომდინარეობის კონტექსტი ინტუიციურად აკეთებს გამომდინარეობას უფრო ზოგადიდან უფრო კონკრეტულისაკენ, ჯგუფიდან ქვეჯგუფისკენ. უარყოფა არის დაღმავალი გამომდინარეობის ოპერატორი, ვინაიდან იძლევა გამომდინარეობას ჯგუფიდან ქვეჯგუფის მიმართულებით. “Child doesn’t eat vegetables” გულისხმობს რომ: “Child doesn’t eat carrots”, ვინაიდან, სტაფილო არის ბოსტნეულის ჯგუფში შემავალი ქვეჯგუფი. აქედან გამომდინარე, ლექსიკური ერთეულები - nothing და few - ორივე იქნება დაღმავალი შედეგობრიობის ოპერატორი, განსხვავებით something და many [Zeijlstra, 2004: 42]:

Nothing works → Nothing works well

Something works -/→ Something works well

Few people sing → Few people sing loudly

Many people sing -/→ Many people sing loudly

აღნიშნული ვრცელდება ჰ. ზეილსტრას კლასიფიკაციაში შემავალ ყველა ელემენტზე.

ჯონ გაჯევსკის მოსაზრებით, ზოგიერთი ლექსიკური ერთეულების (few, hardly any/ever, little) მიერ ნეგატიური კონტექსტის შექმნის შესაძლებლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ სკალასთან და მის ბოლო წერტილთან [Gajewski, 2008]. გარკვეულ კონტექსტუალურ პირობებში სკალის ბოლოსთან ახლოს მდგომი გამონათქვამი შეიძლება ჩაითვალოს როგორც სკალის ბოლო წერტილი, ხდება ე.წ. „სკალის შეკვეცა“ (scale truncation) [Krifka, 1990; Chierchia, 2004]. მაგალითად:

few - not many - not every

ვან დერ ვუდენის მოსაზრებით [Wouden, 1994], დადმავალი შედეგობრიობა არ არის საკმარისი პირობა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს უარყოფას, კერძოდ, გააკეთოს პოლარული ლექსიკური ერთეულების ლიცენზირება. იგი თვლის, რომ შედარებითობის კონტექსტიც იძლევა უარყოფითად პერეფრაზირების საშუალებას. მაგალითად:

“He runs faster than we thought he could”, გულისხმობს, რომ: “We did not think he could run (any) faster.”

“John runs faster than Charles”, გულისხმობს, რომ: “Charles doesn’t run as fast as John”.

ლევინსონი გამოყოფს ასეთი კონტექსტების რამოდენიმე სახეს [Levinson, 2007]:

- უარყოფა:

This album is not reviewed yet.

I don’t work there anymore.

He didn't like me and I didn't like him either.

You don't work for free, and neither do I.

- მიახლოებითი უარყოფა - barely, few, rarely ლექსიკური ერთეულების მოქმედების ფარგლები:

There are few people here.

I rarely go to that store.

პირველი წინადადება გულისხმობს, რომ ადამიანების რაოდენობა მოსალოდნელზე ნაკლებია, მეორე - ვიზიტების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე ეს მოსალოდნელია ამ ტიპის მაღაზიაში სასიარულოდ.

- უარყოფითი იმპლიკაციის ზმნები (fail, refuse და ა.შ.):

I refused to sign the contract => I didn’t sign the contract.

He failed to keep his word => He didn’t keep his word.

- უარყოფითი იმპლიკაციის ფრაზები: without, too Adj. to V-inf.:
The sample size was too small to produce accurate results => Accurate results were not produced.
The officers entered without knocking => The officers didn't knock.
- ზმნა doubt:
It didn't rain yesterday, and I doubt it will rain today, either.
- კითხვები:
Have you ever heard about it?
Why ever did you tell the truth?
- პირობითი წინადადებების პირობის ნაწილი:
If you drink (even) a drop of wine, I won't drive along with you.
- უნივერსალობის მნიშვნელობით ლექსიკური ერთეულების შემზღვევლები და სხვა კვანტორები:
Everyone who has ever lived in Charlottesville has played a role in its ongoing story.
Most physicians who treat any Medicaid beneficiaries see relatively few of them.
- შედარებითი წინადადებები:
Frank would (even) walk a ten-mile detour rather than lift a finger to help someone cross the street.
I feel better than I have ever felt before.
- აღმატებული ხარისხის გამომხატველი ფრაზები/წინადადებები:
This is one of the best films I have ever seen.
It's by far the best option that has any chance of coming to pass at this point.
- only-ის გამოყენებით დამატებითი არგუმენტი:
Only young writers ever accept suggestions with any sincerity. [Klima, 1964:311]
I only eat any meat when I'm depressed. [Horn, 996:17]
Only Lucy has any money left. [Roberts, 2006:5]
- კოგნიტიური ზმნები, რომლებიც გამოხატავენ ადრესატის დამოკიდებულებას ფაქტთან მიმართებაში:
I regret that I ever went to Spain.

I am surprised that he ever speaks to her.

He was against doing anything like that.

- ფრაზები before-თი:

Frank was robbed of his money before he could (even) utter a sound.

უარყოფითი კითხვითი ფორმისთვის დამახასიათებელია უფრო მეტი ემოციური დატვირთვა, ვიდრე თხრობითი უარყოფითი წინადადებისთვის. გარდა ამისა, ინგლისურში არის სინტაქსური სტილისტური საშუალებები, როდესაც სინტაქსური ფორმა არ შეესაბამება ლოგიკურ შინაარსს. ასეთებია: რიტორიკული კითხვები და ლიტოტესი. რიტორიკულ კითხვებში კითხვითი წინადადების სინტაქსური ფორმა გამოიყენება მტკიცებისთვის, ლიტოტესის შემთხვევაში უარყოფის ფორმა გამოიყენება ასევე მტკიცებისთვის [Гальперин, 1958: 215].

რიტორიკული კითხვები შეიძლება გამოხატული იყოს მარტივი წინადადებებითაც. აღნიშნულ შემთხვევაში უფრო ხშირად გამოიყენება კითხვით-უარყოფითი წინადადებები [Гальперин, 1958: 216-217]. მაგ.:

Have I not had to wrestle with my lot? Have I not suffered things to be forgiven? [Byron.]

რიტორიკულ კითხვაში ხდება ორი სინტაქსური მნიშვნელობის რეალიზაცია: კითხვისა და მტკიცებისა. როგორც მეტაფორის შემთხვევაში, აქაც გვაქვს ორი მნიშვნელობა: მეტაფორის შემთხვევაში - ორი ლექსიკური მნიშვნელობა, რიტორიკულ კითხვაში - ორი სტილისტური მნიშვნელობა [Гальперин, 1958: 216].

ინგლისურში ძაბილით წინადადებას ზოგჯერ აქვს იგივე სინტაქსური ფორმა, როგორც კითხვით წინადადებას. ამიტომ, ზოგჯერ ძნელია რიტორიკული კითხვის გარჩევა ძაბილის წინადადებისაგან. მაგალითად, წინადადება:

Are these the remedies for a starving and desperate populace? [Byron]

შეიძლება ჩაითვალოს როგორც რიტორიკულ კითხვად, ისე ძაბილის წინადადებად [Гальперин, 1958: 216].

wh-კითხვებით რიტორიკული კითხვითი წინადადებების შემთხვევაში მნიშვნელობა ანალოგიურია იმ წინადადებისა, სადაც კითხვითი სიტყვის მაგივრად გამოყენებულია უარყოფითი სიტყვა:

Who knows? (Nobody knows)

What difference does it make? (It makes no difference)

ქვემოთ განხილული იქნება აღნიშნული კითხვითი ფორმების ფუნქციები დისკურსში და მათი ილოკუციური მნიშვნელობა.

ინგლისური უარყოფითი იმპერატივის ერთ-ერთი მახასიათებელია ინვერსიის არსებობა. იმპერატივები გამოიხატება ორნაირად:

Let's not open the door

Let's open the door

Don't let's open the door (informal)

იძულებითი ფორმის იმპერატივი ზოგჯერ გამოიხატება ემფატური "do"--თი:

Do have some more cherry

Do let's go to the theatre

ინგლისურ ენაში სინტაქსური უარყოფის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს ცდომილი უარყოფა, რაც გულისხმობს იმას, რომ უარყოფა გადატანილია აზროვნების გამომხატველ ზმნაზე:

I don't suppose it's right, (I suppose it's not right. = It is all wrong).

ასეთი სახის ფრაზები ხშირად გამოიყენება ნეგატიური დამოკიდებულების, ჩივილის, ახსნა-განმარტების, ბოდიშის მოხდის და ა.შ. გამოსახატავად. მაგალითად, მნიშვნელოვანი შეხვედრის ან გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, იმის მაგივრად, რომ თქვა: I don't understand, შეიძლება ითქვას:

Sorry, but I'm not quite clear on...

ანდა საწინააღმდეგო აზრი შეიძლება გამოთქმული იყოს შემდეგი სახით:

I'm not sure I quite could agree/I don't quite see it the same way/I don't think it's quite that simple.

ანალოგიური გამოთქმები რელევანტურია ზრდილობიანი ფორმით აზრის გამოხატვისათვის.

§ 2.1 ლიტოტესი

ბუნებრივ ენებში გვხვდება სინტაქსური სტილისტური საშუალება, რომლის დროსაც სინტაქსური ფორმა არ შეესაბამება მის ლოგიკურ მნიშვნელობას. ასეთ ხერხს წარმოადგენს ლიტოტესი. ლიტოტესი არის საგნის ზომის, მოვლენის მნიშვნელობის და ა.შ. მნიშვნელობის შემცირების მხატვრული ხერხი.

იესპერსენის მოსაზრებით, ლიტოტესი არის ხერხი, რომელშიც მტკიცება გამოხატულია საწინააღმდეგო მნიშვნელობის უარყოფით [Jespersen, 1917: 62-63].

ლიტოტესი წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან *litos* - „ერთეული, მარტივი, და არის მეტყველების ხერხი, რომელიც ემფაზის მიზნით იყენებს დაკნინებას და წარმოადგენს ჰიპერბოლის ოპოზიციას. ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში (უმეტესად უარყოფითი კონოტაციით) ლაკონურობის ან ირონიის გამოხატვის მიზნით. [Cuddon, 1999: 473]

რაუთლეჯის ლექსიკონის თანახმად, ლიტოტესი არის რიტორიკული ტროპი, რომელიც ჩანაცვლებს აქცენტირებულ, პოზიტიურ გამონათქვამს მისი ოპოზიციის უარყოფით, მაგ.: not (exactly) small = (rather) large. ლიტოტესი იძლევა შემცირებულ წარმოდგენას, დაკნინებას, რაც აძლიერებს მნიშვნელობას, როგორც ეს არის შემდეგ მაგალითში: „He is not the wisest man in the world“, იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ გგულისხმობთ, რომ „He is a Fool“. [Bussman, 2006: 701]

ლიტოტესისა და მრავალჯერადი უარყოფის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ლიტოტესის შემთხვევაში ერთი ელემენტი არის უარყოფის გამომხატველი („ნეგატორი“), მეორე - ლექსიკური ერთეული, რომელიც უარყოფითია მნიშვნელობით ან შეიცავს უარყოფით პრეფიქსს:

The ice cream is not too bad.

Your apartment is not unclean.

You are not wrong.

He is not unlike his dad.

He was not unfamiliar with the works of Dickens.

ჰორნის ასევე თვლის, რომ წინადადების მნიშვნელობა ორმაგი უარყოფით არ არის მტკიცებითი წინადადების ექვივალენტური.

a. He's a not unhappy man.

b. She doesn't look too bad.

პირველი წინადადება არ ნიშნავს, რომ "he is a happy man", „He“ შეიძლება იდგეს ბედნიერების სკალაზე ნებისმიერ ადგილას ბედნიერებასა და აბსოლუტურ ექსტაზში მყოფ მდგომარეობებს შორის.

მეორე წინადადება შეიძლება ასახავდეს ქალის გასაოცარ სილამაზეს ან საშუალო გარეგნობის მქონე ქალს. ასეთი სახის გაურკვეველი დეფინიცია, რომელიც ემყარება ადრესანტის სუბიექტურ მოსაზრებას, ლიტოტესის მნიშვნელოვანი მახასიათებელია [Horn,1991].

ქვემოთ მოყვანილია ლიტოტესის მაგალითები თავისი ინტერპრეტაციებით:

Not bad

He was not unfamiliar with the works of Dickens.

She is not as young as she was.

Not unlike...

You are not wrong.

You are not wrong.

Good.

He was acquainted with the works of Dickens.

She's old.

Like...

You are correct.

You are correct.


ლიტოტესი წარმოადგენს ტროპს, რომელიც გამოიყენება ორი მნიშვნელობით:

(1) ორმაგი უარყოფით გამოხატული ირონიასთან მიახლოებული ტროპი;


(2) ობიექტის თვისების ან ზომის, პროცესის ან მოვლენის შეგნებული შემცირებისათვის გამოყენებული ტროპი.

ლიტოტესი უშუალოდ დაკავშირებულია კონტრადიქტორულ და კონტრარულ ოპოზიციებთან, რომლსაც ჯერ კიდევ არისტოტელე სწავლობდა.

კონტრადიქტორული ოპოზიცია



კონტრარული ოპოზიცია



კონტრადიქტორული ოპოზიციები არ შეიძლება ერთი და იმავე რამესთან მიმართებაში იყოს ჭეშმარიტიც და მცდარიც. კონტრარული ოპოზიციები ასევე არ შეიძლება ერთი და იმავესთან მიმართებაში იყოს ჭეშმარიტიც და მცდარიც, მაგრამ ისინი შეიძლება ორივე იყოს მცდარი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ:

ა) კონტრადიქტორული ოპოზიციები ურთიერთამომწურავი და შეუთავსებადია, ანუ ისინი ექვემდებარება კონტრადიქციის კანონს და შუალედურის გამორიცხვის კანონს;

ბ) კონტრარული ოპოზიციები ურთიერთამომწურავია ანუ ისინი ექვემდებარება კონტრადიქციის კანონს, მაგრამ არა შუალედურის გამორიცხვის კანონს.

ლიტოტესი გვაქვს მხოლოდ კონტრარული (არაკლასიკური) უარყოფის შემთხვევაში, რომელიც არ გამორიცხავს შუალედურ ერთეულს, განსხვავებით კონტრადიქტორულისგან, რომელიც ექვემდებარება შუალედის გამორიცხვის კანონს [Horn, 1991]:

This girl is not unmarried,

ვინაიდან “married - unmarried” გამორიცხვას რაიმე შუალედურ ერთეულს.

It is not unwise to take precautions. ამ შემთხვევაში “wise – unwise” ოპოზიციურ წყვილს შორის არის ჭკუის ხარისხობრივი მაჩვენებლის შუალედური ერთეულები. ჰორნი აღნიშნულს გამოხატავს შემდეგი სქემის სახით:

Unwise	Wise
Not	Unwise
.....	Not	unwise
.....	not unwise

სქემაში, პირველი რიგი, ასახავს სიბრძნის სკალას, რომელიც იწყება მარცხნიდან „არაჭკვიანი“-დან და მთავრდება „ჭკვიანი“-თ მარჯვნივ. შუაში არის არე, რომელიც არ შეესაბამება არც „ჭკვიანს“ და არც „არაჭკვიანს“ (რა თქმა უნდა, არ არის მკვეთრი საზღვარი ორ უკიდურესობასა და შუალედურ მნიშვნელობებს შორის).

მეორე რიგი მიეკუთვნება ლოგიკურ განმარტებას „არა ჭკვიანი“, ის მოიცავს სკალის იმ ნაწილს, რომელსაც არ იკავებს ცნება „ჭკვიანი“.

მესამე რიგი მიეკუთვნება ლოგიკურ მნიშვნელობას „არა არაჭკვიანი“, უკავია სკალის ის ნაწილი, სადაც არ არის „არაჭკვიანი“.

მეოთხე რიგი ასახავს „არა არაჭკვიანი“ პრაგმატული გამოხატვის საშუალებებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „არა არაჰკვიანი“ მნიშვნელობა მიეკუთვნება სკალაზე შუა არეს და „არაჰკვიანი“ მიეკუთვნება მხოლოდ მარცხენა მხარეს, მაშინ როდესაც „არაჰკვიანი“ იკავებს მარცხენა მხარეს ორ რიგში. „ჰკვიანი“ არ მოიცავს მთლიან სკალას.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს ლიტოტესისთვის აუცილებელი კონტექსტი:

She is a not unattractive girl.

attractive → → less attractive → → unattractive

*The girl is not unmarried.

married → ∅ → unmarried

There was no ‘One, two, three, and away,’ but they began running when they liked, and left off when they liked, so that it **was not easy** to know when the race was over. [Carrol, 1993: 35]

არავის გაუცია ბრძანება, ვისაც როდის მოესურვებოდა, მაშინ იწყებდა სირბილს და როცა მოეპრიანებოდა, მაშინ ანებებდა თავს. ასე რომ, **ძნელი სათქმელი იყო**, როდის გათავდა ეს შეჯიბრი. [კეროლი, 1997: 28]

There **was nothing so very remarkable** in that; nor did Alice think it so *very* much out of the way to hear the Rabbit say to itself, 'Oh dear! Oh dear! I shall be late!' [Carrol, 1993: 18]

აქ **მაინცდამაინც გასაოცარი არაფერი იყო**: ელისი განსაკუთრებით არც იმას განუცვიფრებია, კურდღელმა რომ ჩაიბუტბუტა: ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ მაგვიანდება! [კეროლი, 1997: 7]

Alice **did not much like** keeping so close to her: first, because the Duchess was very ugly; and secondly, because she was exactly the right height to rest her chin upon Alice’s shoulder, and it was an uncomfortably sharp chin. [Carrol, 1993: 89]

ელისს **სულაც არ ეპიტნავებოდა** მისი ასეთი სიახლოვე: ჯერ ერთი, მარკიზა მეტისმეტად მახინჯი იყო, მეორეც, ზუსტად იმ სიმაღლე გახლდათ, რომ ნიკაპს ზედ

ელისის მხარზე ჩამოდებდა ხოლმე; ეს ნიკაპი კი, უნდა ითქვას, ძალიან წვეტიანი და უსიამოვნო ჰქონდა. [კეროლი, 1997: 90]

Alice **did not quite like** the look of the creature, but on the whole she thought it would be quite as safe to stay with it as to go after that savage Queen: so she waited. [Carrol, 1993: 93]

გოგონას **თვალში არ მოუვიდა** გრიფონის შესახედაობა, მაგრამ გაიფიქრა, იქნებ, ბოლოსდაბოლოს, ამასთან ყოფნა ნაკლებად სახიფათოც კი იყოს, ვიდრე იმ გადარეულ დედოფალთანო. [კეროლი, 1997: 94]

... she couldn't answer either question, it **didn't much matter** which way she put it. [Carrol, 1993: 20]

ელისს არც ერთ შეკითხვაზე პასუხი არ გააჩნდა და **განა სულ ერთი არ იყო**, ასე იკითხავდა თუ ისე? [კეროლი, 1997: 10]

პრაგმატული კუთხით ლიტოტესი შეიძლება აიხსნას გრაისის მაქსიმუმის ვარიაციით [Grice, 1989]:

უფრო გრძელი ხატოვანი გამონათქვამის ხმარება მიუთითებს იმაზე, რომ მთქმელს არ შეეძლო უფორ მარტივი გამონათქვამის შესაბამისად გამოყენება.

აქედან გამომდინარეობს, რომ ლიტოტესი ვერ იქნება არახარისხობრივი ან აბსოლუტური მნიშვნელობის მქონე პრედიკატის უარყოფა, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, პრედიკატსა და მის ოპოზიციას შორის არ არსებობს ველი შუალედური მნიშვნელობით/მნიშვნელობებით.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ლიტოტესიც არის სკალარული კატეგორია, სადაც მოიაზრება პრედიკატი ან პრედიკატების რიგი განლაგებული მზარდი/კლებადი თანმიმდევრობით.

§2.2 ორმაგი უარყოფა

ლინგვისტიკაში ორმაგი უარყოფა გულისხმობს ორ სხვადასხვა ენობრივ მოვლენას: წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკის ან უარყოფით აფიქსის (მორფემის) და მისი გამაძლიერებელი უარყოფითი ნაცვალსახელის ან ზმნიზედის არსებობას ან ორმაგ უარყოფას წინადადების ერთსა და იმავე წევრთან (ან წევრების ჯგუფთან). პირველ შემთხვევაში გვაქვს უარყოფა და უარყოფითობის გაძლიერება, მეორე შემთხვევაში - უარყოფის უარყოფა. უარყოფის გამეორება წინადადების სხვადასხვა წევრთან არ არის დაშვებული მონონეგატიურ ენებში, მაგალითად ინგლისურ ენაში. თუმცა ზოგჯერ ინგლისურ ენაში შეიძლება შეგვხვდეს ორმაგი უარყოფა, როდესაც ავტორს სურს პერსონაჟის მეტყველების დაბალი დონის ჩვენება.

ენას გააჩნია თავისი ლოგიკა. თუ ორი უარყოფა ეკუთვნის ერთსა და იმავე სიტყვას, შედეგი დადებითია. ეს შეეხება ყველა ენას [Jespersen 1924: 332].

მრავალჯერადი უარყოფის ინტერპრეტაცია ენებში არ ექვემდებარება ლოგიკის უარყოფის წესს. ლოგიკაში ორი უარყოფა იძლევა ანუღირებას, სამმაგი - ერთ უარყოფას და ა.შ. მრავალჯერადი უარყოფის გამოყენება წინადადებაში მისი შესაბამისი მტკიცებითი წინადადების მაგივრად ეწინააღმდეგება გრაისის მაქსიმას: “be brief, don't use unnecessary prolixity” [Grice, 1975]. შესაბამისად, მრავალჯერადი უარყოფის გამოყენებისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. მაგალითად, ორმაგი უარყოფა ბუნებრივი შეიძლება იყოს, როდესაც იგი მოსდევს უარყოფის შემცველ კითხვას. პ. სოირენისა და რ. ვან დერ სანდტის თანახმად, უარყოფა ძირითადად დამოკიდებულია პრესუპოზიციასზე [Seuren, 2001; Sandt, 2003].

ჰორნი ასევე თვლის, რომ უარყოფის პრაგმატიკა უშუალოდ არის დამოკიდებული იმ წინადადების პრესუპოზიციასზე, რომლის უარყოფაც ხდება [Horn, 1989]. ორმაგი უარყოფის შემთხვევაში, პრაგმატიკა მოითხოვს პრესუპოზიციას, რომელსაც ეჭვქვეშ აყენებს ერთი მოსაუბრე და იწვევს კონტრარულ პრესუპოზიციას, რომელსაც, თავის მხრივ, უარყოფს მეორე მოსაუბრე.

მოტივაცია ორმაგი უარყოფის გამოყენებისათვის შეიძლება იყოს შემდეგი:

ა. ხარისხი: S არ არის დარწმუნებული, რომ A-ს აქვს, ან დარწმუნებულია, რომ არა აქვს (სადაც არა A არის A-ს კონტრარული);

ბ. თავაზიანობა: S-მა იცის (ან დარწმუნებულია) A-ს აქვს, მაგრამ თავაზიანობის, სიმორცხვის გამო ვერ ამბობს პირდაპირ;

გ. ირონია: S იქცევა ისე, თითქოს ყოყმანობს, არ არის დარწმუნებული, მორცხვობს;

დ. პომპეზურობა: S არღვევს ლაკონურობის წესს, რომ შთაბეჭდილება მოახდინოს საზოგადოებაზე;

ე. შესაბამისი დადებითი კორელატის არარსებობა: „არა არა A“-ს გამოყენება მოტივირებულია A-ს არარსებობით ან კონტექსტიდან გამომდინარე A-ს გამოყენების შუძლებლობით.

ვ. ნეგატიური სტრუქტურის პარალელიზმი: „არა არა A“ დაპირისპირებულია ან მონაწილეობს სხვა ნეგატივებთან, როგორც კონსტრუქციაში $B \text{ neg } \{if(but)\} B$, სადაც B უფრო ბუნებრივად არის რეალიზებული ორმაგი უარყოფის სახით;

ზ. პროცესის მინიმიზაცია პირდაპირი ან კონტრადიქციის კონტექსტში: S-ის მტკიცება x არის „არა არა A“ გამოწვეულია საუბარში ადრეული მტკიცებით (ან დაშვებით), რომ x არის „არა A“.

მრავალჯერადი უარყოფის ინტერპრეტაციის დროს პრაგმატული კუთხით თავს იჩენს სემანტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. ფორმალური ლოგიკისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში არ ხდება ორი უარყოფის ანუღირება და მტკიცებითი ფორმის მიღება. ვან დერ ვუდენი გამოყოფს მრავალჯერადი უარყოფის ოთხ ჯგუფს:

- ორმაგი უარყოფა - ორი უარყოფითი ელემენტი აბათილებს ერთმანეთს და მიიღება მტკიცება;

- შესუსტებული უარყოფა - ერთი უარყოფითი ელემენტი ასუსტებს მეორეს. შედეგი არის დადებითისა და უარყოფითის შუაში;

- უარყოფის თანაწყობა - ორი ან მეტი უარყოფითი ელემენტის საფუძველზე ვლემბულობთ სემანტიკურად ერთ უარყოფას;

- ემფატური უარყოფა - ერთი უარყოფითი ელემენტი აძლიერებს მეორეს. შედეგი უფრო ძლიერია, ვიდრე ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მეორე ნეგატიური ელემენტით.

აღნიშნული უარყოფის ოთხი სახე შეიძლება დავიდეს ორამდე: უარყოფა, რომლის დროსაც გამოიყენება ორმაგი უარყოფის კანონი (LDN – Law of Double Negation) და უარყოფა, რომლის დროსაც ეს კანონი არ გამოიყენება. ორმაგი უარყოფა და შესუსტებული უარყოფა წარმოადგენს ერთი და იგივე სემანტიკური მექანიზმის შედეგს - ორმაგი უარყოფის კანონის გამოყენებას, ხოლო მათი სხვადასხვა ინტერპრეტაცია დაკავშირებულია პრაგმატიკასთან. უარყოფის თანაწყობა და ემფატური უარყოფა მიეკუთვნება ერთსა და იმავე კლასს: ორივე შემთხვევაში ხდება ორმაგი უარყოფის კანონის დარღვევა. თუმცა ემფატური უარყოფა არ წარმოადგენს უარყოფის თანაწყობის ქვეკლასს და პირიქით. ისინი მსგავსია, მაგრამ წარმოადგენენ სხვადასხვა სინტაქსური/სემანტიკური მექანიზმების შედეგს.

ორმაგი უარყოფა უნივერსალურია. ფრაზის ფარგლებში ორმაგი უარყოფა იშვიათია, მაგრამ ეს დაკავშირებულია პრაგმატულ შეზღუდვასთან და არა სინტაქსური და სემანტიკური კუთხით მისი გამოყენების შეუძლებლობასთან. ამის დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ენებში, რომლებსთვისაც დამახასიათებელია უარყოფის თანაწყობა, კითხვითი კონსტრუქციები ორმაგი უარყოფით იშვიათად გვხვდება.

შესუსტებული უარყოფა გულისხმობს ორი უარყოფის გამოყენებას, რომლის შედეგადაც ვლემბულობთ ერთ უფრო სუსტ უარყოფას:

John is not unhappy.

კონტექსტის მიხედვით, როდესაც ვინმე კითხულობს, არის თუ არა ჯონი ბედნიერი ადამიანი, ვლემბულობთ პასუხს, რომ ჯონი არ არის არაბედნიერი, მაგრამ ასევე არ არის ბედნიერი. პრედიკატი „happy“ არის სკალარული პრედიკატი [Horn, 1989].

აღნიშნული სკალა შედგება პრედიკატების სკალისაგან: „very unhappy“-დან „very happy“-მდე:

„very happy“ ... „unhappy“ ... „neither happy nor unhappy“ ... „happy“ ... „very happy“

როგორც ვხედავთ „unhappy“ სკალაზე მდებარეობს „very happy“-სა და „neither happy nor unhappy“-ს შორის.

კონტექსტიდან გამომდინარე მსმენელისათვის ნათელი ხდება რას გულისხმობდა უარყოფითი პრედიკატის უარყოფა:

- a. John is not unhappy. He is awful.
- b. John is not unhappy. He isn't very happy either.
- c. John is not unhappy. In fact, he is very happy.
- d. A: John is unhappy. B: No, John is not unhappy. He is happy.

ზოგადად, ყველა მონაკვეთი, რომელიც არ ეკუთვნის „unhappy“-ს, შეიძლება ეკუთვნოდეს „not happy“-ს. საკითხი, თუ რატომ არის „neither happy nor unhappy“ ყველაზე მეტად შესაბამისი ფრაზისა „John is not unhappy“, ჰორნი ხსნის პრაგმატული დატვირთვით: უფრო გრძელი, ექსპრესიული გამონათქვამის ხმარება მოკლეს მაგივრად, რომელიც მთქმელისაგან მოითხოვს ნაკლებ დატვირთვას, აიხსნება იმით, რომ მთქმელს არ შეეძლო უფრო მარტივი რელევანტური გამონათქვამის გამოყენება.

„very happy“, „happy“ და „very unhappy“ შეიძლება გამოყენებული იყოს დამატებითი უარყოფის გარეშე, ეს არ არის შესაძლებელი სკალის შუა მონაკვეთისათვის, ვინაიდან, არსებობს დამატებითი საფუძველი პირველი სამი ფრაზის გამოყენებისათვის, მეოთხეს გამოთქმა უფრო მოკლედ შეუძლებელია. ეს არის არაექსპრესიული ფრაზა ე.წ. ლიტოტესი. იგი წარმოადგენს ფორმალური სემანტიკის შედეგს, რომელიც იცავს უარყოფის წესებს პრაგმატული დატვირთვის გამოყენებით და გამორიცხავს ასეთ სიტუაციაში არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას.

ლაბოვის თანახმად, როდესაც ორი ან მეტი უარყოფა იძლევა ერთ უარყოფას, გვაქვს უარყოფის თანაწყობა [Labov, 1972].

ვან დერ ვუდენი და ფ. ცვარცი დენ ბესტენის საფუძველზე გამოყოფენ უარყოფის თანაწყობის სამ ჯგუფს: უარყოფის გავრცობას, უარყოფის გაორმაგებას და ამ ორის კომბინაციას [Wouden & Zwart, 1993; Besten, 1986]. ვან დერ ვუდენი შემდეგნაირად განმარტავს მათ:

უარყოფის გავრცობა: უარყოფა ვრცელდება ყველა განუსაზღვრელ ერთეულზე უარყოფის ფარგლებში. ამ შემთხვევაში ორი განუსაზღვრელი მნიშვნელობის გამონათქვამი მორფო-ფონოლოგიურად არის უარყოფითად მარკირებული. მაგ.:

Nobody called anybody.

Nobody said anything.

უარყოფის გაორმაგება: დამახასიათებელი ნეგატიური ელემენტი გვხვდება წინადადებაში, რომელშიც არის უარყოფითი გამონათქვამი. ამ შემთხვევაში უარყოფითი კვანტორი და უარყოფითი პოლარული ელემენტი ერთად იძლევა სემანტიკურ უარყოფას. მაგ.:

John doesn't say anything.

I don't have any money.

Milan doesn't see anybody.

უარყოფის გავრცობა და გაორმაგება: დამახასიათებელი ნეგატიური ელემენტი გვხვდება წინადადებაში, რომელშიც არის ერთზე მეტი უარყოფითი გამონათქვამი. ასეთი კომბინაციის შემთხვევაში რამოდენიმე ნ-სიტყვა გვხვდება ერთ ნეგატიურ მარკერთან, რომელიც ასევე იძლევა ერთ სემანტიკურ უარყოფას. მაგ.:

Nobody eats anything.

Valere doesn't ever talk to anyone.

Nobody gives anything to anybody.

ემფატური უარყოფა, უარყოფის მრავალჯერადი გამოყენება უარყოფის გასაძლიერებლად, შეესაბამება ორმაგი ან მრავალჯერადი უარყოფის უფრო ზოგად ცნებას, კერძოდ, თუ გინდათ აქცენტი გააკეთოთ რაიმეზე, უნდა გამოთქვათ ერთზე მეტად. ემფატური უარყოფის დროს, უარყოფის თანაწყობისაგან განსხვავებით ხდება

უარყოფის გაძლიერება, მაშინ, როდესაც უარყოფის თანაწყობის დროს გაძლიერება არ არის.

ემფატური უარყოფა მკაცრად დამოკიდებულია კონტექსტზე: იგი შეიძლება გვექონდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ორი უარყოფითი ელემენტი თითქმის შესაბამისია:

He never ever goes to school.

He always goes to school.

Nobody told me anything at all (yesterday).

• ემფატური უარყოფას ვერ გამოვიყენებთ, როდესაც უარყოფითი მარკერი წინ უსწრებს n-სიტყვას ან როდესაც უარყოფითი მარკერი არის დამატებითი მახვილის ქვეშ. ასეთი კონსტრუქციები იძლევა სემანტიკურად ორმაგ უარყოფას;

• ემფატური უარყოფა გვხვდება მხოლოდ იმ ენებში, რომლებშიც არ არის სტანდარტული უარყოფის თანაწყობა (მაგ.: გერმანული). ენებში, რომლებშიც გვხვდება უარყოფის თანაწყობა - არ არის ემფატური უარყოფა.

აქედან გამომდინარე, ემფატური უარყოფა უნდა მიეკუთვნებოდეს ცალკე ჯგუფს.

ორმაგი უარყოფის მესამე სემანტიკურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს რიტორიკული ფიგურა ლიტოტესი.

ზოგიერთ შემთხვევაში ორმაგი უარყოფა შეიძლება იძლეოდეს დადებით მნიშვნელობას. გრამატიკის ტრადიციულ ტრუიზმს წარმოადგენს ის, რომ ორმაგი უარყოფა ქმნის მტკიცებას.

წინადადება: “He cannot do nothing” აღიქმება, როგორც მტკიცებითი წინადადება მნიშვნელობით “He must do something”, თუ იგი არ ჩაითვალოს დიალექტად და არასტანდარტულ მეტყველებად. ასევე მტკიცებით წინადადებად აღიქმება კონსტრუქცია, რომელშიც not უკავშირდება ზედსართავ სახელს ან ზმნიზედას უარყოფითი პრეფიქსით. მაგ.: “a not infrequent visitor” და “a not unjust decision”.

ამ ფრაზებში ორმაგი უარყოფა უფრო სუსტი მტკიცების გამომხატველია, ვიდრე ფრაზა არაუარყოფითი ზედსართავი სახელით ან ზმნიზედით. ამრიგად, a not

infrequent visitor ნიშნავს, რომ ვიზიტორი უფრო იშვიათად მოდის, ვიდრე „a frequent visitor“ და „a not unjust decision“ გადაწყვეტილება სამართლიანთან ახლოს არის, თუმცა „just“ მაინც არ არის. აღნიშნული მაგალითები წარმოადგენენ ლიტოტესის ნიმუშებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ნეგაცია სინტაქსური თვალსაზრისითაც ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე უბრალოდ ნეგატიური მარკერის შემცველი წინადადება. ნეგაცია შეიძლება შეგვხვდეს მარკირების გარეშეც და მხოლოდ ვიწრო თუ ფართო კონტექსტის საშუალებით იყოს შესაძლებელი მისი დეტექცია. შესაბამისად, ნეგაციის სრული აღქმისათვის წინადადების დონეც არ არის საკმარისი. აუცილებელია ამ ფენომენის უფრო ფართი კონტექსტში განხილვა, რაც სწორად იქნა აღქმული თანამედროვე ლინგვისტების მიერ, რომლებმაც ნეგაციის ფუნქციების შესწავლა დაიწყეს დისკურსისა და ტექსტის დონეზე. ამ კუთხით კვლევის ინტერესის სფეროში ექცევა ფონური ცოდნა, ადრესატის ინტენცია, პრესუპოზიცია და ილოკუციური ძალა. კვლევების შედეგად ნეგაციის ფენომენის შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რასაც არსებითად შეუწყო ხელი მისი პრაგმატული კუთხით კვლევამ.

§3. უარყოფის გამოხატვა დისკურსის დონეზე ინგლისურ ენაში

დისკურსის დონეზე უარყოფის გამოხატვის ფუნქციები გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. პირველ რიგში, უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს იმპლიციტურად და ექსპლიციტურად, რაც გულისხმობს, რომ ნეგაციის გამოხატვა შესაძლებელია სისტემური უარყოფითი ლექსიკური ერთეულების ანუ ფორმალურად გამოხატული მაჩვენებლების გარეშეც. ასეთ შემთხვევაში შინაარსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტის საფუძველზე. იმპლიციტური უარყოფის ლინგვისტური მაჩვენებლებს მიეკუთვნება ინტონაცია, ლექსიკური ერთეულები, სინტაქსური კონსტრუქციები. მსმენელის მიერ აზრის სწორი დეკოდირებისათვის

მნიშვნელობა ენიჭება სამეტყველო აქტის სიტუაციას, დისკურსში მონაწილე პირების ფონურ ცოდნას, პარალინგვისტურ საშუალებებს (მიმიკა, ჟესტები და ა.შ.)

§ 3.1 ფარული (იმპლიციტური) უარყოფა ინგლისურ ენაში

ფარული უარყოფის გამოხატვის ლექსიკურ საშუალებებს მიეკუთვნება უარყოფითი სემანტიკის მქონე ზოგიერთი სიტყვა, შესიტყვება და ფრაზული გამონათქვამები, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი ფორმები დადებითი მნიშვნელობით. მაგალითად, ინგლისურ ენაში ზმნით გამოხატულ (გრამატიკულ) უარყოფას „do not” (არ გაკეთება, არ შესრულება) გააჩნია პარალელური ფორმა უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ზმნის სახით to fail. He failed to appear (იგი არ გამოჩნდა) და He didn't appear. ამ ზმნას ასევე გააჩნია უარყოფის გრამატიკული ფორმაც: Don't fail to let me know (არ დაგავიწყდეს ჩემთვის შეტყობინება). ინგლისურ ენაში ფარული უარყოფა ჩადებულია ისეთ სიტყვებში, როგორცაა: უარყოფითი მნიშვნელობის ზმნიზედები - hardly, barely, scarcely, დამაკნინებელი მნიშვნელობის ზმნიზედები - few, little, ან ზოგიერთი ზმნები: fail, lack და ა.შ.:

- I hardly ever see him. barely touched his drink, (cp.: He didn't touch his drink. = He drank nothing.);
- His contribution could hardly be underestimated, (cp.: His contribution could not be underestimated. = It is highly praised.);
- The author failed to mention these facts. = The author did not mention these facts.

ფარული უარყოფის შემთხვევაში უარყოფის გამოხატვა ხდება ფორმალური უარყოფითი საშუალებების გარეშე. ფარული უარყოფის თავისებურებას წარმოადგენს ასიმეტრია - შეუსაბამობა შინაარსსა და გამოხატვის საშუალებას შორის, უარყოფითი მნიშვნელობის გამოხატვა არ ხდება ფორმალური გრამატიკული საშუალებებით:

- under the weather – to feel unwell or out of all sorts
- wide of the mark – not to the point; irrelevant; incorrect

- to close (shut one's eye to smth. – to refuse to see or notice sth (esp. sth unpleasant or bad)

ფრაზულ უარყოფას ფრაზული ერთეულის სემანტიკურ სტრუქტურაში სხვადასხვა ადგილი უკავია. უარყოფის მდებარეობის მიხედვით გამოიყოფა ფრაზეოლოგიური ერთეულების ორი ჯგუფი:

1) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც უარყოფა მიეკუთვნება მნიშვნელობის/დეფინიციის ბირთვულ კომპონენტს. ზემოთ მოყვანილი მაგალითები მიეკუთვნება ამ ჯგუფს.

2) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც უარყოფა მიეკუთვნება არაბირთვულ კომპონენტებს და გამოდის ფრაზეოლოგიზმის სხვა სემების პარალელურად, მაგ.:

- a rough diamond – a man of fine character, but uncultivated and without society
- a lame excuse – a weak, not convincing argument (ubadruki)
- a dead letter – a law etc. no longer in force or that has been allowed to lapse
- clean forget – forget completely

ფარული კატეგორიების გამოხატვა ხდება არაპირდაპირი გზით, სიტყვებისა და სიტყვათა კომბინაციით. უმეტეს შემთხვევაში უარყოფას ადრესატი სწორად აღიქვამს.

ფარულ უარყოფას გააჩნია გარკვეული მახასიათებლები. ამას მიეკუთვნება ცვლადი სიტყვათა შეთანხმებები, ფრაზეოლოგიური ერთეულების პროტოტიპები, რის საფუძველზეც ხდება შემდეგში მთლიანი გამონათქვამის თავიდან აღქმა.

ფრაზეოლოგიურ გამონათქვამში „rough diamond“ ნათლად ჩანს პირველი კომპონენტის პირდაპირი მნიშვნელობის გავლენა ფრაზეოლოგიურ ერთეულზე, ხდება სიტყვის „rough“ სემანტიკის უარყოფითი მნიშვნელობის გადმოცემა.

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ აღქმის პროცესში ხდება ფრაზეოლოგიის კომპონენტების ხელახალი გააზრება.

იმის მიხედვით მიუთითებენ თუ არა ცვლადი სიტყვათა შეთანხმებები ფრაზეოლოგიურ ერთეულებში უარყოფითი სემანტიკის არსებობაზე, ფრაზეოლოგიური ერთეულები იყოფა ორ ჯგუფად:

- 1) ფრაზეოლოგიური ერთეულები მოტივირებული უარყოფით;
- 2) ფრაზეოლოგიური ერთეულები არამოტივირებული უარყოფით.

პირველ ჯგუფში შემაჯავალ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში არ არის ძნელი უარყოფის გამოყოფა, მიუხედავად იმისა, რომ ფარულ უარყოფას არ გააჩნია ფორმალური მაჩვენებლები. ეს არის დიდი არაერთგვაროვანი ელემენტებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელშიც შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე ქვეჯგუფი:

ა) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლის კომპონენტები ალოგიზმს გამოხატავენ:

- to need sb/sth like a hole in the head *нужен как собаке пятая нога*

ბ) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელიც გადმოსცემენ ადამიანის არარეალურ/უსარგებლო მოქმედებებს, ადამიანის ან ცხოველის არასაკადრის/უგუნურ ქმედებას.

- to look for a needle in a haystack – თივაში ნემსის ძებნა/უიმედო საქმის წამოწყება;

- to buy a pig in a poke – გოჭის ყიდვა ტომარაში/საქონლის უნახავად ყიდვა

გ) ფრაზეოლოგიური ერთეული, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი აღნიშნავს გაურკვეველ ან არარეალურ პირს, რომელიც ასრულებს მოქმედებას:

- God knows - ღმერთმა უწყის!

საინტერესოა ფრაზეოლოგიური ერთეულები ისეთი შედარებითი კონსტრუქციებით, რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი.

ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურა რთულია და მისთვის დამხასიათებელია ის, რომ მათში აუცილებელ კომპონენტს ყოველთვის წარმოადგენს სინტაგმატიკა:

- to need sb/sth like a hole in the head – *нужен как собаке пятая нога*

სინტაგმატიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, უარყოფითი მნიშვნელობით გამოდის ის სიტყვა, რომელსაც იგი უთანხმდება:

- When pigs fly = never

3) ამ ჯგუფის ფრაზეოლოგიური ერთეულების უარყოფითი მნიშვნელობა არ გამომდინარეობს სიტყვათაშეთანხმების შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობებისაგან:

To let somebody go hang – ეშმაკსაც წაუღია

My foot! - სისულელე!

Likehell! ჯანდაბა!

You got me! საიდან უნდა ვიცოდე? (არ ვიცი)

ასეთი გამოთქმები ძახილის წინადადებებია.

იმპლიციტური უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს დადებითი ფრაზითაც და მხოლოდ კონტექსტის საშუალებით იყოს შესაძლებელი განსაზღვრა, თუ რას გულისხმობს ავტორი, რა პრაგმატული ფუნქცია გააჩნია გამონათქვამს. მაგ.:

“I’m going down and get that kitty,” the American wife said.

“I’ll do it,” her husband offered from the bed.

“No, I’ll get it. The poor kitty is out trying to keep dry under the table.” [Hemingway, 1963: 251].

- ჩავალ, ფისოს ამოვიყვან, - თქვა ამერიკელის ცოლმა.

- მე ამოვიყვან, - უთხრა ქმარმა. ქმარი იწვა.

- არა, მე ჩავალ. საბრალო ფისო, როგორ ემალება მაგიდის ქვეშ წვიმას.

Gekko: <id=233550599356515&cpos=78436926&word=მე ამოვიყვან>

“I’ll do it” (მე ამოვიყვან) პრაგმატულად როგორც ილოკუციური აქტი, გულისხმობს ქმრის უარს, ცოლი ჩავიდეს კატის ამოსაყვანად. აუარყოფა გამოხატულია უარყოფითი მარკერის გარეშე და გულისხმობს ადრესანტის უარყოფით ინტენციას,

რომელიც ენობრივი თვალსაზრისით გამოიხატება დადებითი ან ნეიტრალური კონოტაციის მქონე ლექსიკური ერთეულებით. მიუხედავად ამისა, დისკურსი გვავრძნობინებს ადრესანტის უარყოფით ინტენციას, რაც ენობრივი შესაძლებლობების გაფართოების საშუალებას იძლევა.

ანალოგიური მნიშვნელობა აქვს ფრაზას “You can tell” ჰემინგუეის მოთხრობაში ”სუფთა, ნათელი ადგილი”, რომელიც ქართულად უარყოფითი ფრაზით არის თარგმნილი „მაგას ნუ იტყვი“.

“He had a wife once too.”

“A wife would be no good to him now”.

“You can tell. He might be better with a wife”. [Hemingway, 2003:289]

- მაგასაც ხომ ჰყავდა ცოლი.

- ახლა რაღად უნდა ცოლი.

- ნუ ამბობ ეგრე. ცოლი რომ ყავდეს, ალბათ ასე არ გაუჭირდებოდა [ჰემინგუეი, 2011: 155].

კონკრეტულ შემთხვევაში უარყოფითი ინტენციის როგორც ასეთის ადეკვატური გადმოცემა ქართულში შეუძლებელი აღმოჩნდა უარყოფითი მარკირების გარეშე. თარგმანში გამოყენებულია უარყოფითი ნაწილაკი ნუ, რომელიც რელევანტურად ასახავს ინგლისური ტექსტით გამოხატულ ილოკუციურ ძალასა და მნიშვნელობას.

იმპლიციტური უარყოფა ასევე შეიძლება გამოხატული იყოს ზოგიერთ ზმნებთან (fail, lack) და სხვა ლექსიკურ ერთეულებთან (hard, few, little). ასეთ გამონათქვამებში არ ფიგურირებს უარყოფითი ნაწილაკი ან უარყოფითი სიტყვები:

I fail words to express my feelings.

სიტყვები არ მყოფნის, გამოვხატო ჩემი გრძნობები.

He failed to comprehend the seriousness of the problem.

იგი ვერ აღიქვამდა პოზლემის სირთულეს.

Time is lacking for a full explanation.

დრო არ არის, რომ დაწვრილებით აგისხნა.

Some things are hard to remember.

ზოგ რამეს ვერასდიდებით ვერ გაიხსენებ.

ზემოთ თქმული ადასტურებს, რომ ნეგაცია დისკურსის დონეზე შესაძლებელია გამოხატული იყოს უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულების გარეშე, რაც ართულებს კომუნიკაციას და მოითხოვს ენის ცოდნის უფრო მაღალ დონეს, რომელიც სცილდება მისი მხოლოდ ლექსიკური დონის ერთეულების სემანტიკურ მახასიათებლებს და მოითხოვს მათ გააზრებას დისკურსში და შესაბამისად, დისკურსში მათი ფუნქციების ცოდნას.

§ 3.2 ფარული (იმპლიციტური) პოზიტივი ინგლისურ ენაში

იმპლიციტური მტკიცება გულისხმობს შემთხვევას, როდესაც გამონათქვამში ფიგურირებს უარყოფითი ლექსიკური ერთეული და პრაგმატულად ადგილი არა აქვს ნეგაციას, გამონათქვამი დადასტურებას გულისხმობს:

“Can I offer you a beer on the Terrace and then we’ll take the stuff home.”

“Why not?” the old man said. “Between fishermen” [Hemingway, 2003: 11]

- ... გინდა, ლუდზე დაგპატიჟებ, ტერასაზე? ხელსაწყოს კი მერე წავიღებთ შინ.

- რატომაც არა, - თქვა მოხუცმა. - მეთევზეს სიამოვნებით დავეწვევი.

Gekko: <id=233550599356515&cpos=93564805&word=რატომაც არა>

„Why not?“ გულისხმობს, რომ მოხუცი ეთანხმება ბიჭის შეთავაზებას.

Sybil was silent.

„I like to chew candles,“ she said finally.

„Who doesn’t?“ [Selinger, 1982: 36]

სიბილს ხმა არ გაუღია.

- მე კიდე სანთლის ღეჭვა მიყვარს, - თქვა მან ბოლოს.

- სანთლის ღეჭვა ვის არ უყვარს, - მიუგო ჭაბუკმა და ფეხი წყალში ჩაყო.

Gekko: <id=233550599356515&cpos=83327085&word=ვის არ>

„Who doesn’t?“ პასუხი გულისხმობს, რომ „სანთლის ღეჭვა ყველას უყვარს“.

გარდა ამისა, ინგლისურში უარყოფითი ფორმით დასმულ კითხვაზე ან პროპოზიციაზე, რომელიც პასუხს მოითხოვს დათანხმება გამოიხატება უარყოფითი ფორმით, რომელიც გულისხმობს დასტურს ადრესატის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე:

“He hasn’t much faith.”

“No,” the old man said. “But we have” [Hemingway, 2003: 10]

- მამას კი ნაკლებად სჯერა ჩვენი.

- ჰო, - თქვა მოხუცმა. - სამაგიეროდ, ჩვენ გვჯერა! ხომ აგრეა?

Gekko: <id=233550599356515&cpos=თქვა მოხუცმა>

ქართულში უარყოფითი ფორმის პროპოზიციაზე ან კითხვაზე დადასტურება ხდება მტკიცებითი ფორმით.

იმპლიციტური პოზიტივის, ისევე როგორც იმპლიციტური უარყოფის შემთხვევაში, გვაქვს შეუსაბამობა ფორმასა და ილოკუციურ მნიშვნელობას შორის, ფორმასა და შინაარსს შორის.

§ 3.3 ექსპლიციტური უარყოფის ილოკუციური ფუნქციები ინგლისურ ენაში

ექსპლიციტური უარყოფის შემთხვევაში უარყოფითი გამონათქვამებს პრაგმატულად შეიძლება სხვადასხვა ილოკუციური მნიშვნელობა ჰქონდეს, კერძოდ, უარყოფითი კონოტაციით იძლეოდეს:

- ინფორმაციას რაიმეს შესახებ, აკეთებდეს ფაქტის კონსტანტირებას, დეკლარაციას.

ამ ფუნქციით შეიძლება გამოვიდეს მეტყველების სხვადასხვა ნაწილში შემავალი ლექსიკური ერთეულები, მაგრამ ყველაზე ხშირად უარყოფას აწარმოებს უარყოფითი ნაწილაკი „not“, რომელიც, ძირითადად, დგას ზმნასთან - „n’t“, მაგრამ გვხვდება კერძო უარყოფის ფორმითაც. [Eastwood, 2002: 17-18; Leech, 1994: 226-227]. გარდა ამისა, უარყოფას აწარმოებს უარყოფითი მსაზღვრელები: nobody, no one, nothing და ა.შ.:

Old Stradlater didn’t even wake up [Selinger, 1979a: 71].

სტრედლეიტერს არც კი გაუღვიძია.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90555347&word=არც კი>

I didn’t even answer him [Selinger, 1979a: 65].

არც კი მიპასუხნია.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90552141&word=არც კი>

Not long before, when she had been laid up for a day, he had read her out a ghoststory and made toast for her at the fire [Joyce, 1982: 63].

ერთხელ, **არც** თუ ისე დიდი ხნის წინათ, როცა ეველინი ავად გახდა და მთელი დღე ლოგინიდან არ ამდგარა, მამამ მოჩვენებების ამბავს უკითხავდა და ცეცხლზე პურს უხუხავდა [ჯოისი, 1984: 32].

გარდა აღნიშნული ნაწილაკისა, ამ ფუნქციით უარყოფის შემთხვევაში გვხვდება სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები, მათ შორის: უარყოფითი ნაცვალსახელები: „no“, „nothing“, „nobody“, ე.წ. n-სიტყვები - „never“, „neither“, „nowhere“, „neither...nor“, წინდებული – „without“ და სხვ.

Alice had **no** idea what to do, and in despair she put her hand in her pocket... [Carrol, 1993: 35]

ელისი დაიბნა, არ იცოდა, რა მოემოქმედა. სასოწარკვეთილმა ჯიბეში ხელი ჩაიყო ... [კეროლი, 1997: 28].

I wish I had our Dinah here, I know I do! said Alice aloud, addressing **nobody** in particular. [Carrol, 1993: 38]

ეჰ, ნეტავი დინა აქ მყავდეს, მე ვიცი, რასაც ვიზამდი, - თქვა ელისმა ხმამაღლა, თუმცა პირადად **არავისთვის** მიუმართავს [კეროლი, 1997: 31]

Alice thought she might as well wait, as she had **nothing** else to do... [Carrol, 3: 50-51]

ელისმა გაიფიქრა, საქმე მაინც **არაფერი** მაქვს, მოდი დავიცდი... [კეროლი, 1997: 46].

Perhaps, she would **never** see again those familiar objects from which she would **never** dreamed of being divided. [Joyce, 1982: 63]

იქნებ **აღარც** ეღირსოს ამ ნივთების ხელახლა ხილვა, ნივთებისა, რომლებთან განშორებაც **ვერასოდეს** წარმოედგინა [ჯოისი, 1984: 29].

He **never** smoked in the dorm. [Selinger, 1979a: 62]

ერთხელაც არ მოუწევია ოთახში [სელინჯერი, 1969: 44].

Neither of us felt like sitting around on our ass all night [Selinger, 1979a: 57].

მთელი დღე ბაიუშივით ოთახში ჯდომა არც ერთს არ გვეხალისებოდა და არც მეორეს. [სელინჯერი, 1969a: 39]

She tried in Downes's bag and then in the pocket of her waterproof and then on the hallstand but **nowhere** could she find it. [Joyce, 1982: 118]

ნამცხვრის პარკში ჩაიხედა, საწვიმრის ჯიბეები მოიჩხრიკა, ტანისამოსის საკიდზეც დაძებნა, მაგრამ ვერსად იპოვნა [ჯოისი, 1984: 89].

She would give him **neither** money **nor** food **nor** house-room. [Joyce, 1982: 84]

ქმარს უარი უთხრა ფულზეც, ბინაზეც, სმა-ჭამაზეც [ჯოისი, 1984: 52].

Even **without** looking up, I knew right away who it was [Selinger, 1979a: 43].

არც კი გამიხედია, ისე მივხვდი, ვინც იქნებოდა.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90545294&word=არც>

She's been laying here all night **without** a wink of sleep [Selinger, 1979: 83].

წუხელ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს!..

Gekko: <id=233550599356515&cpos=90559802&word=არ>

ნეგაცია გვხვდება ასევე იმ სიტყვებთან, რომლებიც არ არიან უარყოფითი მნიშვნელობის, მაგრამ უარყოფითია ფორმით: hardly, scarcely, barely (=“almost ... not“),

few, little (=not many, not much), rarely, seldom (=not often) და ა.შ. [Leech, 1994: 227]. ისინი დისკურსში, ხშირად, ნეგაციას გამოხატავენ:

He **scarcely** knew what he was eating feeling her beside him alone, at night, in the sleeping house. [Joyce, 1982: 89]

ზოგადად, ამ ფუნქციით შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი უარყოფითი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეული.

- უარი რაიმეს არსებობის, რაიმეში მონაწილეობის თაობაზე, შეთავაზებაზე, გამოთქმულ მოსაზრებაზე და ა.შ. შეიძლება გამოხატული იყოს, ასევე, ნაწილაკით 'not' ზმნური უარყოფის ფორმით:

- 'Very true,' said the Duchess: 'flamingoes and mustard both bite. And the moral of that is - "Birds of a feather flock together."

- 'Only mustard isn't a bird,' Alice remarked. [Carrol, 1993: 90-91]

- სავსებით სწორი აზრია, - დაეთანხმა მარკიზა. - ფლამინგო იკბინება.

მდოგვიც იკბინება. აქედან კი, აი, რა მორალი გამომდინარეობს: 'ორივე ეგ ფრინველი მაღლა დაფრინავსო'.

- ოღონდ მდოგვი ფრინველი არ არის, შენიშნა ელისმა. [კეროლი, 1997: 91]

ამ შემთხვევაში ელისი აზუსტებს დედოფლის მიერ გამოთქმულ მცდარ მოსაზრებას და ამბობს, რომ 'mustard isn't a bird' (მდოგვი არ არის ფრინველი).

"This lady is going to have a baby, Nick", he said.

"I know," said Nick.

"You don't know," said his father. "Listen to me. [Hemingway, 1972: 247]

- ამ ქალს ბავშვი უნდა ეყოლოს, ნიკ, - თქვა მან.

- ვიცი, - უპასუხა ნიკმა.

- არაფერიც არ იცი, - უთხრა მამამ. - ყური დამიგდე; ამას სამშობიარო

შეტევებს ეძახიან [ჰემინგუეი, 2011: 149]

მამა ცდილობს შვილს შეაცვლევინოს მცდარი შეხედულება კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში.

გარდა ზმნიური უარყოფისა, უარყოფითი პასუხი შეიძლება გამოხატული იყოს კერძო უარყოფით ნაწილაკით 'not', 'no' და სხვა ლექსიკური ერთეულებით:

"I know. I wouldn't want to be that old. An oldman is a nasty thing."

"**Not** always. This old man is clean. He drinks **without** spilling. Even now, drunk. Look at him."

"I **don't** want to look at him. I wish he would go home. He has **no** regard for those who must work." [Hemingway, 2003: 289]

არ მინდა მაგის ხნოვანებას მივატანო, საზიზღრები არიან ეს ბებრები.

- ყოველთვის არა. ეგ წესიერი მოხუცია. სვამს თავისთვის., ერთ წვეთსაც არ დაღვრის, რაც უნდა დათვრეს, - შეხედე.

- არ მინდა შევხედო. სულ არ ენაღვლება მაგას მომუშავე ხალხი [ჰემინგუეი, 2011:155]

"Hey! What's the idea?"

"**Nothing. No** idea. You really can dance," I said. [Selinger, 1986: 72]

- ე, ეს რა ამბავია!

- არაფერი. რა უნდა იყოს. ღმერთივით მოცეკვავე ყოფილხართ, - ვუთხარი მე.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90561669&word=არაფერი>

- უარყოფითი ფორმით ინფორმაციის მოძიების მიზნით შეიძლება დასმული იყოს შეკითხვა:

“Don’t you used that jar of Bronze I put in your bag?” [Selinger, 1982: 32]

- მზეზე დაიწვი?! ბრინჯაოს მალამო რატომ არ წაისვი? ჩემოდანში ჩაგიდე ზედ იმასთან ...

Gekko: <id=233550599356515&cpos=83324692&word=არ>

Alice was not a bit hurt, and she jumped up on to her feet in a moment. [Carrol, 1993: 20]

გოგონა ოდნავადაც არ დაშავებულა და წამში უკვე ფეხზე იდგა. [კეროლი, 1997: 10]

შეკითხვა შეიძლება დასმული იყოს სხვისი მოსაზრების გაზიარების მიზნით:

Don’t you think it would be a good idea if I let my hair grow out?” she asked looking at her profile again. [Hemingway, 1963: 253]

უარყოფითი ფორმით დასმული კითხვის პრესუპოზიცია, ძირითადად, არის მოლოდინი, დადებითი პასუხის მიღებისა.

- უარყოფითი ფორმა შეიძლება გამოყენებული იყოს სურვილის გამოხატვისათვის:

‘I wish you wouldn’t squeeze so.’ said the Dormouse, who was sitting next to her. ‘I can hardly breathe.’ [Carrol, 1993: 111]

- ნეტავი ასე არ მაწვებოდე, - უთხრა ძილისგუდამ, რომელიც გვერდით ეჯდა. - ლამის არის გავიგუდო ლამის არის გავიგუდო [კეროლი, 1997: 114].

Let's **not** quarrel any more. [Hemingway, 1963: 217]

ნუღარც ვიჩხუბებთ.

Gekko: <id=233550599356515&cpos=93590473&word=ნუღარც>

I wish we'd **never** come, the woman said. [Hemingway,1963: 219].

- ნეტა სულაც არ ჩამოვსულიყავით, - თქვა ქალმა.

Gekko: <id=233550599356515&cpos=93591059&word=არ>

And she thought of herself, 'I wish the creatures wouldn't be so easily offended!
[Carrol,1993: 55].

...გუნებაში კი გაიფიქრა, ნეტავი ეს არსებები ყველანი ასეთი წყენიები არ
ყოფილიყვნენო [კეროლი, 1997: 49-50].

ნეგატიური ფრაზა შეიძლება გამოხატავდეს **სინანულს**:

'What a pity it wouldn't stay!' sighed the Lory [Carrol, 1993: 111]

- რა სამწუხაროა, რომ არ დარჩა, - ამოიოხრა ლორიმ [კეროლი, 1997: 31]

'I wish I hadn't mentioned Dinah!' she said to herself in a melancholy tone. [Carrol, 1993:
111]

- ნეტავი დინა სულ არ მახსენებინა, - დაღონდა გოგო. [კეროლი, 1997: 32]

• უარყოფითი ფრაზა ხშირად გამოიხატება **შედარების გასაკეთებლად**
(დაპირისპირება, კონტრადიქცია):

Then she would be married – she Eveline. People would treat her with respect then. She
would **not** be treated **as** her mother had been. [Joyce, 1982: 64]

იქ უკვე გათხოვილი ქალი იქნება, ხალხიც მეტი პატივისცემით მოექცევა. ისე
კი არ მოექცევიან, როგორც დედამისს ექცეოდნენ. [ჯოისი, 1984: 30]

Then in town, they will fix up your leg and then we will have some good destruction. **Not**
that dreadful talking like. [Hemingway, 1963: 228]

ერთი ეს ფეხი მოგირჩინონ ქალაქში - ნამდვილი დანგრევა მერე ნახე. იმ მოჟამული ლაპარაკისნაირი კი არა.

Gekko: <id=233852689134752&cpos=93594094&word=არა

... it was **neither** more **nor** less than a pig, and she felt that it would be quite absurd for her to carry it further. [Carrol, 1993: 66]

... ხელში არც მეტი, არც ნაკლები, ნამდვილი გოჭი შერჩა. ელისმა იგრძნო, რომ უაზრობა იქნებოდა კვლავ ხელით ეტარებინა... [კეროლი, 1997:61]

Her father was **not so** bad then. [Joyce, 1982: 63]

მამამისი, ასე თუ ისე, წელმაგრად იყო [ჯოისი, 1984: 29]

As a thing of art **nothing** could be **more** admirable **than** the painting itself. [Poe, 2001: 198]

ხელოვნების ნაწარმოებთაგან ყველაზე უფრო აღმაფრთოვანებელი ეს სურათი გახლდათ [Poe, 1985: 193].

But it could have been **neither** the execution of the work, **nor** the immortal beauty of the countenance, which had so suddenly and so vehemently moved me. [Poe, 2001: 198]

მაგრამ არც შესრულებამ, არც მარადიულ მშვენიერებასთან წილნაყარმა სახემ შემძრა უეცრად სულიდან ხორცამდე [Poe, 1985: 193].

‘Yes, but I grow at a reasonable pace,’ said the Dormouse: ‘**not in that** ridiculous fashion.’ [Carrol, 1993: 111]

- დიახ, ვიზრდები, მაგრამ გონივრული სისწრაფით, - მიუგო ძილგუდამ.

- არა ისე, როგორც შენ [კეროლი, 1997: 114].

George said he had often longed to take to punting for a change. Punting **is not as easy as** it looks. [Jerome K. Jerome, 1964: 188]

ჯორჯმა გვითხრა, ბევრჯერ მინატრია ბრტყელძირა ნავით ცურვაო. ბრტყელძირა ნავით ცურვა **არც თუ ისე იოლია**, ბევრს რომ ჰგონია [ჯერომ ჯერომი, 1960: 156].

It **wasn't that he didn't** have unnerving thoughts when he was occupied, but even so work helped take his mind off things. [Joyce, 1982: 26]

მუშაობისას **კი არაფერს** ფიქრობდა, ფიქრით როგორ არ ფიქრობდა, მაგრამ ისე დარდიანად არა [ჯოისი, 1984: 20].

დაპირისპირებასა და მარკირებასთან ერთად უარყოფა დისკურსში შეიძლება გამოხატავდეს **ადიტიურ ფუნქციასაც**:

Dr. Weitbrecht-Rotholz belongs to that school of historians which believe that human nature **is not only** about as bad as it can be, but a great deal worse. [Maugham, 2009: 8]

დოქტორ ვიტბრეხტ-როტჰოლცი ისტორიკოსთა იმ სკოლას ეკუთვნის, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანის ბუნება უბრალოდ ცუდი **კი არა**, უკიდურესად გათახსირებულია [მოემი, 2009: 21]

- ნეგატიური ფრაზით ასევე, შეიძლება გამოხატული იყოს **დაეჭვების/ვარაუდის** ილოკუციური ფუნქცია:

"**If I'm not** mistaken, I believe you also had some difficulty at the Whooton School and at Elkton Hills." [Selinger, 1982: 13]

- **თუ არ** ვცდები, ჰუტონის სკოლასა და ელქტონ-ჰოლშიაც ასეთივე უსიამოვნება შეგხვდა.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90543506&word=არ>

... but I must be kind to them,' thought Alice, 'or perhaps they **won't** walk the way I want to go! [Carrol, 1993: 24]

- მაგრამ მაინც ალერსით უნდა მოვეპყრო მათ, - გაიფიქრა ელისმა, - თორემ ვინ იცის, იქნებ **სულაც არ** წამოყვანონ იქით, საითაც მომინდება [კეროლი, 1997:15].

But **if I'm not the same**, the next question is, Who in the world am I? [Carrol, 1993: 26]

მაგრამ თუ მე აღარ ვარ მე, მაშ ვილა ვარ? [კეროლი, 1997:17]

"I can't tell you just now what the moral of that is, but I shall remember it in a bit."

"**Perhaps it hasn't** one," Alice ventured to remark. [Carrol, 1993: 89]

- ... ახლა ზუსტად ვერ გეტყვი, აქედან რა მორალი გამომდინარეობს, მაგრამ ცოტა ხანს მაცალე და გავიხსენებ.

- **იქნებ არც არაფერი** გამომდინარეობდეს, - გაბედა გოგონამ დაეჭვება [კეროლი, 1997: 89].

I'm **not quite** sure of the details, but it was something very sad, I know. [Jerome K. Jerome, 1964: 95]

ყველა წვრილმანს ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ეს რაღაცძალზე სევდისმომგვრელი სიმღერა იყო [ჯერომ ჯერომი, 1960: 80].

- **საყვედური** შესაძლებელია გამოხატული იყოს კითხვითი უარყოფითი წინადადებით:

She had always had an edge on her, especially whenever there were people listening.

"Miss Hill, **don't** you see these ladies are waiting?"

"Look lively, Miss Hill, please." [Joyce, 1982: 64]

აკი ძალზე ათვალისწინებული და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე შარი მოედო, განსაკუთრებით მაშინ, თუ ახლომახლო უცხო ვინმე ეგულებოდა.

- მის ჰილ, განა ვერ ხედავთ ქალბატონები რომ გელიან? უფრო ცოცხლად, მისჰილ, თუ შეიძლება! [ჯოსისი, 1984: 30]

“**It isn’t** funny, Muriel. It **isn’t** funny at all. It’s horrible. It’s sad actually. When I think how ...” [Selinger, 1979: 29].

- ნეტა რა გაცინებს, მიურიელ, სულაც არ არის სასაცილო. საშინელებაა პირდაპირ. ძალიან სამწუხარო ამბავია. რომ გამახსენდება, როგორ ...

Gekko: <id=233550599356515&cpos=83324185&word=რა>

• უარყოფითი ფორმით შეიძლება გამოხატული იყოს გაფრთხილება/მითითება/ინსტრუქტაჟი/ზრძანება/მოთხოვნა/აკრძალვა რაიმე ქმედების შესრულების თაობაზე:

‘Come, **there’s no use** in crying like that!’ said Alice to herself, rather sharply. [Carrol, 1993: 23]

- კმარა, ტირილით აბა რას უშველი, გაუჯავრდა უცებ საკუთარ თავს, - გირჩევ, ახლავე გაჩერდე! [კეროლი, 1997: 14]

My goodness, he needs the sun. Can’t you make him? [Selinger,1979: 32]

- გენაცვალე, მზეა სწორედ მაგისტვის მისწრება. უნდა როგორმე აიძულო.

Gekko: <id=233550599356515&cpos=83325490&word=როგორმე>

“**Don’t** let go,” Sybil ordered. “You hold me now.” [Selinger,1979: 36]

- ხელი არ გამიშვა, - უბრძანა სიბილმა, - ასე გეჭიროს.

Gekko: <id=233550599356515&cpos=83327160&word=არ>

If there is one think I hate, it's the movies. **Don't even** mention them to me. [Selinger, 1979: 28]

ყველაზე უფრო კინოს ვერ ვიტან - ჭირივითა მძულს, **ნურც** მიხსენებთ.

Gekko: <id=233550599356515&cpos=90539963&word=ნურც>

'Ah, my dear! Let this be a lesson to you **never** to lose your temper!' [Carrol, 1993: 38]

- აი, ჩემო ძვირფასო! დაე, ეს გაკვეთილი იყოს შენთვის, რომ გახსოვდეს – თავშეკავება **არასოდეს არ** უნდა დაკარგო [კეროლი, 1997: 31].

- უარყოფითი ფორმით შეიძლება გამოხატული იყოს **მხარდაჭერა/გამხნეება/შეგულიანება**:

"**Not much** fear of that while this stew's on," he grunted. [ჯერომ ჯერომი, 1964: 173]

- **დარდი ნუ** გაქვს, ეს წყეული ყაურმა კიდეც არ მეშვებაო, - წაიბურტყუნა მან [ჯერომ ჯერომი, 1960: 144]

- უარყოფითი ფორმით შეიძლება ასევე გამოხატული იყოს დაპირების ილოკუციური ფუნქცია:

"Did you call on Grimes?"

"I did."

"Well? How does he stand?"~

"He wouldn't promise. He said: 'I won't tell anyone what way I'm going to vote.' But I think he'll be all right."

- გარდა ზემოთ თქმულისა, უარყოფითად მარკირებულ დისკურსს შეიძლება ჰქონდეს **თავაზიანობის** გამოხატვის ილოკუციური ფუნქციაც:

“Well, I should like to be a little larger, sir, if you **wouldn't** mind, said Alice.” [Carrol, 1993: 55]

- რა გითხრათ, მერჩივნა ცოტა უფრო დიდი ვყოფილიყავი, სერ, **თუ** თქვენ **საწინააღმდეგო არაფერი** გექნებათ [კეროლი, 1997: 49].

შესაბამისად, ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებით წარმოებული დისკურსის ილოკუციური ფუნქციები. სამეტყველო ფორმები, რომლებიც მონაწილეობას დებულობენ აღნიშნული ილოკუციური აქტების ფორმირებაში მოცემულია ქვემოთ.

ილოკუციური მნიშვნელობის გაგება ემყარება პრესუპოზიციას, რომ ადრესატს და ადრესანტს აქვთ ფონური ცოდნა ან კონტექსტუალური ინფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს მესიჯის სწორ დესკრიფციას. ეს შეეხება როგორც ფრაზულ გამონათქვამებს, ასევე მიკრო თუ მაკრო კონტექსტის ინფორმაციასაც.

ლექსიკურ და სინტაქსურ უარყოფას ტექსტის დონეზე პრაგმატულად შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ილოკუციური ფუნქციები: ინფორმირება/განაცხადი/დეკლარაცია (Inform/state), დაპირისპირება/კონტრადიქცია/შედარება (oppose/contradict/compare), უარი/წინააღმდეგობა (deny/refuse/object), შეკითხვა/მოთხოვნა/ბრძანება (ask/enquire/request), სინანული (regret), საყვედური (reproach), გამხნევება/შეგულიანება/მხარდაჭერა (encouragement), ინსტრუქტაჟი (instruct), ეჭვი/ვარაუდი (doubt), ბრძანება (order), აკრძალვა (forbid), გაფრთხილება/მითითება (warn), სურვილი (wish), თავაზიანობა (politeness, courtesy).

მასალიდან მოძიებული ფრაზები ილოკუციური ფუნქციების გათვალისწინებით შეიძლება დაჯგუფდეს სამეტყველო აქტების მიხედვით შემდეგნაირად (საფუძვლად გამოყენებულია სერლის კლასიფიკაცია) [Searl, 1999]:



შეიძლება ითქვას, რომ დირექტივებში, კომისიებში და ექსპრესივებში შემავალი ილოკუციური მნიშვნელობის ფრაზები გამოხატავენ მოდალურ მნიშვნელობას. ასერტივებში შემავალი გამონათქვამების ილოკუციური მნიშვნელობა, ძირითადად, გულისხმობს ლოგიკურ უარყოფას.

ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებში ნეგაციის ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობენ ისეთი ლექსიკური ერთეულებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ სემანტიკურად უარყოფით მნიშვნელობა. ასეთებია, ძირითადად, ზმნიშებლები: „hardly“, „ever“, „barely“, „scarcely“, „at all“, „a bit“, etc.

უარყოფის გამოხატვის საშუალებები შეიძლება დავყოთ სამ დონედ: უარყოფის სიტემურ დონეზე, რომელიც გამოიხატება ლექსიკური საშუალებებით

(ცირკუმფიქსებით წარმოებული მეტყველების ნაწილები, სემანტიკურად უარყოფითი მნიშვნელობის ზმნები, ნაცვალსახელები, ზმნიზედები, უარყოფითი ნაწილაკები, უარყოფით პოლარული ლექსიკური ერთეულები), სინტაქსის დონეზე (თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები) და ტექსტის დონეზე (ექსპლიციტური და იმპლიციტური უარყოფა).

ჩვენ მიერ განხილული ენის სისტემური ელემენტები შეიძლება განვალაგოთ მზარდი უარყოფითობის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით:

(1) დადებითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები;

(2) უარყოფასთან ასოცირებული დადებითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები ტექსტში უარყოფის მაქსიმიზაციის ფუნქციით - ზმნიზედები: until, at all, a bit, any more, yet და ა.შ.

(3) უარყოფითი კონტექსტიდან გამომდინარე ჩანაცვლებადი ლექსიკური ერთეულები. ასეთი წყვილი ერთეულებია: any (some); anybody (somebody); anywhere (somewhere) anything (something), anyhow (somehow), anyone (someone), anyway (somehow) და ა.შ.

(4) მინიმიზატორები, ლექსიკური ერთეულები დამაკნინებელი მნიშვნელობით, ძირითადად ზმნიზედები და ნაცვალსახელები: hardly, scarcely, barely, nearly, almost, only, few, little;

(5) უარყოფითი სემანტიკის მქონე სიტყვების რამოდენიმე ჯგუფი:

- იმთავითვე უარყოფით მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულები, რომლებშიც შედის ზმნები: fail, lack, refuse, deny, reject;

- იმთავითვე უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულები, რომლებშიც შედის ზმნიზედები: never და შედგენილი ზმნიზედა - nowhere;

- უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულები, რომლებშიც შედის ნაცვალსახელები, მათ შორის შედგენილიც: nobody, nothing, none;

- უარყოფითი მნიშვნელობის წინდებული: without;

- უარყოფითი მნიშვნელობის კავშირები: neither...nor, neither;

- აფიქსაციით წარმოებული უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულები: უარყოფითი პრეფიქსებით წარმოებული - un-, in-/im-/ir-/il-, non, dis-, anti-, contra-/counter-, a-, mis - და უარყოფითი სუფიქსით წარმოებული – -less;

(6) უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აწარმოებენ სინტაქსურ უარყოფას: ნაწილაკი not (ზოგადი უარყოფა) და მსაზღვრელი no (კერძო უარყოფა).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უარყოფა ენის სამივე საფეხურზე - ენის სისტემური ელემენტების, სინტაქსისა და ტექსტის დონეებზე - შესაძლებელია წარმოვადგინოთ ცხრილის სახით, რომლის შემადგენელი ელემენტებიც განლაგებული არიან ვექტორულად მზარდი უარყოფითობით დაწყებული დადებითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულებით გამოხატული ნეგაციისა დისკურსის დონეზე დამთავრებული სინტაქსურ უარყოფაში მონაწილე ლექსიკური ერთეულებით – ნეგატიური მარკერებით. აღნიშნულ ვექტორს შეიძლება ვუწოდოთ უარყოფითობის ვექტორი.

დისკურსის დონეზე გამოხატული ნეგაცია მოიცავს ორ ველს: ფარულ უარყოფასა და აშკარა უარყოფას. ორივე უარყოფის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობას ღებულობენ ენის სისტემური დონის ლექსიკური ერთეულები და, შესაბამისად, ეს იქნება უარყოფის ლექსიკური ველი. თავის მხრივ ლექსიკური უარყოფა გამოიხატება დადებითი და უარყოფითი სისტემური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებით.

დადებით სისტემურ მნიშვნელობაში სინტაქსის დონეზე გაერთიანდა: უარყოფასთან ასოცირებული კონტექსტი და შეკვეცილი სკალა. უარყოფასთან ასოცირებულის კატეგორიაში სინტაქსის დონეზე გადის უარყოფასთან კომბინაციაში მყოფი და უარყოფის მოქმედების ველში ჩანაცვლებადი ლექსიკური ერთეულები, შეკვეცილ სკალაში – მინიმიატორები. სამივე ჯგუფი ენის სისტემურ დონეზე

ერთიანდება ნეგატიური პოლარული ლექსიკური ერთეულების ჯგუფში, რომლებშიც შედის ზმნიზედები და ფრაზული გამონათქვამები, ნაცვალსახელები და ზმნიზედები.

უარყოფითი სისტემურ მნიშვნელობაში მოიცავს: უარყოფითი სემანტიკის ლექსიკურ ერთეულებს, რომელშიც, თავის მხრივ, შედის იმთავითვე უარყოფითი სემანტიკისა და წარმოებული უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები.

იმთავითვე უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულების ჯგუფში შედის ცენზორები: ზმნები, ზმნიზედები, წინდებული, კავშირები და ერთმნიშვნელოვანი უარყოფითი მარკერები.

წარმოებული ლექსიკური ერთეულების ჯგუფში შედის: უარყოფითი პრეფიქსებითა და სუფიქსით წარმოებული და შედგენილი უარყოფითი ლექსიკური ერთეულები.

უარყოფის სქემა ინგლისურ ენაში

უარყოფა დისკურსში									
სინტაქსური უარყოფა	ფარული უარყოფა				აშკარა უარყოფა			სინტაქსური უარყოფა	
	ლექსიკური უარყოფა								
	დადებითი სისტემური მნიშვნელობა				უარყოფითი სისტემური მნიშვნელობა				
დადებითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები	უარყოფასთან ასოცირებული		შეკვეცილი სკალა		უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები				
	უარყოფასთან კომბინაცია - უარყოფის მაქსიმიზაცია	უარყოფის მოქმედების ველში ჩანაცვლებადი ერთეულები	მინიმიზატორები						
	ნეგატიური პოლარული ერთეულები				იმთავითვე უარყოფითი სემანტიკა		წარმოებული		თხრობითი, კითხვითი, ძახილის/ ბრძანებითი წინადადებები
	ზმნიზედები და ფრაზული გამონათქვამები	ნაცვალსახელები ზმნიზედა	ზმნიზედები ნაცვალსახელები	ცენზორები	უარყოფითი markerebi	აფიქსაცია	შედგენილი		
at all a bit yet ever	(some)-any (somebody)-anybody (somewhere)-anywhere	hardly scarcely barely nearly almost ever only few little	ზმნები refuse deny reject ზმნიზედა never წინდებული without კავშირი neither nor neither	ნაწილაკი not ნაცვალსახელი no	პრეფიქსები- un-, dis-, in/im/il/ir-, non-, anti-, contra-, counter-, mis-; სუფიქსი - -less	nobody nothing nowhere			

დისკურსის დონეზე გამოხატული ნეგაცია მოიცავს ორ ველს: ფარულ უარყოფასა და აშკარა უარყოფას. ორივე უარყოფის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობას ღებულობენ ენის სისტემური დონის ლექსიკური ერთეულები და, შესაბამისად, ეს იქნება უარყოფის ლექსიკური ველი. თავის მხრივ ლექსიკური უარყოფა გამოიხატება დადებითი და უარყოფითი სისტემური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებით.

დადებით სისტემურ მნიშვნელობაში სინტაქსის დონეზე გაერთიანდა: უარყოფასთან ასოცირებული კონტექსტი და შეკვეცილი სკალა. უარყოფასთან ასოცირებულის კატეგორიაში სინტაქსის დონეზე გადის უარყოფასთან კომბინაციაში მყოფი და უარყოფის მოქმედების ველში ჩანაცვლებადი ლექსიკური ერთეულები, შეკვეცილ სკალაში – მინიმიზატორები. სამივე ჯგუფი ენის სისტემურ დონეზე ერთიანდება ნეგატიური პოლარული ლექსიკური ერთეულების ჯგუფში, რომლებშიც შედის ზმნიზედები და ფრაზული გამონათქვამები, ნაცვალსახელები და ზმნიზედები.

სისტემური უარყოფითი მნიშვნელობის ერთეულები მოიცავს: უარყოფითი სემანტიკის ლექსიკურ ერთეულებს, რომელშიც, თავის მხრივ, შედის იმთავითვე უარყოფითი სემანტიკისა და წარმოებული უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები.

იმთავითვე უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულების ჯგუფში შედის ცენზორები: ზმნები, ზმნიზედები, წინდებული, კავშირები და ერთმნიშვნელოვანი უარყოფითი მარკერები.

წარმოებული ლექსიკური ერთეულების ჯგუფში შედის: უარყოფითი პრეფიქსებითა და სუფიქსით წარმოებული და შედგენილი უარყოფითი ლექსიკური ერთეულები.

თავი III

უარყოფის გამოხატვის საშუალებები ქართულ ენაში

როგორც ინგლისურ ენაში, ქართულ ენაშიც, ნეგაციის ფუნქციების შესწავლისთვის დისკურსში უარყოფის გამოხატვის საშუალებებს განხილულია სამ - სისტემურ, სინტაქსის, დისკურსის – დონეზე. პირველ რიგში გაკეთდა ენის სისტემურ დონეზე უარყოფითი ლექსიკური ერთეულების კლასიფიკაცია, მათ წარმოების საშუალებები, განვიხილეთ მათი დისტრიბუცია და ნეგაციის გამოხატვის საშუალებები სინტაქსის დონეზე და შემდეგ დისკურსის დონეზე უარყოფის გამოხატვის ექსპლიციტურ და იმპლიციტურ საშუალებები.

§ 1 უარყოფის გამოხატვა ენის სისტემური ელემენტების დონეზე ქართულ ენაში

ენის სისტემურ დონეზე უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს უარყოფითი ლექსიკური ერთეულებით, რომლებსაც შეიძლება იმთავითვე ჰქონდეს უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობა, რაც ქართულ ენაში მცირე რაოდენობით გვხვდება, ან წარმოებული იყოს სხვადასხვა საშუალებით. ქართულში უარყოფითი ლექსიკური ერთეულების წარმოების საშუალებებია: აფიქსაცია, პრეფიქსაცია და სიტყვათა წარმოება.

§ 1.1 უარყოფითი აფიქსები და აფიქსაციით წარმოებული უარყოფითი ლექსიკური ერთეულები ქართულ ენაში

სისტემურ (ლექსიკურ) დონეზე უარყოფა ქართულში ძირითადად გამოიხატება უარყოფითი უ- პრეფიქსის საშუალებით გარკვეულ სუფიქსებთან კომბინაციაში და უარყოფის მაწარმოებელი ძირითადი ნაწილაკების - არ, ვერ, ნუ - საშუალებით.

სახელებში უარყოფის მაწარმოებლად გამოიყენება შემდეგი ცირკუმფიქსები და პრეფიქსები:

(1) ცირკუმფიქსები - უ - ი; უ - ო: აწარმოებენ ზედსართავ სახელებს:

- ნაზმნარი სახელებისაგან - და-უ-წერ-ელ-ი, და-უ-ხატავ-ი, გა-უ-კეთებ-ელ-ი და ა.შ.;

- არსებითი სახელებისგან - უ-ტვინ-ო, უ-გულ-ო უ-ადგილ-ო, უ-ავტორ-ო, უ-ანგარიშ-ო, უ-ანგარ-ო, უ-ბილეთ-ო, უ-ბინა-ო, უ-შვილ-ო, უ-მამ-ო და ა.შ.

არსებით სახელთაგან წარმოებული უარყოფითი ზედსართავები აღნიშნავენ ამოსავალი ზედსართავი სახელებით აღნიშნული რაიმეს ან ვინმეს უქონლობა/უყოლობას. წარმოება თითქმის შეუზღუდავია.

გამონაკლისის სახით უარყოფითი ზედსართავი სახელები შეიძლება ნაწარმოები იყოს დამხმარე სიტყვებისგანაც. მაგალითად: უ-თუ-ო, უ-ებრ-ო [შანიძე, 1973: 123).

- ზედსართავი სახელებისაგან - უ-გნ(<გონ)-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი და ა.შ.

(2) ცირკუმფიქსები უ - ურ, უ - ულ: აწარმოებს ზედსართავ სახელებს:

- არსებითი სახელებისაგან, მაგრამ თანამედროვე ქართულში შეზღუდულად გამოიყენება [შანიძე, 1973: 122]. ასეთი ზედსართავი სახელებია: უ-ბედ-ურ-ი, უ-დაბ-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი, უ-მად(<მადლ)-ურ-ი), უ-ჟმ(<ჟამ)-ურ-ი, უ-ფერ-ულ-ი, უ-ძლ-ურ-ი, უ-წიგნ-ურ-ი და ა.შ. ანალოგიური წარმოებისაა გასუფსტანტივირებული უ-ფსკრ (<ფსკერ)-ულ-ი [ა. შანიძე, 1973: 126].

- ობა მაწარმოებლის დართვით, ძირითადად, მიიღება უარყოფითი არსებითი სახელები 'უ - ო' ცირკიმფიქსით ნაწარმოები ზედსართავებისაგან. წარმოება თითქმის შეუზღუდავია: უ-ადგილ-ობა, უ-ანგარობ-ა, უ-ასაკობ-ა, უ-ბილეთობ-ა, უ-ბინაობ-ა, უ-გულობ-ა და ა.შ.

ჩვეულებრივ, უ - ო და უ - ურ/ულ მაწარმოებლები ერთსა და იმავე მნიშვნელობას - უქონლობას - გამოხატავენ, მაგრამ, მათი პარალელური ხმარების დროს ზოგჯერ თავს იჩენს სემანტიკური დიფერენციაცია: უ-ბედ-ო - და უ-ბედ-ურ-ი ნიშნავს ბედის არქონას, მაგრამ, გარდა ამისა უ-ბედ-ურ-ი გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს: ცუდი, აუტანელი. ანალოგიურია: უ-წიგნ-ო და უ-წიგნ-ურ-ი. უ-წიგნ-ო ნიშნავს „ვისაც წიგნი არა აქვს“; - უ-წიგნ-ურ-ი ნიშნავს: (ა) წიგნის, წერა-კითხვის უცოდინარი; (ბ) უვიცი, გაუნათლებელი.

(3) „უ - ობა“ და „უ - ება“ ცირკუმფიქსებით არის ნაწარმოები უარყოფითი არსებითი სახელები „უ - ურ“ წარმოების უარყოფითი ზედსართავი სახელებისაგან: უ-ბედურ-ება, უ-დღეურ-ობა, უ-მადურ-ობა, უ-საქმურ-ობა, უ-წიგნურ-ობა, უ-ძღურ-ება და ა.შ. [ჯორბენაძე... 1984: 136-149].

უარყოფითი ნაწილაკების - არ, ვერ - საშუალებით იწარმოება:

- ზედსართავი სახელებისაგან მიღებული არსებითი სახელები: არ-გაგონილი, ვერ-მიხვედრილი და ა.შ.;
- არსებითი სახელებისაგან მიღებული უარყოფითი არსებითი სახელები: არა-რაობა, არა-კაცობა, არა-ადამიანი, არა-თითი, არა-კაცი, არა-მუშა (უხეირო მუშა), არა-რეალურობა, არა-შვილი;
- ზედსართავი სახელებისგან მიღებული ზედსართავი სახელები: არა-შთამბეჭდავი, არა-სიმპატიური, არა-კომუნიკაბელური; არა-პუნქტუალური.
- უარყოფითი ზედსართავი სახელებისაგან ნაწარმოები ზედსართავ სახელები, რომელიც გამოხატავს ამოსავალი ზედსართავით გამოხატული მნიშვნელობის უარყოფას. წარმოება შედარებით ახალია, მაგრამ საკმაოდ პროდუქტიული (განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სამედიცინო ტერმინოლოგიაში): არა-

ადამიანური, არა-ამქვეყნიური, არა-არსებითი, არა-გულწრფელი, არა-ზუსტი, არა-იშვიათი, არა-კანონზომიერი, არა-ლეგალური, არა-პროდუქტიული, არა-დეფორმირებული, არა-სტერილური, არა-ინფიცირებული, არა-ინვაზიური და ა.შ.

ზოგჯერ ნაწილაკი არა გვხვდება აგრეთვე ამ ნაწილაკით წარმოებული უარყოფითი ზედსართავი სახელებისაგან აბსტრაქტული სახელების მწარმოებელი სუფიქსების -ობა, -ება - დართვით მიღებულ არსებით სახელებში. ასეთებია: არა-ბუნებრი(ვ)-ობა, არა-გულწრფელ-ობა, არა-თანმიმდევრულ-ობა, არა-ობიექტურ-ობა, არა-კანონიერ-ება, არა-კეთილშობილ-ება, არა-პირდაპირ-ობა და ა.შ.

ქართულ ენაში პრეფიქს/სუფიქსის მეტყველების ნაწილებთან კომბინაცია მოცემულია ცხრილში:

უარყოფის მწარმოებელი	არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი
პრეფიქსი არ(ა)-	არა-არსებითი სახელი	არა-არსებითი სახელი არა-ზედსართავი სახელი
ცირკუმფიქსი უ-ო	არა-არსებითი სახელი -ო	არა-არსებითი სახელი-ო- უ-ზედსართავი სახელი-ო
ცირკუმფიქსი უ- ურ(ულ)	-	უ-არსებითი სახელი-ურ უ-ზედსართავ სახელი-ურ
დამხმარე სიტყვები თუ, -ებრ	-	უ-თუ-ო, უ-ებრ-ო

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართულ ენაში მორფოლოგიურ დონეზე უარყოფის წარმოებაში მონაწილეობას ღებულობს პრეფიქსი უ- და ნაწილაკი არ(ა)- პრეფიქსის როლში. უარყოფითი ცირკუმფიქსებით ლექსიკური ერთეულების წარმოება არ არის პროდუქტიული. ძირითადად, გვხვდება არსებით და ზედსართავ სახელებთან. მათ შორის უფრო პროდუქტიულია ზედსართავი სახელი.

ინგლისურთან შედარებით, ქართულში მორფოლოგიურ დონეზე უარყოფით ცირკუმფიქსები და მათ მიერ ნაწარმოები უარყოფითი ლექსიკური ერთეულები არ არის დიდი რაოდენობით.

§ 1.2 უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები ქართულ ენაში

ქართულში მორფოლოგიურ დონეზე აფიქსაციით წარმოებული უარყოფითი ლექსიკური ერთეულების გარდა გვაქვს შედგენილი უარყოფითი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ძირითადად აწარმოებს უარყოფითი ნაწილაკები: „არ“, „ვერ“, „ნუ“.

კერძოდ, აღნიშნული ნაწილაკების საშუალებით იწარმოება უარყოფითი კუთვნილებითი ზედსართავი სახელები, უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები (სულიერი და უსულოს აღმნიშვნელი).

ამ ფორმით წარმოებული ლექსიკური ერთეულები მოცემულია ქვემოთ:

კატეგორია	უარყოფითი ნაწილაკი	უარყოფა	შესაძლებლობა	აკრძალვა
		არ(ა)	ვერ(ა)	ნუ(რა)
სულიერი	-ვინ	არავისი	ვერავისი	ნურავისი
უსულო	-ფერი	არაფრის	ვერაფრის	ნურაფრისი

უარყოფითი ნაცვალსახელები წარმოებულია „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელებზე უარყოფითი ნაწილაკების დართვით:

კატეგორია	უარყოფითი ნაწილაკი	უარყოფა	შესაძლებლობა	აკრძალვა
		არ(ა)	ვერ(ა)	ვერ(ა)
სულიერი	-ვინ	არავინ	ვერავინ	ნურავინ
უსულო	-ფერი	არაფერი	ვერაფერი	ნურაფერი
ხარისხი	-ვითარი	არავითარი	ვერავითარი	ნურავითარი
რაოდენობა	-ც ერთი	არც ერთი	ვერც ერთი	ნურც ერთი

უარყოფითი ზმნიზედები იწარმოება უარყოფითი ნაწილაკის კომბინაციით ზოგიერთ ზმნიზედასა და არსებით სახელებთან: სუფიქსი ‘-სად’ არის კითხვითი ზმნიზედა, -ოდეს - არქაული შედარებითი ზმნიზედა, ‘-დროს’ - არსებითი სახელის, ‘დრო’ მიცემითი ბრუნვა, ხოლო ‘-გზით’ - არსებითი სახელის, ‘გზა’ - ინსტრუმენტული ბრუნვა.

კატეგორია	უარყოფითი ნაწილაკი	-სად	-ოდეს	-ს-დროს	-გზით
უარყოფა	არ(ა)	არსად	არასოდეს	არასდროს	არასგზით
შესაძლებლობა	ვერ(ა)	ვერსად	ვერასოდეს	ვერასდროს	ვერასგზით
აკრძალვა	ნუ(რა)	ნურსად	ნურასოდეს	ნურასდროს	ნურასგზით

უარყოფით ლექსიკურ ერთეულებთან ასოცირებულია „ღ“ ნაწილაკი, რომელიც სიტყვას მატებს ზღვრული უარყოფის ფუნქციას: „აღარ“, „ვეღარ“, „ნუღარ“, „აღარაფერი“, „ვეღარაფერი“, „ნუღარაფერი“ და ა.შ.

ნაწილაკი „აღარ“, კერძოდ, ძირეული მორფემა „ღ“ გამოხატავს ზღვრულ უარყოფას, მოქმედებას, რომელიც მეტჯერ არ ხდებოდა, არ ხდება ან აღარ მოხდება გარკვეული მიზეზების გამო. [ჯორბენაძე 1988: 454]. ამ ნაწილაკის რთული ფორმაა „აღარც“.

„ვერ“ ნაწილაკის რთული ვარიანტებია: „ვეღარ“, „ვერც“, „ვეღარც“. ნაწილაკი ვეღარ გამოხატავს ზღვრული მოქმედების შესაძლებლობას.

ნაწილაკის „ნუ“ რთული ვარიანტებია: „ნურც“, „ნულარ“, „ნულარც“.

გარდა ამისა, უარყოფასთან კომბინაციაში ხშირად გვხვდება შემდეგი ნაწილაკები: „-ც“, „კი“, „აკი“, „ხომ“, „განა“.

გათენებას აღარაფერი აკლდა, ღვინის სმაში შეჯიბრებული ყმაწვილკაცობა კი ჯერ ადგომას არც კი აპირებდა [კლდიაშვილი, 1989: 68].

ბედმა მისთვის სიკვდილიც კი არ გაიმეტა ... [შატბერაშვილი, 1985: 139].

... ცხენი ისევ იმავე ადგილას იდგა, ფეხსაც არ იცვლიდა [კლდიაშვილი, 1989: 37].

Gekko: < id=233077094574585&cpos=82559272&word=ფეხსაც>

- აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა! - მიატანა ღიმილითვე კნეინამ.

Gekko: < id=233077094574585&cpos=82227893&word=აკი>

ის „მონაბერი სული“ ქარად ხომ არ მიიღო ჩვენმა თავადმა?

Gekko: <id=233077094574585&cpos=82225486&word=ხომ>

ნაწილაკების გარდა უარყოფით კონტექსტში ხშირად გვხვდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დადებით კონტექსტშიც გამოიყენება. ზოგიერთ მათგანს უარყოფით კონტექსტში შეიძლება სულ სხვა ფუნქცია გააჩნდეს. უარყოფასთან ასოცირებული ასეთი ლექსიკური ერთეულებია: „დიდად“, „ისედაც“, „ნამდვილად“, „სულ(აც)“, „ოდნავ(აც)“, „ოდნავადაც“, „თითქმის“, „საერთოდ“, „ჯერ“, „აშკარად“ და ა.შ.:

ერთი ეგეთი მერე ლონდონშიც ვიყიდე, მისი სიცოცხლისდროინდელი, სულ ორ ფუნტად. ასე რომ, „პინგვინის“ წიგნები დიდად არ დამნანებია, თან ფულიც მჭირდებოდა.

Gekko: <id=233813245086685&cpos=86236138&word=დიდად>

როგორც ვხვდები, კომუნისტების დროს, ჩესტერტონის წიგნებს დიდად არ გამოსცემდნენ.

Gekko: <id=233813245086685&cpos=86236154&word=დიდად>

- ჰეი, გლეხებო, გარეთ გამოდით! ქუდზე კაცს დაუძახეთ! თქვენი აღსასრულის დღე მოდის! იარაღი აისხით და დიღომში მოიყარეთ თავი! წამოდექით! გაიღვიძეთ! გლეხებს ისედაც არ ეძინათ.

Gekko: <id=233813245086685&cpos=81613294&word=ისედაც>

- მაგ ისეთი კაცი ჩანს, ნამდვილად არ იტყოდა არაფერს! – განაცხადა ქუჩულორიამ.

Gekko: <id=233813245086685&cpos=98950879&word=ნამდვილად>

ლუარსაბი გამტერებული იდგა და სულ არ ესმოდა, რა განზრახვით მოსულა ამასთან კნენა და რა განზრახვით ლაპარაკობს.

Gekko: <id=233813245086685&cpos=82238798&word=სულ>

...იქნებ სულაც არ მოსულა წუხელ? [შატბერაშვილი, 1985:128].

ჯერ თითქმის კარგადაც არ გათენებულიყო, რომ მინდვრის ფარეხებიდამ ორს მეცხვარე თუმს ოთხიოდე ჭედილა და ხუთიოდე თოხლი წინ გამოეგდოთ და სოფელში მიერეკებოდნენ ...

Gekko: <id=233813245086685&cpos=82289268&word=თითქმის>

მდევრები ჯერ არ მობრუნებულიყვნენ.

Gekko: <id=233813245086685&cpos=82131074&word=ჯერ>

როგორც ვხედავთ, ქართულში ლექსიკურ დონეზე უმეტესად გვაქვს შედგენილი უარყოფითი ლექსიკური ერთეულები და უარყოფითი ნაწილაკები. იმთავითვე უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობის ერთეულები ქართულში ძალიან ცოტაა. უარყოფასთან კოლოკაციაში გვხვდება ასევე ნაწილაკები „ც“, „აკი“, „ხომ“, „განა“. გარდა ამისა, უარყოფასთან ხშირად ასოცირდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: „დიდად“, „ისედაც“, „ნამდვილად“, „სულ(აც)“, „ოდნავ(აც)“, „ოდნავადაც“, „თითქმის“, „საერთოდ“, „ჯერ“, „აშკარად“ და ა.შ. თუმცა, ისინი დადებით კონტექსტშიც გვხვდება. კორპუსის მონაცემების თანახმად, ამ ლექსიკური ერთეულების კორელაცია დადებით და უარყოფით კონტექსტებში გამოიყურება შემდეგნაირად:

სქემა N4

დადებითი კონტექსტი		უარყოფით კონტექსტი	
სრულიად	24784	სრულიად არ	208
დიდად	7628	დიდად არ	1541
ისედაც	8257	ისედაც არ	294
ნამდვილად	30745	ნამდვილად არ	10368
ოდნავაც	117	ოდნავაც არ	77
ოდნავადაც	473	ოდნავადაც არ	320
თითქმის	35376	თითქმის არ	1529
აშკარად	12101	აშკარად არ	522

„ოდნავაც“ და „ოდნავადაც“ ლექსიკური ერთეულების გამოყენების სიხშირე დადებით და უარყოფით კონტექსტში მცირედით განსხვავდება ერთმანეთისაგან. სავარაუდოდ, ყველა ცხრილში მოყვანილი სიტყვები შეიძლება განხილული იყოს,

როგორც პოლარული ლექსიკური ერთეულები ქართულში და იყოს შემდგომი კვლევის საგანი.

§ 2 უარყოფის გამოხატვა სინტაქსის დონეზე ქართულ ენაში

როგორც ინგლისურში, ქართულშიც, უარყოფის გამოხატვა ხდება თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებებით. ინგლისური ენისაგან განსხვავებით, ქართულში უარყოფით წინადადებად ითვლება ყველა წინადადება, რომელშიც გვხვდება უარყოფითი სიტყვა (უარყოფითი მარკერი).

ქართული სინტაქსისთვის დამახასიათებელია ის, რომ უარყოფითი ნაწილაკებიდან არ(ა) და ვერ(ა) აწარმოებენ თხრობით და კითხვით წინადადებებს, ხოლო ნუ აწარმოებს ბრძანებით/იმპერატიულ კილოს.

ლ. კვაჭაძე ქართულ ენაში გამოყოფს მტკიცებითი წინადადების ორ ტიპს: წართქმით და უკუთქმითს. წართქმითია წინადადება, რომელიც აზრს დადებითად გამოხატავს, ანუ ზმნით გამოხატული მოქმედება დადებითად არის წარმოდგენილი (სრულდებოდა, სრულდება ან შესრულდება):

იგი წიგნს კითხულობს.

იგი წიგნს კითხულობდა.

იგი წიგნს წაკითხავს.

უკუთქმითია წინადადება, რომელიც აზრს უარყოფითად გამოხატავს, ანუ ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულება გამორიცხულია (არ სრულდებოდა, არ სრულდება ან არ შესრულდება) [კვაჭაძე, 1988: 30]:

იგი წიგნს არ კითხულობს.

იგი წიგნს არ კითხულობდა.

იგი წიგნს არ წაკითხავს.

უკუთქმითი წინადადება სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, უარყოფა სრულია თუ ნაწილობრივი. სრული უარყოფა გვაქვს პრედიკატის უარყოფის შემთხვევაში, როგორც ეს გვაქვს ზემოთ მოყვანილ წინადადებებში.

ნაწილობრივი უარყოფის შემთხვევაში გვექნება:

იგი წიგნს კი არ კითხულობს, არამედ ჟურნალს.

ლ. კვაჭაძის თანახმად, წინადადებას უკუთქმით შინაარსს აძლევს:

- უარყოფითი ნაწილაკები: „არ“, „ვერ“, „ნუ“; „ალარა“, „ველარა“, „ნულარა“;
- უარყოფით ნაცვალსახელები: „არავინ“, „ვერავინ“, „ნურავინ“, „არაფერი“, „ვერაფერი“, „ნურაფერი“...

- უარყოფითი ზმნიზედები: „არსად“, „ვერსად“, „არსაიდან“, „ვერსაიდან“, „არასოდეს“... [კვაჭაძე, 1988: 30]

ნაწილაკებს (“არ”, “ვერ”, “ნუ”, “ალარა”, “ველარა”, “ნულარა”) წინადადებაში გააჩნიათ განსხვავებული ფუნქციები. კერძოდ, უკუთქმითი ნაწილაკი „არ(ა)“ წინადადებაში გამოხატავს [ჯორბენაძე, 1988: 454]:

(1) თხრობით უარყოფას და, ძირითადად, დგას შემასმენლის წინ:

იგი წიგნს არ კუთხულობს.

ლ. კვაჭაძის თანახმად, არ ნაწილაკი იხმარება, როგორც თხრობითი კილოს, ასევე უკუთქმითი ბრძანების გამოსახატავად კავშირებითის ფორმებთან. მაგალითად: არ წავიდა. არ წახვიდე! [კვაჭაძე, 1988:30]

(2) გაკვირვებას, გაოცებას, განცვიფრებას. ლ. კვაჭაძის თანახმად, განცვიფრების გამომხატველი არ ნაწილაკის შემცველი წინადადება ფორმით უკუთქმითია, შინაარსით - წართქმითი:

ძლივს არ ამოვისუნთქე!

(3) გამოიყენება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს.

- შეასრულე დავალება?

- არა.

მ. შერაზადიშვილის თანახმად, არ გამოხატავს: (1) კატეგორიულ უარყოფას, (2) ნეიტრალურ უარყოფას და (3) მტკიცებით-დადასტურებით უარყოფას, ჩაკითხვის დროს:

- გადროვით არა?
- არა!

არა გამოყენებულია მთელი წინადადების მაგივრად. [მ. შერაზადიშვილი, 2003]

არ-ს არა აქვს უარყოფით მნიშვნელობა:

(1) „ეშინია“ სემანტიკური მნიშვნელობის ზმნებთან: მეშინია, არ წავიქცე; უფრთხის არ დაიჭირონ;

(2) დამოკიდებულ წინადადებაში კავშირის შემდეგ: არ დაიჯერა, ვიდრე არ ნახა; არ დაიჯერა, სანამ არ მოვიდა.

არ + I და II თურმეობითი გამოხატავს დამუქრების კომუნიკაციურ აქტს: აბა, არ გაუკეთებია!

აწარმოებს უარყოფით ბრძანებით კომუნიკაციურ აქტს:

არ წახვიდე!

არ გაბედო!

ნაწილაკი არც აკეთებს იმ წევრის აქცენტირებას, რომელის წინაც დგას:

არც მუსიკა, არც გართობა აღარ მახალისებდა.

• უკუთქმითი ნაწილაკი „ვერ“ ზმნასთან ერთად გამოხატავს:

(1) მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც ვერ სრულდება სუბიექტის სურვილისა და ცდის მიუხედავად. გამოხატავს შესაძლებლობის და არა კატეგორიულ უარყოფას. ნაწილაკს „ვერ“ შეუძლია მხოლოდ ზმნა-შემასმენლის უარყოფა:

ვერ შეძლო გახსენება რა მოხდა გუშინ.

ვერ ნაწილაკი არ დაირთავს ბევრ სტატიკურ ზმნას, სადავო სიტუაციების გამომხატველ ზმნებს: აყრია, აწერია, ასხია, ახატია და ა.შ. [შერაზადიშვილი, 2003].

(2) იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს:

- შესაძლებელი დავალება?

- ვერა.

ნაწილაკები - „ვერც“, „ველარც“ - ახდენს იმ სიტყვის აქცენტირებას, რომელთანაც დგას:

ვერც მე და ვერც შენ ვერ გავაკეთებთ ამას.

ველარც მე გნახეთ და თქვენც დამივიწყეთ.

ველარც გამოხატავს მოქმედების განუმეორებლობას. მისი ფუნქციებია:

- (1) მოქმედების შესრულების შეუძლებლობა;
- (2) აწარმოებს უარყოფით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს;
- (3) აწარმოებს ორმაგ უარყოფას [შერაზადიშვილი, 2003].

აკრძალვითი „ნუ“ ნაწილაკის თხრობით კოლოზე დამატებისას კილო იცვლება ბრძანებით. ბრძანებითი კილო ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს შესასრულებლად. იგი გვიჩვენებს, რომ მოსაუბრის სურვილი უნდა იყოს შესრულებული. ნუ ნაწილაკით გამოხატული ბრძანება შეიძლება გამოხატავდეს დამუქრების ან აკრძალვის სამეტყველო აქტს:

აბა, ნუ გაუკეთებია! (მუქარა)

ნუ წახვალ! ნუ გააკეთებ! (ბრძანება)

კითხვითი წინადადებების შემთხვევაში კითხვა შესაძლებელია დასმული იყოს უარყოფითი ფორმით ან თხრობით წინადადებას მოსდევდეს უარყოფითი ნაწილაკი „არა“, რომლითაც მთქმელი ნათქვამის დადასტურებას მოითხოვს.

არ გინდა გავისეირნოთ?

სასიამოვნო საღამო იყო, არა?

შესაძლებელია უარყოფითი ფორმით დასმულ კითხვას დაერთოს დადასტურებითი ნაწილაკი „ხომ“ [კვაჭაძე 1988: 41]

ვერ მოახერხე მოსვლა, ხომ?

კითხვით წინადადებაში გამოიყენება კითხვითი ნაწილაკები: „განა“, „ნუთუ“, „ხომ“ [კვაჭაძე 1988: 35]:

განა არ მინდოდა მოსვლა?

ნუთუ არ გჯერა რასაც ვამბობ?

ხომ არ გაგიკეთებია, რაც გთხოვე?

ნაწილაკები - „განა“, „ნუთუ“ - შეიძლება გამოყენებული იყოს რიტორიკული კითხვების წამოებისათვისაც:

განა არ შეგეძლო ამის გაკეთება?

ნუთუ ვერ მოიცალე ამის გასაკეთებლად?

უკუთქმითი ბრძანებითი წინადადება კრძალავს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას, ამიტომ ასეთ ბრძანებითს აკრძალვითსაც ეძახიან [კვაჭაძე 1988: 42]

წადი, ნულარ აგვიანებ!

არ წახვიდე!

ნუ ჩქარობ!

ნუ გავაკეთებთ ამას!

რთული უარყოფითი წინადადებების წარმოებაში მონაწილეობას დებულლობენ უარყოფითი კავშირები, რომლებიც ქმნიან რამდენიმე ჯგუფს: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი და მაიგივებელი [მიძიგური, 1989: 22]. უარყოფითი კავშირები შედის პირველ და მესამე ჯგუფში.

მაჯგუფებელი უარყოფითი კავშირებია: “არც(ა) ... არც(ა)”, “აღრაც ... აღარც”, “ვერც(ა) ... ვერც(ა)”, “ნუ(ცა) ... ნუცა”, “ნურც ... ნურც”, “არა ... არამედ”:

ვერაფერი გააწყვეს ვერც კაცთან და ვერც ქალებთან.

Gekko: <id=233533338824627&cpos=26832&word=არამედ>

ახალ სალიტერატურო ენაში კავშირის პირველ კომპონენტს შეიძლება დაერთოს “კი”, “კი არ(ა) ... არამედ”, “ნუკი ... არამედ”:

ინდაური კი არ დაკლეს, არამედ ქათამი.

ნუკი იდარდებ, არამედ გული გაიმხიარულე [ძიძიგური, 1989: 47]

ამრიგად, ქართულში სინტაქსის დონეზე უარყოფას აწარმოებს უარყოფითი ნაწილაკები. კილოს მიხედვით მათი გამოყენება დიფერენცირებულია. იმპერატიული კილო ძირითადად გამოიხატება „ნუ“ ნაწილაკის საშუალებით, თუმცა შეიძლება „არ“ ნაწილაკითაც იყოს ფორმირებული. რთულ წინადადებებში გვაქვს წყვილი უარყოფითი კავშირები.

§ 2.1 ორმაგი უარყოფა ქართულ ენაში

ქართული სინტაქსის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ორმაგი უარყოფა, რომელიც სავალდებულოა შემდეგ შემთხვევებში [არაბული, 2004: 177-178; გეგუჩაძე 2007: 39]:

(1)თუ უარყოფით ნაცვალსახელი/ზმნიზედა და შემასმენელი გათიშულია სხვა სიტყვით. მაგალითად:

არავინ ყურადღებას არ აქცევს;

(2) თუ წინადადებაში გამოყენებულია სიტყვები - არც/ვერც ერთი, არავითარი, ვერავითარი, არამც და არამც, არა თუ, არასგზით, ვერასგზით, არაფრის დიდებით, ვერაფრის დიდებით, არც ერთხელ, ვერც ერთხელ - შემასმენლის წინ არ/ვერ ნაწილაკია საჭირო. მაგალითად:

და აქ შევურჩიე კითხვა, რომელსაც არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა მის გატაცებასთან.

GGekko: <id=233533338824627&cpos=22213&word=არავითარი>

ორმაგი უარყოფა მიეკუთვნება წინადადების ორ სხვადასხვა წევრს, გვაქვს სახელური უარყოფა და ზმნური უარყოფა. უარყოფილია კავშირი და პრედიკატი ჰქონდა.

არამც და არამც არავინ გაბედოს და ქეთოს ყურს არ გააგონოს, რომ ნაშვილარია და არა ჩვენი ღვიძლი შვილიო.

Gekko: <id=233533338824627&cpos=115154&word=არამც>

ამ შემთხვევაში ორმაგი უარყოფა გამოხატულია უარყოფითი ნაცვალსახელის უარყოფით, რაც იძლევა ემფაზას.

დავუშვათ ეყიდა, მაშინ ბესისთვისაც ხომ უნდა გაენაწილებინა, ეს კი არაფრისდიდებით არ უნდოდა.

Gekko: <id=233533338824627&cpos=18011553&word=დიდებით>

კონკრეტულ შემთხვევაში ორმაგი უარყოფა შეეხება პრედიკატს, რომელიც ემფაზის მაჩვენებელია.

ექვსიოდე თვის წინ ლაბორატორიაში მჯდომი ვერაფრის დიდებით ვერ წარმოვიდგენდი ამ უაზრობას.

Gekko: <id=233533338824627&cpos=14285074&word=დიდებით>

ანალოგიურად, ორმაგი უარყოფა „ვერ“ მოდალობის გამომხატველი ნაწილაკის მონაწილეობით უარყოფს პრედიკატს. ორმაგ უარყოფას აქაც ემფაზის ფუნქცია გააჩნია.

(3) თუ უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა პრეპოზიციური მსახლვრელის ფუნქციითაა გამოყენებული, შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკია აუცილებელი. მაგალითად:

აქ არავის კვალი არ არის;

(4) თუ წინადადების ერთგვარი წევრების წინ უარყოფითი არც, აღარც, ვერც, ველარც, ნურც, ნულარც, ნაწილაკებია ნახმარი, შემასმენლის წინ მეორე უარყოფითი ნაწილაკი გამოიყენება. მაგალითად:

ვერც მუქარა და ვერც შანტაჟი უკან ვერ დამახვეინებს.

(5) თუ უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა მოსდევს შემასმენელს, შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკი აუცილებელია. მაგალითად:

ვერ აკეთებს ვერაფერს, შდრ.: ვერაფერს (ვერ) აკეთებს.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ორმაგი უარყოფა გვაქვს შემდეგი კომბინაციებით:

უარყოფითი ნაცვალსახელი/ზმნიზედა/ზედსართავი + ... + არ + შემასმენელი;

ნაცვალსახელი/ზმნიზედა/ზედსართავი/ნაწილაკი + არ + შემასმენელი;

ნაწილაკი + შემასმენელი + ნაცვალსახელი/ზმნიზედა/ზედსართავი

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ორმაგი უარყოფას წინადადებაში აწარმოებს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ნაწილაკებით “არ(ა)”, “ვერ(ა)”, “ნუ(რა)” წარმოებული ნაცვალსახელები, ზედსართავი სახელები და ზმნიზედები, თვით ნაწილაკები “არ(ა)”, “ვერ(ა)”, “ნუ(რა)”, უარყოფასთან ასოცირებული ნაწილაკი „ლ“ და უარყოფასთან კომბინაციაში მყოფი ნაწილაკები „ც“, „არც“.

ქართული ენის ორმაგ უარყოფას თუ შევადარებთ ვან დერ ვუდენის კლასიფიკაციას, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს მეორე და მესამე ჯგუფის ერთგვარი სინთეზი, როდესაც, ერთი მხრივ, სახეზე გვაქვს უარყოფის თანაწყობა, რომლის შესაბამისადაც ქართულ ენაში ორმაგი უარყოფა იძლევა ერთმაგი უარყოფის წაკითხვას და, მეორე მხრივ, სახეზე გვაქვს უარყოფის გაძლიერება/ინტენსიფიკაცია.

§ 3. უარყოფის გამოხატვა დისკურსის დონეზე ქართულ ენაში

დისკურსის დონეზე უარყოფის გამოხატვის ფუნქციები ქართულ ენაში გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. ნეგაცია, რა თქმა უნდა, გულისხმობს უარყოფითი მარკერის გამოყენებას, მაგრამ გვხვდება ფრაზები და გამონათქვამები, სადაც არ არის უარყოფითი მარკერი. დისკურსის დონეზე ნეგატიური კონტექსტი შეიძლება განისაზღვრებოდეს ადრესანტის ინტენციით, პრესუპოზიციით, გამონათქვამის ილოკუციური მნიშვნელობით/ძალით, ზოგადად რომ ვთქვათ, ვიწრო ან ფართო კონტექსტით. ამრიგად, შესაძლებელია, ტექსტი არ შეიცავდეს ენის სისტემური დონის უარყოფით ლექსიკურ ერთეულს და გამონათქვამის ილოკუციური მნიშვნელობა იყოს უარყოფითი, გამონათქვამს ჰქონდეს უარყოფითი კონოტაცია (იმპლიციტური უარყოფა).

ამასთან ერთად, არსებობს კონტექსტები, როდესაც დისკურსში არ არის უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეული, მაგრამ, ადგილი აქვს ნეგაციას. ამ შემთხვევაში გვაქვს ფარული (იმპლიციტური) პოზიტივი.

§ 3.1 ფარული (იმპლიციტური) უარყოფა ქართულ ენაში

უარყოფითი მარკერის გარეშე დისკურსის შემთხვევაში მხოლოდ კონტექსტის საშუალებით არის შესაძლებელი განსაზღვრა, თუ რას გულისხმობს ავტორი, რა პრაგმატული ფუნქცია გააჩნია გამონათქვამს. ქართულში იმპლიციტური უარყოფის გამოხატვის მაგალითია იდიომატური გამონათქვამი: ეგრე სად არის! აღნიშნული გულისხმობს, რომ „ასე არ ხდება, არ შეიძლება იყოს და ა.შ.

-ეგრე სად არის, ძმაო! ან ერთი უნდა აირჩიო, ან მეორე!

Gekko: <id=233566068079826&cpos=86316527&word=ეგრე>

პერიფრაზი: ეგრე არ არის/ასე არ გამოვა.

ლიტერატურული ტექსტებიდან იმპლიციტური უარყოფის მაგალითებია:

... განა დედის გული შვილისთვის ცუდს მოიწადინებს?

Gekko: <id=233566068079826&cpos=41399806&word=განა>

პერიფრაზი: დედის გული შვილისთვის ცუდს არ მოიწადინებს.

ეს იყო ძალიან საინტერესო დრო. განა, ვინმეს მოკვლა გვინდოდა? არა.
უბრალოდ მუშაობა იყო საინტერესო.

Gekko: <id=233566068079826&cpos=99637115&word=განა>

მიმდებარე კონტექსტი ადასტურებს ამ ფრაზით მიერ გამოთქმულ კონოტაციას
- უარყოფას.

- მაგას რა გააციებს, ლორივით არი გამოყვანილი... [შატბერაშვილი, 1985: 19]

პერიფრაზი: მას ვერაფერი გააციებს.

- ბიჭო, შენ რომ არ გაგემწარებინე, ამ ლოდს რა ამაწევინებდა?
[შატბერაშვილი, 1985: 17]

პერიფრაზი: ამ ლოდს ვერაფერი ამაწევინებდა.

სოფელში ეს ამბავი ყველას გაუკვირდა, ამ უქნარამ ოჯახს რა უნდა გაუკეთოსო
[შატბერაშვილი, 1985: 39]

პერიფრაზი: ეს უქნარა ოჯახისთვის ვერაფერს გააკეთებს.

§ 3.2. ფარული (იმპლიციტური) პოზიტივი ქართულ ენაში

დისკურსში უარყოფითი მარკერის არსებობა შესაძლოა, ყოველთვის არ იძლეოდეს უარყოფით მნიშვნელობას, არ იგულისხმებოდეს ნეგაცია, მნიშვნელობას შეიძლება დადებით კონოტაცია ჰქონდეს (იმპლიციტური პოზიტივი):

ორმოცდაერთი წელი ხომ გახსოვს ეჰ, ვის ახსოვს, რომ შენ არ გახსოვდეს ... გახსოვს!

Gekko: <id=233566068079826&cpos=86990920word=არ>

ჰოდა, ვის არ უფიქრია სიკვდილზე? მასაც ხშირად უფიქრია. სხვანაირად წარმოედგინა იგი. ...

Gekko: <id=233566068079826&cpos=86041763word=არ>

ფრაზები „... ვის არ ...“, „ ...რომ შენ არ ...“, დადებით კონოტაციას გულისხმობს, რასაც ექსპლიციტურად ადასტურებს, კონკრეტულად ამ შემთხვევებში, მიმდებარე კონტექსტიც:

ვიწროა და ვიწრო იყოს... უფრო ახლოს არ ვიქნებით? [შატბერაშვილი, 1985: 34]

პერიფრაზი: უკეთესია, რომ ვიწროა, რადგან უფრო ახლოს ვიქნებით.

- ახი არ არი, ერთი მაგრად დავჭყვივლოთ და გამოვალვით? [შატბერაშვილი, 1985: 22].

პერიფრაზი: ახია მასზე მაგრად დავჭყვივლოთ და გამოვალვით.

- რას ამბობ, კაცო! - უნებლიეთ ხმა ჩაიბოხა ბიჭმა, - მე ვერ დავშლი და შემოვიტან? [ჩხიკვიშვილი, 1978: 6]

პერიფრაზი: მე შემიძლია დავშალო და შემოვიტანო.

§ 3.3 ექსპლიციტური უარყოფის ილოკუციური ფუნქციები ქართულ ენაში

ექსპლიციტური უარყოფის შემთხვევაში უარყოფითი გამონათქვამებს პრაგმატულად შეიძლება სხვადასხვა ილოკუციური მნიშვნელობა ჰქონდეს, კერძოდ, უარყოფითი ფორმით შესაძლებელია მიწოდებული იყოს:

- ინფორმაცია საქმის გარემოებების, რეალური მდგომარეობის შესახებ, ანუ ფაქტის კონსტატაცია უარყოფითი ფორმით. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იყოს უარყოფითი ნაწილაკები, ნაცვალსახელები, ზმნიზედები და ა.შ.:

ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო და დაუბრკოლებლად ვრწყავდი იქაურობას [სულაკაური, 1997: 487].

არავინ იცოდა, რას ფიქრობდა ლოდთან დაჩოქილი ვაჟკაცი [შატბერაშვილი, 1985: 12].

ასეთი სტვენა ამ სოფელში მხოლოდ მან იცოდა და მისი სიკვდილის შემდეგ აღარ გაუგონია [შატბერაშვილი, 1985: 25].

აღნიშნულ შემთხვევაში ‘აღარ’ გამოხატავს უარყოფის ტემპორალურ ასპექტს.

ქალს სახეზე ჩრდილმა გადაუარა, სიტყვა ვეღარ ამოთქვა ... [შატბერაშვილი, 1985: 28].

ვეღარ გამოხატავს უარყოფის მოდალურ ასპექტს და ტემპორალურ მნიშვნელობასაც.

აქედან მოდიოდა თვალეზამღვრეული... მე კი არაფერი მითხრა [შატბერაშვილი, 1985: 32].

მან იცოდა შვილი მისკენ არასოდეს მიიხედავდა [შატბერაშვილი, 1985: 50].

- უარყოფითი წინადადება, ძირითადად, გამოხატავს უარს/წინააღმდეგობას რაიმე ქმედების შესრულებაზე:

- ხომ არ დაბრძანდებით?
- არა, რას ბრძანებთ? რიგში ჩავდგები“
- არა ბატონო, დაბრძანდი.
- არა, როგორ გეკადრებათ? [დოჩანაშვილი, 1976: 114].

- ხომ არ მოსწევ? - ვკითხე და ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოვიღე.
- არა, მე მაშინაც თქვენი წამხედურობით ვეწეოდი! - მისაყვედურა ...

[სულაკაური, 1997: 484].

სულაც არ ვაპირებდი მამიას აგარაკზე წასვლას, დედა კი უკვე პერანგს მირჩევდა [სულაკაური, 1997: 486].

- უარყოფითი ფორმით შესაძლებელია დასმული იყოს კითხვა ინფორმაციის მოძიების მიზნით:

- ბინის გამოცვლას ხომ არ აპირებ?
- კი, მპირდებიან. - ესეც ახალი ტყუილი [სულაკაური, 1997: 484].

- ხაფანგში გაბმულ მგელს არა ჰგავს? – წამოიძახა მეორემ [ჯავახიშვილი, 1958: 105].

- ... აბა როგორ მიდის საქმეები, რამე გაუგებრობები ხომ არ ყოფილა?

Gekko: <id= 233566068079826&cpos=95683374&word= ხომ>

- უარყოფითი ლექსიკური ერთეულის შემცველი ფრაზა შეიძლება გამოხატავდეს **სურვილს**:

უკვე აღარ მინდოდა აქედან წასვლა... [სულაკაური, 1997: 497].

- ნეგატიური ფრაზის ილოკუციური მნშვნელობა შეიძლება იყოს **სინანული**:

არა, გული არ უნდა დამეწყვიდა ბავშვისთვის, უნდა მეყიდა ტოიბოქსი.

Gekko: <id=233533564405995&cpos=90628792&word= უნდა>

რასაც ეხლა გიამბობთ, ამ რამოდენიმე წლის წინათ შემემთხვა და დღემდე ვერ მომინელებია. დღითი დღე უფრო და უფრო მაწუხებს [სულაკაური, 1997: 482].

– რატომ არ წავყევი, რატომ არ წავყევი? – მწარე სინანულს შეეპყრო მეცნიერი, – რა ძალამ დამაბრკოლა, რა ძალამ არ გამიშვა?

Gekko: <id=233566068079826&cpos=95519664&word= არ>

• უარყოფა შეიძლება გამოყენებული იყოს **შედარების/დაპირისპირების/კონტრადიქციის** მიზნით:

ჩვენ არც ისე მშიშრები და მხდალები ვიყავით, როგორც აქ გამოგიტყდით [სულაკაური, 1997: 495].

- ახლა იმის დანაშაულს კი არა ვწონით, შენს ცოდვას ვაგდებთ სასწორზე, შენსას ვანგარიშობთ, სამართალში შენა დგებარ [შატბერაშვილი, 1985: 83].

- ეგა, შვილოსა, ნაბადი კი არ არი, ნაბდის ჩრდილია და მეტი არაფერი [შატბერაშვილი, 1985: 97].

• უარყოფითი ლექსიკური ერთეულებით შესაძლებელია გამოხატული იყოს **დაექვევა/ვარაუდის** ილოკუციური ფუნქცია:

- ვერ მიცანით, ძია გიორგი?

- ნინო ხომ არა ხარ, ქალო? [შატბერაშვილი, 1985: 27]

იქნებ მართლაც, მეტი ღონე აღარ შესწევდა და თავის დანებებასაც აპირებდა... [შატბერაშვილი, 1985: 12].

“...ალბათ აქაური არ არი...” - ფიქრობდა გიორგი და მიაბიჯებდა [შატბერაშვილი, 1985: 25].

„რა ვქნა, ვარდფენობა ხომ არ არის დღესა? - გაიფიქრა და მიმოიხედა [შატბერაშვილი, 1985: 32].

განა შეიძლება, ეს ასე იყოს? განა შეიძლება, მამას შვილი არ უყვარდეს ან შვილს მამა?! [შატბერაშვილი, 1985: 79]

ისე მგონი თუ არ ვცდები დედაჩემის სახელი პირველად ვახსენე, არა? Gekko:
<id=233533564405995&cpos=101658017&word= ვცდები>

- მთავარი მაინც მანქანის ფულია! თუ ფული არა გაქვს, გასესხებ, -
გამეხუმრა [სულაკაური, 1997: 485].

... შეშფოთება გაეზარდა: „დილამდე თუ ასე ითოვა, ზვინამდეც ვერ მივალ“
[ჩხიკვიშვილი, 1978: 9].

• წინადადების ილოკუციური მნიშვნელობა შესაძლოა გამოხატავდეს
საყვედურსაც:

- არა გრცხვენია? ჩემი ვახტანგის მეჯვარე მაინც არ იყო!
Gekko:<id=233533564405995&cpos=83402505&word= არა>

- ეს რა დაგიწამებია ბონდოსთვის, თავადის ასულო? არა გრცხვენია?
Gekko:<id=233533564405995&cpos=85898664&word= გრცხვენია>

- არა გრცხვენია, ბიჭო, მთელი ხუთი წელი ერთად ვსწავლობდით და
როგორ ვერ მიცანიო... [სულაკაური, 1997: 482].

- სულ აღარ მახსოვდა, გადამავიწყდა.
- არ უნდა დაგვიწყებოდა.
- როგორღაც გამომრჩა მხედველობიდან.

- არ უნდა გამოგრჩენოდა [სულაკაური, 1997: 510].

- უარყოფითი ფრაზით შესაძლებელია ადრესატის მიერ გამოხატული იყოს **გაფრთხილება, მითითება, ინსტრუქტაჟი, მოთხოვნა, ბრძანება, აკრძალვა:**

- ... უთხარი იმ ჩემს დამლუპავს, ჩემი სახელი აღარ ახსენოს და აღარც შემოხედვა გამიბედოს. თვალი დაიბრმავოს... ჰო, დაიბრმავოს!.. [შატბერაშვილი, 1985: 45].

- არ იციან, კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება! [შატბერაშვილი, 1985: 106]

- ხიზამბარელის ლოდი რკინის ჰანტელი ნუ გეგონება ... გაიგე? [შატბერაშვილი, 1985: 107]

- შორს ნულარ წახვალთ ... სჯობია იცოდე, რომ უბრალო სისხლი არ დაიღვაროს [შატბერაშვილი, 1985: 44]

- ... ასე ... იმედი ნულარა გაქვს ნურაფრისა. რაკი ერთხელ გაგიბურთავა წუთისოფელმა, უკან აღარც მოგახედებს [შატბერაშვილი, 1985: 54]

ინსტრუქცია/დარიგება შეიძლება გამოიხატული იყოს როგორც უარყოფითი ნაწილაკით ‘ნუ’, ასევე მის გარეშე:

... შენ ეს არ გესწავლება! [შატბერაშვილი, 1985: 59]

- უარყოფითი წინადადებას/ფრაზას შესაძლებელია ჰქონდეს **გამხნეების, შეგულიანების, მხარდაჭერის** ილოკუციური მნიშვნელობა:

„რა გეშინია, აგერ არ ვარ მე?“ [ჩხიკვიშვილი, 1978: 11]

„დარდი ნუ გაქ, - ისევ უნებლიე ბოხი გაერია ხმაში ბიჭს, - დილითვე მოვწველი, წადი ეხლა, ნუ აგვიანებ [ჩხიკვიშვილი, 1978: 11]

- არა, არა! – მიუგო არისტომ – დარდი ნუ გაქვს ... აწი მე ვიცი!

Gekko: <id=233533564405995&cpos=82573583&word= დარდი>

შენ კი, ბებია, დარდი ნუ გაქვს, მალე დავბრუნდებით.

Gekko: < id=233533564405995&cpos=83535055&word= დარდი>

- გარდა ზემოთ თქმულისა, უარყოფითად მარკირებულ დისკურსს შეიძლება ჰქონდეს **თავაზიანობის** გამოხატვის ილოკუციური ფუნქციაც:

თუ არ შეწუხდებით, გადააწოდეთ, გეთაყვა [საუბ.].

თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, წავიდოდი [საუბ.].

- უარყოფა **”დაჟინების”** პრაგმატული ფუნქციით გვხვდება მხოლოდ ქართულში: **”გინდა თუ არა...”**

... აბდუმაჰილს უბრძანა: „გინდა თუ არა, დაეჭიდეთ“.

Gekko: <id=233533564405995&cpos=81382901&word= გინდა>

- მერე რა მინდაო?

- გინდა თუ არა, ერთი იმნაირი რამე მასწავლე, რომ მეც ისე მოვუკლა იმას გული, როგორც იმან მომიკლაო.

Gekko: <id=233533564405995&cpos=82317865&word= გინდა>

დილაადრიან ვიღაც მელოტი გოლიათი მოულოდნელად გამომეცხადა, - გინდა თუ არა, მამია ვარო. [სულაკაური, 1997: 482]


ილოკუციური მნიშვნელობის გაგება ემყარება პრესუპოზიციას, რომ ადრესანტსა და ადრესატს აქვთ ფონური ცოდნა ან კონტექსტუალური ინფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს მესიჯის სწორ დეკოდირებას, შესაბამისად, სწორ ინტერპრეტაციას და ეფექტურ კომუნიკაციას. ეს შეეხება როგორც ფრაზულ

გამონათქვამებს („... გინდა თუ არა...“; „... თქმისა არ იყოს...“), ასევე მიკრო თუ მაკროკონტექსტის ინფორმაციასაც.

დისკურსის დონეზე ქართულში, ისევე როგორც ინგლისურში, გვაქვს შემდეგი ილოკუციური ფუნქციები: ინფორმირება/განაცხადი, დაპირისპირება/კონტრადიქცია/შედარება, უარი, თხოვნა/შეკითხვა/გამოკითხვა, სინანული, მოთხოვნა, საყვედური, მხარდაჭერა/გამხნელება, ინსტრუქტაჟი, ეჭვი, ბრძანება, აკრძალვა, გაფრთხილება, სურვილი, დაპირება. გამონაკლისია ქართულ ენაში სამეტყველო აქტი ილოკუციური ფუნქციით „დაჟინება“ – „... გინდა თუ არა...“, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ქართული ენისათვის.

მასალიდან მოძიებული ფრაზები ილოკუციური მნიშვნლობით შეიძლება დაჯგუფდეს სამეტყველო აქტების მიხედვით შემდეგნაირად (სქემა N5):

სქემა N5



უარყოფა ქართულ ენაშიც ანალოგიურად გამოხატავს ილოკუციოურ მნიშვნელობას სამეტყველო აქტების დონეზე. ინგლისურისაგან განსხვავებით აქ გვაქვს დაჟინების ილოკუციური მნიშვნელობის აქტი: „გინდა თუ არა...“.

ინგლისურის ანალოგიურად, დირექტივებში, კომისივებში და ექსპრესივებში შემავალი ილოკუციური მნიშვნელობის ფრაზები გამოხატავენ მოდალურ მნიშვნელობას. ესერტივებში შემავალი გამონათქვამების ილოკუციური მნიშვნელობა, უმეტესად, გულისხმობს ლოგიკურ უარყოფას.

იმპლიციტური უარყოფის გამოხატვა, ძირითადად, ხდება შემდეგი ფრაზებით:

„რა(ს)/რისი/ვინ + ზმნა“, „განა რა + ზმნა“, „რაღა + ზმნა“.

გარდა ამისა, გვხვდება ფრაზეოლოგიზმები: „ეგრე სად არის!“, „სად გინახია/გაგონილა...“, რომლებიც იმპლიციტურად ნეგაციას გამოხატავენ.

რაც შეეხება იმპლიციტურ პოზიტივს, იგი გამოიხატება, ძირითადად, შემდეგი ფორმით: „არ + ზმნა“, „განა არ + ზმნა“.

ყოველივე ზემოთ თქმული გამოხატულია სქემის სახით (სქემა N6).

ქართული ენის დისკურსი წარმოდგენილია სამი ველით: იმპლიციტური უარყოფა, ექსპლიციტური უარყოფა და იმპლიციტური პოზიტივი.

ქართული ენის სინტაქსური უარყოფა მოიცავს ყველა ველს, რომელშიც შედის უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულები.

იმპლიციტური უარყოფა გამოიხატება სპეციფიური ფრაზებითა და სიტყვათა შეთანხმებებით.

უარყოფითი სისტემური მნიშვნელობის ველი მოიცავს უარყოფით ნაწილაკებსა და სიტყვათაწარმოების საფუძველზე მიღებულ უარყოფით ლექსიკურ ერთეულებს: უარყოფითი აფიქსაციით, უარყოფითი ნაწილაკებით წარმოებული. ცალკე ჯგუფში დგას უარყოფასთან ასოცირებული ნაწილაკი „ღ“.

დადებითი სისტემური მნიშვნელობის ველში შედის უარყოფასთან კომბინაციაში მყოფი ერთეულები. ასეთია: ნაწილაკები და გარკვეული ლექსიკური ერთეულები.

იმპლიციტური პოზიტივი, ასევე, გამოიხატება სპეციფიური ფრაზებით.

ორმაგი უარყოფის ველი მოიცავს უარყოფითი ნაწილაკებით ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებს და უარყოფით ნაწილაკებს. ტემპორალური ასპექტის გამოხატვის შემთხვევაში გვაქვს ნაწილაკი „ღ“.

ჩვენი კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ესერტივების სამეტყველო აქტებში შემავალი უარყოფა (ფაქტის კონსტანტირება, დაპირსპირება), რომელიც, ძირითადად, შეესაბამება კატეგორიულ, ლოგიკურ უარყოფას. ქართულში აღნიშნული უარყოფა გამოხატულია, ძირითადად, „არ“ ნაწილაკის საშუალებით. „არ“ ნაწილაკთან ხშირად კოლოკაციაში იმყოფება და, ასევე, ასოცირდება გარკვეული ლექსიკური ერთეულები, კერძოდ, ნაწილაკები: „ც“, „კი“, „განა“, „აკი“.

ნაშრომის ფარგლებში განხილულია ზემოთ აღნიშნული ნაწილაკების ჯგუფში შემავალი ლექსიკური ერთეულები, შესწავლილია მათი სემანტიკური მნიშვნელობები და ფუნქციები დისკურსში.

უარყოფის სისტემა ქართულ ენაში

დისკურსი												
იმპლიციტური უარყოფა	ექსპლიციტური უარყოფა										იმპლიციტური პოზიტივი	
სინტაქსი												
ფრაზეოლოგიზმები და სიტყვათა შეთანხმებები	უარყოფითი სისტემური მნიშვნელობა							დადებითი სისტემური მნიშვნელობა		ფრაზეოლოგიზმები და სიტყვათა შეთანხმებები		
	უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები	სიტყვათწარმოება					უარყოფითი ნაწილაკები	უარყოფასთან ასოცირებული				
		აფიქსაცია	ნაწილაკებით არ(ა)/ვერ(ა)/ნურ(ა) ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები					ნაწილაკი	ნაწილაკები		ლექსიკური ერთეულები	
			ორმაგი უარყოფა									
რა(ს) + ზმნა ვინ + ზმნა რად + ზმნა ზმნიზედა + თუ განა + ზმნა	უარი გარეშე	უ - ი; უ - ო; უ - ურ; უ - ულ; უ - ობა; უ - ება;	არა - ; არა- ობა; არა- ება;	ნაცვალსახ. არა-ვინ არა-ფერი არა-ნაირი არა-ვითარი ზმნიზედები არ-სად არა-სოდეს არ-საიდან	ნაცვალსახ. ვერა-ვინ ვერა-ფერი ვერა-ნაირი ვერა-ვითარი ზმნიზედები ვერ-სად ვერა-სოდეს ვერ-საიდან	ნაცვალსახ. ნურა-ვინ ნურა-ფერი ნურა-ვითარი ზმნიზედები ნურ-სად ნურა-სოდეს ვერა-სოდეს	არ/ვერ/ნუ; არც	ღ	ც; კი; აკი; ხომ; განა	დიდად ისედაც ნამდვილად ისეც სულ(აც) ოდნავ ოდნავაც ოდნავადაც თითქმის საერთოდ ჯერ აშკარად	არ + ზმნა განა არ + ზმნა	

თავი IV

ნაწილაკებით გამოხატული უარყოფა ენებში

ნაწილაკი ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა. იგი ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე ასპექტით.

ნაწილაკები არის მეტყველების ნაწილების ჰეტეროგენული ჯგუფი. ამ ჯგუფში შემავალ ერთეულებს არა აქვთ გამოკვეთილი ლექსიკური მნიშვნელობა, გრამატიკული კატეგორიები და მათი გამოყენება ხდება განსხვავებულ კონტექსტში [Арнольд, 1986: 283-305]. ნაწილაკები ხშირად გამოხატავენ კონტექსტუალური მნიშვნელობის ნიუანსებს და ადრესატის დამოკიდებულებას გამოთქმული მოსაზრების მიმართ. შესაბამისად, მათ დიდი პრაგმატული დატვირთვა გააჩნიათ, გამოხატავენ ილოკუციურ ძალას (ადრესატის ინტენციას), აძლიერებენ ან ასუსტებენ მას. ისინი, ძირითადად, გვხვდება იმ სიტყვებთან, რომლებიც გამოიყენებიან გრამატიკული კატეგორიების (უარყოფა, კილო, ბრუნვა) კოდირებისათვის. ასეთებია შემავსებლები ან დისკურსის მარკერები. ინგლისურში ასეთი ერთეულების ტიპური და ფართოდ გავრცელებული მაგალითებია ინფინიტივის მარკერი *to* და უარყოფითი ნაწილაკი *not*.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რომელი ერთეულები მიეკუთვნება ნაწილაკების ჯგუფს. ნაწილაკები, ძირითადად, განიხილებოდა, როგორც მნიშვნელობას მოკლებული, მხოლოდ პაუზის შევსებად გამოსაყენებელი სიტყვები [Feldman, 1948; Fowler, 1978]. სანამ აღნიშნული ელემენტების ყოველმხრივი შესწავლა დაიწყებოდა, მათ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ. გ. ანდერსონი და პ. ტრუდგილი ნაწილაკებს განიხილავდნენ, როგორც დისკურსში 'ენაწყლიანობის' ელემენტებს (fumbler, hedges, fillers, evincives, starters, conversation greasers da compromisers) [Anderson & Trudgill 1990:18]. 'მნიშვნელობას მოკლებული' არ ნიშნავს, რომ მათ საერთოდ არ გააჩნიათ მნიშვნელობა კონტექსტში. ბლეიქმორის განმარტებით,

ნაწილაკებს კომუნიკაციის პროცესში აქვთ პროცედურული და არა კონცეპტუალური მნიშვნელობა [Blakemore, 1987].

ვეებიცა ნაწილაკებს უწოდებს უაღრესად რთულს შემეცნებითად და აღნიშნავს, რომ მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ მეტყველების პროცესში ურთიერთზემოქმედებისათვის, რაც ნიშნავს, რომ ეს ნაწილაკები მნიშვნელოვნად ზრდიან მეტყველო აქტის ილოკუციურ ძალას [Wierzbicka, 1976: 27]. ნაწილაკები გამოხატავენ ადრესატის დამოკიდებულებას, შეხედულებას, ემოციებს ადრესანტისა ან ფაქტის მიმართ, რომელზედაც არის საუბარი დისკურსში. ოსტმანის თანახმად, ნაწილაკები გამოიყენება მოსაუბრის მიერ ინტერაქტიური საჭიროებებიდან გამომდინარე. ზოგჯერ ეს არის მოსაუბრის ჩანაფიქრი ან არაპირდაპირი გამონათქვამი, როგორც თავაზიანობის სტრატეგია გამონათქვამის შერბილების მიზნით [Östman, 1982]. შურუფსი ნაწილაკებს უწოდებს „დამადასტურებლებს“ და თვლის, რომ ისინი მოქმედებენ კოგნიტიურ დონეზე, ამჟღავნებენ ადრესანტის კოგნიტიური პროცესებისა და აზროვნების მეთოდს, რომელსაც იგი იყენებს ამა თუ იმ დისკურსის ფრაგმენტის წარმოების დროს [Schourup, 1985].

პირველად დისკურსის ნაწილაკები შეისწავლა შიფრინმა. ეს ლექსიკური ერთეულები იყო: and, because, but, I mean, now, oh, or, so, then, well, and y'know [Schiffrin, 1987]. შიფრინის თანახმად, აღნიშნული ნაწილაკები ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

(1)გამოდინან კონტექსტუალური კოორდინატორების როლში და გამონათქვამებს ათავსებენ დისკურსის ამა თუ იმ სიბრტყეზე;

(2) უზრუნველყოფენ მიმდებარე გამონათქვამების ინდექსაციას მთქმელთან, მსმენელთან ან ორივესთან;

(3) უზრუნველყოფენ გამონათქვამების ინდექსაციას წინა ან მომდევნო დისკურსთან.

შიფრინის მოსაზრებით, ნაწილაკებს აქვთ ინტეგრაციული ფუნქცია და უზრუნველყოფენ დისკურსის კოჰერენტულობას.

იმავე წელს შიფინისაგან დამოუკიდებლად, დ. ბლეიქმორი შეისწავლიდა ნაწილაკებს: and, after all, you see, but, moreover, furthermore და so. იგი ამ ნაწილაკებს უწოდებდა „დისკურსის კონექტორებს“. მისი მოსაზრებით, ასეთი გამონათქვამები მიუთითებენ როგორ არის ერთი ელემენტის რელევანტურობა დამოკიდებული მეორე ელემენტზე [Blakemore, 1987].

ჰალიდეი და ჰასანი თვლიან, რომ შიფინისა და ბლეიქმორის მიერ განხილული ნაწილაკები მიეკუთვნებიან კავშირებს [Halliday and Hasan, 1992]. ისინი წარმოადგენენ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც ექსპლიციტურად განსაზღვრავენ ერთი წინადადების კავშირს მეორესთან. ამ ტიპის ნაწილაკები და მათი ფუნქციები მოყვანილია ქვემოთ:

- (1) ინფორმაციის დამატება რაც უკვე ითქვა იმაზე (and, furthermore);
- (2) აზრის განვითარება ან დაკონკრეტება (for instance, thus, in other words);
- (3) ძველ ინფორმაციასთან მიმართებაში კონტრასტის შექმნა ან საკითხის სხვა ასპექტით განხილვა (or, on the other hand, however, conversely);
- (4) ახალი ინფორმაციის დაკავშირება უკვე ნათქვამთან წინადადების ფარგლებში (so, consequently, because, for this reason) ან დროში (formerly, then);
- (5) გამოხატავდეს ახალ მიმართულებას ან დასკვნას (by the way, well, to sum up, anyway)

ჰალიდეისა და ჰასანის ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ექვს ლექსიკურ ერთეულს: now, of course, well, anyway, surely და after all [Halliday and Hasan, 1992].

ნაწილაკების კვლევა ლინგვისტიკაში გაფართოვდა და მოიცვა ნაწილაკი არა მხოლოდ როგორც მეტყველების ნაწილი, არამედ, როგორც დისკურსის მარკერი, ვინაიდან, ამ ჯგუფში მეტყველების ნაწილებთან ერთად გაერთიანდნენ ფრაზული და ზეფრაზული ერთეულებიც. მეორე მხრივ კი, მათი კვლევა წარიმართა ფართო კონტექსტის/დისკურსის ფარგლებში. თანამედროვე ეტაპზე ისინი გვევლინებიან არა

როგორც, უბრალოდ, მეტყველების ნაწილაკები, არამედ, როგორც მთლიანი დისკურსის მარკერები. შესაბამისად, მათი განხილვა ხდება სხვა ასპექტში და სხვა მოცემულობაში.

დისკურსის მარკერები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ელემენტები, რომლებიც კომუნიკაციის პროცესში ასრულებენ მიმანიშნებლის როლს და ხელს უწყობენ მსმენელის მიერ გამონათქვამის ინტერპრეტაციას სხვადასხვა კონტექსტუალური გასაღების საფუძველზე. დისკურსის ელემენტების „მიმანიშნებელი“ ასპექტი არის ამ ნაწილაკებისა ყველაზე მნიშვნელოვანი - „ინდექსალური“ (indexical) მახასიათებელი, ხოლო ტექსტისათვის კი - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი მახასიათებელი. ეს მახასიათებელი მიუთითებს, რომ დისკურსის მარკერები ორიენტირებულია დისკურსის მონაწილეებზე, ადრესანტის ფაქტისადმი დამოკიდებულებაზე, შეფასებასა და კომუნიკაციური სიტუაციის სხვა განზომილებებზე. თ. ბაარის, ა. ნოტისა და თ. სანდერსის თვალსაზრისით, ბევრი ნაწილაკი ასრულებს „ხიდის“ როლს რეფერენციულ ერთეულსა და კონტექსტს შორის [van Baar, 1996; Knott & Sanders, 1998].

დისკურსის ნაწილაკების როგორც „ხიდების“ ფუნქციური დახასიათება, შეიძლება დაკავშირებული იყოს ინდექსაციასთან. ე. ოუქსის თანახმად, ინდექსაცია ნიშნავს კონკრეტულ სიტუაციაში რაიმე ერთეულის არსებობაზე მითითებას [Ochs, 1996]. ინდექსად ითვლება ლინგვისტური ერთეული, რომელიც ახორციელებს ამ ფუნქციას. შეიძლება მოვახდინოთ სიტყვების, ფრაზების და გრამატიკული სტრუქტურების ინდექსაცია ადრესანტზე და ადრესატზე, სამეტყველო სიტუაციის სივრცობრივ და დროის განზომილებებზე, ეპისტემურ მდგომარეობაზე, როგორცაა გარკვეულობა თუ გაურკვეველობა, და ემოციურ მდგომარეობაზე (მსმენელის ან კონკრეტული სამეტყველო აქტის მიმართ დამოკიდებულება). ოქსი ასევე მიუთითებს, რომ ლექსიკური ერთეულების ინდექსაციის საკითხი არის ლინგვისტური და კულტურული კომპეტენციის საფუძველი.

კომუნიკაციის პროცესის საფუძველია სოციო-კულტურული გარემო. დისკურსის ნაწილაკებს, გააჩნიათ რა პოტენციური ინდექსაციის უნარი, შეუძლია გააშუქონ ის განზომილებები, რომლებშიც ფუნქციონირებენ. დისკურსის ნაწილაკები

არის სტერეოტიპული ბმები, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს დისკურსის პარამეტრსა და სიტყვებს შორის. ამის საფუძველზე, შესაძლებელია ჩავთვალოთ, რომ დისკურსის ნაწილაკები მოქმედებენ როგორც ლინგვისტური კოდები, როგორცაა, მაგალითად, ნაცვალსახელები, რომლებიც დეკოდირების გარდა, საჭიროებენ უამრავი გამომდინარეობაზე დაფუძნებულ საფეხურს. ნაცვალსახელების მსგავსად, დისკურსის ნაწილაკები არიან კოგნიტიურად „უხმო“, ვინაიდან საუბარში მათი გამოყენება ხდება ინტერპრეტაციისთვის.

დისკურსის ნაწილაკების ინდექსაციის უნარი არ აადვილებს მათი ფუნქციების ჩამოყალიბებას. დისკურსის ნაწილაკების ინდექსაციამ და გრამატიკალიზაციამ შეიძლება დიდი დახმარება აღმოგვიჩინოს იმის გარკვევაში, თუ რა პირობითობაა ჩადებული მათთან მიმართებაში. გ. ანდერსონი თვლის, რომ დისკურსის ნაწილაკები (ტექსტუალურ და ინტერპერსონალურ დონეზე) ხელს უწყობს ადრესატს გააკეთოს გამონათქვამის ინტერპრეტაცია, თუ რომელ გამომდინარეობის პროცესს მოითხოვს იგი და, ამავდროულად, ხელს უწყობს კონტექსტის შერჩევას. დისკურსის ნაწილაკები მიუთითებს თუ რა დამოკიდებულება არსებობს საკომუნიკაციო ერთეულის სავარაუდო მნიშვნელობასა და თანამოსაუბრეების კოგნიტიურ შემეცნებას შორის [Anderson, 2001: 65].

კ. აიჟმერის თანახმად, დისკურსის ნაწილაკები არიან „არასაიმედო მომხმარებელები“, ვინაიდან აქვთ „ორმაგი მნიშვნელობა“ და იცვლიან მნიშვნელობას კონტექსტიდან გამომდინარე [Aijmer, 2002]. დისკურსის ნაწილაკების სხვადასხვა ფუნქცია არის მათი კონტექსტუალური კვლევის შედეგი. ს. სმიტი და ა. ჯაკერი კონტექსტუალურ მნიშვნელობას თვლიან „აუცილებელ ანალიზურ იარაღად“, რომელიც დისკურსის ანალიზის პროცესში ღებულობს მონაწილეობას და განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მოხდეს საუბრის მონაწილეების მიერ დისკურსის ნაწილაკების ინტერპრეტაცია [Smith & Jucker, 2002].

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, დისკურსის ნაწილაკების მრავალფუნქციურობა არ ქმნის პრობლემებს, ვინაიდან არსებობს ლინგვისტური და

კონტექსტუალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მათი ინტერპრეტაციისას. ეს საშუალებები განსხვავებულია სხვადასხვა ენაში და, შესაბამისად, მათი ინტერპრეტაციის შესაძლებლობებიც განსხვავებულია, რაც მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იყოს ენათა შეპირისპირებითი ანალიზის დროს.

შეიძლება გამოვყოთ დისკურსის ნაწილაკების ძირითადი ფუნქციები. ე. ტრაუგოტი აღნიშნავს, რომ შემდეგ ნაწილაკების დაყოფის ტენდენცია იყო შემდეგი: ნაწილაკები რომლებიც განსაზღვრავს კავშირებს ფრაზებს შორის და ნაწილაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტერპრესონალურ კავშირებს (hedging or turntaking) [Traugott, 1999]. დ. შიფრინი დისკურსის ნაწილაკებს განიხილავს როგორც ტექსტისა და დისკურსის მონაწილეების დეიქტურ ინდექსატორებს [Schiffrin, 1987]. ჯ. ოსტმანი განიხილავს დისკურსის ნაწილაკებს როგორც მრავალფუნქციურ ერთეულებს და გამოყოფს სამ პარამეტრს, რომლის საფუძველზეც მყარდება კომუნიკაცია: კოჰერენტულობა, თავაზიანობა და ჩართულობა [Östman, 1995]. ფოქს თორი და ჯ. შროკი გამოყოფენ დისკურსის ნაწილაკების ხუთ ფუნქციას: (1) ინტერპრესონალურს, (2) რიგითობის მართვას (turn management), (3) აღდგენას (repairing), (4) მონიტორინგსა და (5) ორგანიზებას (organizing) [Fox Tree, & Schrock, 1999, 2002].

ყველა ზემოხსენებული ტიპის ნაწილაკისთვის საერთო მახასიათებელია მეტყველების პროცესში ადრესანტის დამოკიდებულების გამოხატვა მის მიერ წარმოთქმული სამეტყველო ერთეულის მიმართ.

ნაწილაკები ინტერპრესონალური ფუნქციებით (ფატიკური დისკურსის ნაწილაკები) გამოხატავენ დამოკიდებულებებს, გრძნობებსა და შეფასებებს. დისკურსის ნაწილაკები გამოიყენება გაურკვევლობის პოზიციისა და ადრესატზე მიმართვისას დადასტურების მიზნით. კ. ბაზანელას თანახმად, დისკურსის ნაწილაკები ინტერპრესონალური ფუნქციით ასრულებენ ფატიკურ ფუნქციას დისკურსში და, ამრიგად, ხაზს უსვამენ საუბრის ინტერაქტიურ ხასიათს [Bazzanella, 1990]. ლ. ბრინტონის მოსაზრებით ასეთი ფუნქციის მქონე ნაწილაკებს შეიძლება ვუწოდოთ 'ფაქტობრივები'. ეს შეეხება განსაკუთრებით იმ შემთხვევებს, როდესაც ისინი

გამოხატავენ ადრესანტის დამოკიდებულებას გამონათქვამის მიმართ ან მიუთითებენ გარკვეული ტიპის ინფორმაციის ფლობაზე [Brinton, 1996]. დისკურსის ნაწილაკებს ინტერპერსონალურ დომენში 'ფაქტობრივი' ფუნქციით აქვთ ილოკუციური ძალის შემზღვეველის ან გამაძლიერებლის ეფექტი.

ინტერპერსონალური ფუნქციის სხვა ნაწილაკები გამოხატავენ წინა გამონათქვამზე პასუხს ან რეაქციას. ისინი ასევე შესაძლებელია განხილული იყოს „სახის შენარჩუნების“ (“saving face”) მიზნით ან „ზრდილობის ეტიკეტის“ ფარგლებში.

ინგლისურ ენაში ბევრი კვლევაა ჩატარებული ნაწილაკებზე, ტექსტში მათი ფუნქციების შესწავლაზე. გამოკვლეულია ზმნიზედები, კავშირები, შორისდებულები. ლ. ჰორნიმ შეისწავლა „only“ და „even“ ნაწილაკების პრესუპოზიციური ასპექტები [Horn, 1969: 98-107]; დ. ლევინსონი სწავლობდა უარყოფითი პოლარული ნაწილაკების - „yet“, „anymore“, „either“ და „neither“- გამოყენებისა და ლიცენზირების პირობებს [Levinson, 2008]; ე. ჰაჯიევი შეისწავლიდა ნაწილაკების კლასიფიკაციასა და მათ სემანტიკურ მახასიათებლებს [Hajiyev, 2008: 432-441]; „even“-ის სკალარული მახასიათებლებისა და პრესუპოზიციის როლი პოლარული მგრძნობელობის „even“-ის ფორმირებაში სწავლობდა ა. გიანაკიდოუ [Giannakidou, 2007: 39-81]; უარყოფა და კონტრასტი გამოხატული კავშირით „but“ შეისწავლა დ. ბლეიქმორმა [Blakemore, 1989: 15-37] და ა.შ.

ჩვენი კვლევის ფარგლებში განხილული იქნება ქართული ნაწილაკების – “არ”, “ც”, “არც”, “კი” და ამ ნაწილაკების კომბინაციების ფუნქციები ტექსტში და მათი შესაბამისობები ინგლისურ ენაში.

§ 1. “არ”, “ც”, “არც” და “კი” ნაწილაკებით და მათი კომბინაციებით გამოხატული უარყოფა ქართულ ენაში

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „კი“ და „ც“ ნაწილაკების ფუნქციები ძირითადად განიხილება მტკიცებით კონტექსტში და არ არის შესწავლილი მათი ფუნქციები უარყოფით კონტექსტში. ისინი ლიტერატურაში განხილულია მხოლოდ ზმნებთან მიმართებით [შანიძე, 1973: 610-613; ჯორბენაძე... 1984: 140-141], სახელებში კი

უარყოფის მაწარმოებლად ითვლება ცირკუმფიქსები (უ-ო, უ-ურ) და უარყოფითი პრეფიქსი „არა“ [ჯორბენაძე... 1984: 136-149].

ნაწილაკები ხშირად გამოხატავენ კონტექსტუალური მნიშვნელობის ნიუანსებს და ადრესატის დამოკიდებულებას გამოთქმული მოსაზრების მიმართ. შესაბამისად, მათ დიდი პრაგმატული დატვირთვა გააჩნიათ, გამოხატავენ ილოკუციურ ძალას (ადრესატის ინტენციას), აძლიერებენ ან ასუსტებენ მას.

ქართულში „ც“, „კი“ და „არ“ ნაწილაკების კომბინაციური ფორმებია: „არც“, „არც კი“, „კი არც“, „...ც კი არ“, „კი...ც არ“, „კი არ“, „...ც არ“. „ც“ ნაწილაკი შეიძლება დაერთოს სახელს, ზმნას, ზმნიზედას და ნაწილაკსაც (არ-ც). „კი“ ნაწილაკი კი დგას ცალკე.

ქართული ენის მორეფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის თანახმად, „-ც“ და „კი“ ნაწილაკებს აქვთ სხვადასხვა ფუნქცია. კერძოდ, ბ. ჯორბენაძის თანახმად, „ც“ ნაწილაკი აწარმოებს:

- (1) კითხვითი ნაცვალსახელისა და ზმნისართისაგან მიმართებით ნაცვალსახელს ან ზმნისართს;
- (2) აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას;
- (3) გამოხატავს დამატებითობას, იმავეს, რასაც „აგრეთვე“ ფორმა [ჯორბენაძე... 1988: 454].

აღნიშნულ ლექსიკონში არაფერია ნათქვამი ამ ნაწილაკის ფუნქციაზე უარყოფით კონტექსტში, სადაც „ც“ ნაწილაკი კონტექსტუალურად შეიძლება მოვიხმაროთ მეორე და მესამე ფუნქციით - უარყოფის გამაძლიერებელი და დამატებითობის ფუნქციებით.

განვიხილოთ „არ“ და „ც“ ნაწილაკების კომბინაცია - „არც“. ბ. ჯორბენაძის თანახმად, მისი ფუნქციებია:

- (1) გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას, იმპერატივს;
- (2) მიუთითებს ვინმეზე, რაიმეზე ან რაიმე ქმედების შესახებ, რომელიც არ შეესაბამება სიმართლეს;
- (3) გამორიცხავს რაღაცის დაშვებას;

(4) გამორიცხავს რამდენიმე ერთეულს ერთდროულად [ჯორბენაძე... 1988: 454].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი შეეხება ზმნურ უარყოფას. გარდა ამისა, ლიტერატურიდან მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ აღნიშნული ნაწილაკის დამატებითი ფუნქციები და კონტექსტუალური მნიშვნელობები. კერძოდ, „არც“ ნაწილაკი გამოიყენება ერთდროულად სახელის მარკირებისა და მისი უარყოფისათვის, ანუ აქვს:

(1) **სახელური უარყოფის გამოხატვის ფუნქცია:**

არც ნათქვამი და **არც** დასანახი არ გამოეპარებოდა [შატბერაშვილი, 1985: 85].

Nothing could escape his sight or hearing [შატბერაშვილი, 1978: 60].

როგორც ვხედავთ, არც ნაწილაკი უარყოფს ორ არსებით სახელს. ამ შემთხვევაში, ქართულში ორჯერადი უარყოფა – „არც“ ნაწილაკით მარკირებული და უარყოფილი „ნათქვამი“ და „დასანახი“ – ინგლისურში გამოხატულია ერთჯერადი უარყოფით – ნაცვალსახელით „nothing“.

„არც“ ნაწილაკი შეიძლება იყოს „არ“ ნაწილაკთან კომბინაციაში და გამოხატავდეს ასევე ორმაგ უარყოფას:

სადაც სიკვდილი არ შეაბოტებს, იქ ხომ არც სიცოცხლეა [შატბერაშვილი, 1985: 38]. Where there is **no life** there is **no death**. [შატბერაშვილი, 1978: 26].

უარყოფილია “სიკვდილი” და “სიცოცხლე”, რომლებიც გარკვეულ პირობით დამოკიდებულებაში არიან. ინგლისურში ორმაგი უარყოფა ერთი და იმავე ელემენტით არის გამოხატული – **no** უარყოფა (კერძო უარყოფა): „no life“ და “no death”.

„არ ... არც“ შეიძლება გამოხატავდეს დამატებითობას უარყოფით კონტექსტში:

სოფლის გზაზე ძეხორციელი არ ჰქანებდა. არც ეზოებში ჩანდა ვინმე [მატბერაშვილი, 1985: 25].

Not a single soul was to be seen on the village road. **Nobody** could be seen in the yards **either** [მატბერაშვილი, 1978: 17].

კერძო უარყოფა „არც ეზოებში“ ინგლისურში გადმოცემულია ნაცვალსახელით „nobody“. „ც“ ნაწილაკის ადიტიური ფუნქცია, ამ შემთხვევაში, გადმოცემულია ზმნიზედით „either“.

...ჯერ არც თვითონ სჯერა, თუ მის წინ სოფლის თვალი და იმედი კობტა თენგო ბიჭი ასვენია [მატბერაშვილი, 1985: 132].

Even he himself could not believe **yet**, that Tengo, the pride and hope of the whole village, was lying dead before him. [მატბერაშვილი, 1978: 98].

ამ შემთხვევაში ქართულში კატეგორიული უარყოფა ინგლისურში გადმოცემულია „even...not“, სადაც „even“-ით ხდება მოქმედი პირის მარკირება (“he“).

„არც“ ნაწილაკი შეიძლება იძლეოდეს:

(1) კოგნიტური სკალის მოდელს [Fauconnier, 1975a: 188-99] პრედიკატების მზარდი/კლებადი თანმიმდევრობით და სკალის მინიმალური ერთეულის უარყოფას:

ჩემსკენ არც გამოუხედავს [დოლენჯაშვილი, 2005: 12].

He didn't even look at me [დოლენჯაშვილი, 2006: 141].

„არც გამოუხედავს“ გულისხმობს, რომ კონტექსტუალურად მოსალოდნელი მინიმალური ქმედება იყო „გამოხედვა“, მაგრამ პირს ესეც არ გაუკეთებია: უარყოფილია მოსალოდნელი ქმედებების შემცველი კოგნიტიური სკალის მინიმალური წერტილზე არსებული პრედიკატი. ინგლისურში აღნიშნული გამოხატულია ზმნური უარყოფითა და ზმნიზედით – „n't even“.

„არც“ ნაწილაკი, გარდა სახელური უარყოფისა, დროის გარემოებასთან ერთად შეიძლება გამოხატავდეს:

(3) უარყოფის ტემპორალურ ასპექტს:

ასეთი რამ არ მომხდარა...თუმცა ასეთი რამ არც არასდროს მომხდარა [საუბ.].

„არც“ ნაწილაკი ასევე შეიძლება გამოხატავდეს:

(4) რაოდენობისა და ჯერადობის მინიმალური ერთეულის უარყოფას:

არც ერთს არ დაუხუჭავს თვალი ჩვეულებრივი სიკვდილით... [შატბერაშვილი, 1985: 6].

Neither died a natural death ...[შატბერაშვილი, 1978: 3].

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არც ნაწილაკით გამოხატულ უარყოფას ინგლისურ პარალელურ ტექსტებში შეესაბამება, ძირითადად, „no“, „nothing“, „even...not“, „n't even“, „would not“, „neither“, „either“, „neither ... nor“ ლექსიკური ერთეულებით გამოხატული უარყოფა.

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის მიხედვით, კი ნაწილაკის ფუნქციებია:

(1) მტკიცებითი;

(2) გაძლიერებითი;

(3) დაპირისპირებით;

(4) დაეჭვებითი [ჯორბენაძე ... 1988: 260].

აღნიშნულ შემთხვევაშიც კი ნაწილაკის ფუნქციები განხილულია მხოლოდ დადებით კონტექსტში. „კი“ ნაწილაკი უარყოფით კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს:

- **გაძლიერებითი და დამაპირისპირებელი ფუნქციები.** ამავდროულად, „კი“ ნაწილაკი „არც“ ნაწილაკთან კომბინაციაში – „არც კი“ - უარყოფს ისეთ რამეს, რისი დაშვების პრესუპოზიციაც არსებობს კონტექსტუალურად:

„არც კი დაფიქრებულა“ [საუბ.].

ამ ფრაზაში გადმოცემულია მოლოდინი, რომ მინიმალური შესაძლო ქმედება იყო დაფიქრება და ისიც არ შესრულა.

„მაგრამ კალატოზს ზემოთ არც კი აუხედავს, არც არაფერი უთქვამს, თითქოს თავადის ხმა არც გაეგონის“ [შატბერაშვილი, 1985: 12].

“But the mason did **not even** look up, he did not utter a word, it was as if he had not even heard the Prince’s voice” [შატბერაშვილი, 1978: 8].

არსებობს მოლოდინი, რომ თავადის ნათქვამზე მას უნდა ჰქონოდა რაიმე რეაქცია, თუნდაც გაეხედა მისი მიმართულებით, მაგრამ მან ესეც არ გააკეთა. ანუ, უარყოფილია კონტექსტუალურად მოსალოდნელი მინიმალური ქმედება. ინგლისურში უარყოფა გამოხატულია უარყოფითი ნაწილაკით (ზმნური უარყოფა) და ზმნიზედით - „**n’t even**“.

- რა ვქნა, რითი დაგარწმუნო, რომ მე არც კი შევსულვარ მირცას ოთახში [ჯანდიერი, 1995: 41].

How can I prove that I **never** entered Mirtsa’s room [ჯანდიერი, 2006: 53].

იგულისხმება, რომ სუბიექტს კონტაქტი არ ჰქონია მირცასთან, მინიმალურ ქმედებად აღებულია „ოთახში შესვლა“. ინგლისურში გვაქვს ზმნიზედა „**never**“.

გათენებას აღარაფერი აკლდა, ღვინის სმაში შეჯიბრებული ყმაწვილკაცობა კი ჯერ ადგომას არც კი აპირებდა [კლდიაშვილი, 1989: 68].

It was near dawn, but the young people carried away by a drinking competition, showed **no** intention of ending the feast [კლდიაშვილი, 2003: 134].

პირველ შემთხვევაში კი ნაწილაკით ხდება „ყმაწვილკაცობის“ მარკირება, არც კი უარყოფს მოსალოდნელი ქმედებებისაგან მინიმალურს, კერძოდ, „ყმაწვილკაცობა გამთენიისას მაინც უნდა დაშლილიყო“. ინგლისურში გვაქვს კერძო უარყოფა „no“.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ:

„არც კი“ კომბინაცია გამოხატავს:

- კონტექსტუალურად მოსალოდნელი შესაძლო ქმედებების მინიმალური ერთეულის უარყოფას.

ინგლისურში აღნიშნული გამოხატება კომბინაციით: „n't even“. გარდა ამისა, გვხვდება: „no“, „never“ და სხვ.

ზემოთ განხილული ნაწილაკები გვხვდება შემდეგი ტრანსპოზიციითაც: „არც კი“:

- მამაჩემი ნაწყენი იქნება, - თქვა მან ჩურჩულით. - დღეს მასთან ერთად უნდა მეთოხნა სიმინდი...მე კი არც გამიფრთხილებია, ისე წამოვედი ამ დილით [შატბერაშვილი, 1985: 78].

‘We were supposed to hoe the maize together today and I left this morning **without even** warning him’ [შატბერაშვილი, 1978: 55].

ამ შემთხვევაში „კი“ ნაწილაკით ხდება მოქმედი პირის/აგენტის მარკირება, არც ნაწილაკი უარყოფს მის მიერ შესრულებულ კონტექსტუალურად მოსალოდნელ მინიმალურ ქმედებას – „გაეფრთხილებინა მამა“.

ინგლისურში აღნიშნული გამოხატულია წინდებულობითა და ზმნიზებით: „without even“.

„ც კი“ არკომბინაციით უარყოფის შემთხვევაში „ც“ ნაწილაკი დაერთვის სახელს, ხდება მისი აქცენტირება/მარკირება და უარყოფა, გვაქვს „ც“ ნაწილაკით მარკირებული სახელური უარყოფა:

„სახელიც კი არ ვიცი მისი“ [საუბ.].

ამ შემთხვევაშიც იქმნება კონკრეტული პირის შესახებ ინფორმაციის ფლობის ხარისხობრივი მაჩვენებლის კოგნიტური (პრაგმატული) სკალის მოდელი, რომლის მინიმალური ერთეული არის: ადამიანის „სახელის ცოდნა“.

x_{min}	-	x_1	-	x_2	-	x_3	-	x_4	-	x_n	-	x_{max}
სახელის ცოდნა												მაქსიმალური ინფორმაციის ფლობა

სკალის x_{min} -ს შეესაბამება „სახელის ცოდნა“, სკალის x_{max} -ს - ადამიანის შესახებ სრული ინფორმაციის ფლობა. მათ შორის არსებული პრედიკატები შეიძლება იყოს: x_1 – „სახელისა და გვარის ცოდნა“, x_2 -ს – „ოჯახური მდგომარეობა“, x_3 -ს – „საქმიანობა“, x_4 -ს – „მისი წარსული“ და ა.შ.

სიგარეტის მოსაწევი დროც კი არ ჰქონდა, - სამიოდე ნაფაზის შემდეგაივნის კარი იღებოდა და ცოლი ეძახდა [დოჩანაშვილი, 1976: 33]

კონკრეტული კონტექსტით მინიმალური დროის ერთეულად მიჩნეულია დრო დახარჯული სიგარეტის მოწევაზე. ადრესანტი/ავტორი გვიჩვენებს, რომ მოქმედ პირს არათუ სხვა რამეს გაკეთების დრო, არამედ სიგარეტის ბოლომდე მოწევის საშუალებაც არ ჰქონდა, ანუ გამოხატავს, რომ მას არ ჰქონდა მინიმალური დროც, რომ დაეხარჯა თავისი ინტერესებისთვის.

ბედმა მისთვის სიკვდილიც კი არ გაიმეტა ... [შატბერაშვილი, 1985: 139].

Fate would **not even** let her die quietly [შატბერაშვილი, 1978: 103].

ბედის უკუღმართობით განსაზღვრული ყველაზე უარესი რამ ადამიანისათვის არის „სიკვდილი“ და კონკრეტულ შემთხვევაში სანატრელი სიკვდილიც კი არ ეღირსა გმირს.

გავშრი, მე რა უნდა მეთქვა, ეგ კაცი თვალითაც კი არ მინახავს-მეთქი [ჯანდიერი, 1995: 42].

I was speechless. What could I say? I said that I had **never** seen that person [ჯანდიერი, 2006: 54].

ამ შემთხვევაში გვაქვს კატეგორიული უარყოფა – „თვალითაც არ მინახავს“ (არ იცის კონკრეტული ადამიანის შესახებ არაფერი).

ინგლისურში აღნიშნული გამოხატულია უარყოფითი ზმნიზედით „**never**“.

ამრიგად, ...ც კი არ კომბინაცია ინგლისურში გამოიხატება, ძირითადად, კომბინაციით „**not/n't even**“ და ზმნიზედით „**never**“.

ტექსტში კი...ც არ კომბინაციის ფუნქციებია:

- ხაზს უსვამს აგენტს და მის მიერ კონტექსტიდან გამომდინარე **სავარაუდო ქმედებების მინიმალური ერთეულის უარყოფას:**

„მას კი თავიც არ აუწევია“ [საუბ.].

“კი” ნაწილაკით ხდება სუბიექტის მარკირება, სკალაზე გვაქვს ამ სიტუაციაში რელევანტური ქმედებები:

„შეგებება“, „წამოდგომა“, „გამარჯობის თქმა“ ... „თავის აწევა“.

უარყოფილია სკალის მინიმალური ერთეული, რომელიც პრაგმატულად იძლევა სკალაზე არსებული ყველა პრედიკატის უარყოფას.

ზაქარიას კი მოკლულის წილი, ქამარ-ხანჯალი და გაქონილი ჩოხა-ქურქიც არ ეყო ვალის ასანაზღაურებლად [ჯავახიშვილი, 1958: 51].

...while Zakro had had to sell off his late partner's share together with this dagger and belt, as well as his worn felt cloack to repay all the debts, **but still** it hadn't been enough [ჯავახიშვილი, 2009: 51].

ინგლისურში „კი ...ც არ“ უარყოფა გადმოცემულია „even“ „but still ... n't“ ფორმით.

კი არ კომბინაციის საშუალებით ხდება:

(1) **დაპირისპირება**, გამოხატავს ოპოზიციას წინადადების პოზიტიურ წყვილთან მიმართებაში:

რამე გევენებათ კი არა, თუ დამიჯერებ, სასარგებლოც იქნება [კლდიაშვილი, 1989:12].

Believe me, **instead** of harm, I'll be useful, really...[კლდიაშვილი, 2003: 122].

აღნიშნულ შემთხვევაში ლაპარაკია ოპოზიციურ წყვილზე: „მავნე-სასარგებლო“. „კი ... არა“ კომბინაციას დისკურსში შემოყავს ოპოზიციური ერთეული – „სასარგებლო“.

„კი არ“ კომბინაცია მნიშვნელობით მსგავსია „არამედ“ მაპირისპირებელი კავშირისა, თუმცა, მათ მიერ გამოხატული კონცეპტები ფუნქციურად განსხვავდება. „არამედ“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადებაში არ შემოდის ოპოზიციური ერთეული, გვაქვს არა დაპირისპირება, არამედ ინფორმაციის დაზუსტება. „არამედ“ კავშირი უარყოფს თვისებრივ მაჩვენებელს, ხოლო „კი არ“ კომბინაცია – ოპოზიციურ ერთეულს:

„კაცი...თავდაჯერებული თვლიდა, რომ ხეები ეზოში უწესრიგოდ კი არ იყვნენ დარგულნი, არამედ ყველაფერს დიდი კანონზომიერების ხელი აჩნდა“ [დოჩანაშვილი, 1976: 117].

აღნიშნულ წინადადებაში არ არის უარყოფილი დარგული ხეების არსებობა, ლაპარაკია მხოლოდ დარგული ხეების განლაგებაზე (თვისებრივ მახასიათებელზე).

- „კი ... არ“ ასევე გამოხატავს **დამატებითობას და ფაქტის დადასტურებას**:

...სათქმელს ეზოში მოფუსფუსე ცოლს კი არა, სოფლის ბოლოში მცხოვრებ ტიკინესაც მიუწვდენდა“ [შატბერაშვილი, 1985: 49].

...his voice was loud enough to be heard **even** at the other end of the village [შატბერაშვილი, 1978: 35].

პარაფრაზი: სათქმელს მიუწვდენდა ცოლსაც და ტიკინესაც.

რეალურად, გაზრდილია კონტექსტის ექსტენსიურობა, რაც გულისხმობს, რომ ხმას აწვდენდა როგორც ახლოს მყოფ ცოლს, ასევე სოფლის ბოლოში მყოფ პირსაც.

ამრიგად, ინგლისურში კი არ ნაწილაკებით გამოხატულ უარყოფას, ძირითადად, შეესაბამება კომბინაცია „**not...but**“.

დადებითი კონოტაცია (დამატებითობის ფუნქციით) ინგლისურში გამოიხატება გამაძლიერებელი ზმნიზედით „**even**“.

...ც არ ნაწილაკების კომბინაციით ხდება:

- იმ ერთეულის მინიმალური რაოდენობის უარყოფა, რომელ სახელსაც დაერთვის „ც“ ნაწილაკი:

„სიტყვაც არ დასცდენია“ [საუბ.].

იგულისხმება, რომ არა თუ დიალოგი არ შემდგარა, არ თქმულა ფრაზა, წინადადება, სიტყვა. უარყოფილია კომუნიკაციის ერთეულების კოგნიტიური სკალის მინიმალური ერთეული, და ამავდროულად, უარყოფილია ამ სკალის ყველა პრედიკატი, რომელიც შეიძლება იყოს კომუნიკაციის მახასიათებელი.

ცხენი ისევ იმავე ადგილას იდგა, ფეხსაცარ იცვლიდა [კლდიაშვილი, 1989: 37].

The horse ignored all this, it just stood there, **not** budging **an inch** [კლდიაშვილი, 2003: 128].

უარყოფილია გადაადგილების მინიმალური ერთეული, რაც ინგლისურში გამოხატულია სიგრძის მინიმალური ერთეულის უარყოფით.

„ჯამაგირი პაპიროსის ფულადაც არ ეყოფა“ [შატბერაშვილი, 1985: 84].

His salary will **not even** buy his tobacco [შატბერაშვილი, 1978: 60].

კონტექსტუალურად ითვლება, რომ მინიმალური, რაზეც ფული გეყოფა, არის პაპიროსი და, თუ პაპიროსზეც არ გეყოფა ფული, მაშინ, არ გეყოფა სხვა არაფერზე.

...იქნებ სულაც არ მოსულა წუხელ? [შატბერაშვილი, 1985: 128].

"Maybe he didn't come home **at all** last night?" [SatberaSvili, 1978: 94].

ამ შემთხვევაში არსებობს ვარაუდი, რომ გმირი ტყუილად ელოდება ადამიანის გამოსვლას ოთახიდან, ვინაიდან იგი, შესაძლოა, საერთოდ არ მისულა სახლში.

ინგლისურში ც ნაწილაკის ფუნქცია გადმოცემულია ზმნიზედით „**at all**“.

ამრიგად, „...ც არ“ უარყოფა ინგლისურში, ძირითადად, გამოხატულია: „**n't/not even**“, „**not...but**“ ლექსიკური ერთეულებით. გარდა ამისა, გვხვდება შემდეგი კომბინაციებიც: „**without even**“, „**n't...at all**“, „**never**“, „**n't...yet**“.

ზემოთქმულის საფუძველზე, შეიძლება ჩამოვაცალიბოთ „არ“, „ც“, „არც“ და „კი“ ნაწილაკებისა და ამ ნაწილაკების კომბინაციების ფუნქციები და მათ მიერ გამოხატული კონცეპტები:

(1) „არც“ ნაწილაკი იძლევა კერძო/სახელური უარყოფის მოდელს. აღნიშნულს ადასტურებს კერძო უარყოფის ინგლისური ენის მაგალითებიც. გარდა ამისა, არც უარყოფს კონტექსტუალურად მოსალოდნელ ქმედებას: გამარჯობა არც მითხრა.

(2) „არც“ და „კი“ ნაწილაკების კომბინაცია უარყოფს მოლოდინს, პრესუპოზიციას, რომელიც შემოაქვს ნაწილაკს „კი“: გამარჯობა არც კი მითხრა.

(3) „...ც“ და „არ“ ნაწილაკების კომბინაცია უარყოფს „ც“ ნაწილაკით მარკირებული სახელის/აგენტის მიერ ჩადენილ ქმედებას: ხელიც არ გაუნძრევია, რაც გულისხმობს ამ მიმართებით ყველა შესაძლო ქმედების გამორიცხვას.

(4) „კი“ და „არც“ ნაწილაკების კომბინაციაში „კი“ აკეთებს სახელის მარკირებას, „არც“ ნაწილაკი - უარყოფს კონტექსტუალურად მოსალოდნელ რელევანტურ ქმედებას „პასუხის გაცემას“: „მე კი არც მიპასუხია“. კონტექსტი გულისხმობს, რომ მას პასუხი უნდა გაეცა.

(5) „...ც კი ... არ“ ნაწილაკების კომბინაციაში „ც“ ნაწილაკი სახელის მარკირებას ახდენს, ნაწილაკს „კი“ შემოჰყავს პრესუპოზიცია: გამარჯობაც კი არ მითხრა.

(6) „კი ...ც ... არ“ ნაწილაკების კომბინაციაში „კი“ აკეთებს აგენტის მარკირებას, ხოლო „ც“ - სახელის მარკირებას (გვაქვს ორმაგი მარკირება): მან კი გამარჯობაც არ მითხრა. აღნიშნული გულისხმობს, რომ აგენტმა უარი თქვა მისი არსებითი ფუნქციის შესრულებაზე, რითაც ხდება მისი, როგორც აგენტის ფუნქციის სრული ნიველირება.

(7) „კი ... არ“ ნაწილაკების კომბინაცია აპირისპირებს ხარისხობრივ კატეგორიებს: კი არ გავბრაზდი, მეწყინა. გარკვეულწილად, აღნიშნული კომბინაცია ასეთ შემთხვევებში ასრულებს ინფორმაციის დაზუსტების ფუნქციას, არ ხდება ფაქტის უარყოფა, ხდება ფაქტის ხარისხობრივი მაჩვენებლის დაკონკრეტება. გარდა ამისა, გააჩნია დადებითი დენოტაცია ადიტიური ფუნქციით: „არა მარტო ეს, არამედ ისიც“. მაგალითი: შენც და იმასაც მოგთხოვთ პასუხს.

ნაშრომის ფარგლებში დადგენილი ნაწილაკების ახალი ფუნქციები მოცემულია ცხრილის სახით (სქემა N7):

სქემა N7

ნაწილაკების ლექსიკონით განსაზღვრული და ახალი მნიშვნელობები

	ენობრივი მნიშვნელობა (ლექსიკონის მიხედვით)	კონტექსტუალური, დამატებითი მნიშვნელობები	“ki”	“ki ar”	“ar”
--	---	---	------	---------	------

არც	-კატეგორიული უარყოფა; -სიმართლესთან შეუსაბამობა; -რაიმეს დაშვების გამორიცხვა; -რამდენიმე ერთეულის გამორიცხვა.	“არც” -სახელური უარყოფა; -სკალარული პრედიკაცია; -უარყოფა ტემპორალური მნიშვნელობით; -რაოდენობის ან ჯერადობის მინიმალური ერთეულის უარყოფა; -დაპირისპირებითი ფუნქცია.	“არც კი” -პრესუპოზიციის უარყოფა. “კი არც” -სახელის მარკირება და პრესუპოზიციის უარყოფა.		
ც	-უარყოფის გამამლიერებელი; -დამატებითობის ფუნქცია.	“ც” -სახელის მარკირება და კერძო უარყოფა; -პრამატული სკალის მოდელი.		“...ც კი არ” -სახელის მარკირება; -პრამატული სკალის მოდელი.	“...ც არ” -სახელური უარყოფა; -კოგნიტური სკალის მოდელი.
კი	-მტკიცებითი; -გამლიერებითი; -დაპირისპირებითი; -დაექვევებითი.	“კი” -პრესუპოზიციის უარყოფა; -ოპოზიციურ ერთეულთან დაპირისპირება; -დამატებითობა უარყოფით კონტექსტში; -დამატებითობა დადებითი კონოტაციით.			“კი არ” -დაპირისპირება; -დამატებითობა პოზიტიური ფაქტის დადასტურებით.

ქვემოთ მოყვანილია „არ“, „არც“, „ც“ და „კი“ ნაწილაკებისა და მათი კომბინაციების შესაბამისობები ინგლისურ პარალელურ ლიტერატურულ ტექსტებში:

სქემა N8

“კი”, “ც”, “არც”, “არ” ნაწილაკებისა და მათი კომბინაციების შესაბამისობები ინგლისურში

არც	არც კი	კი არც	...ც კი არ	კი ...ც არ	კი არ	...ც არ
neither...nor nothing no either neither n't even would not	not even never no	without even	not/n't even never	Even but still...not	not...but even (posit.)	not even not...but without even n't...at all never n't...yet

ამის გარდა, უარყოფით კონტექსტში უარყოფით მარკერებთან კოლოკაციაში ხშირად იმყოფება გარკვეული ლექსიკური ერთეულები. ასეთებია: ჯერ, მაინც, სულაც, თითქოს, სრულიადაც, ერთხელაც, ოდნავაც, ოდნავადაც და სხვ. მათ პარალელურად ინგლისურენოვან ტექსტებში გვაქვს შემდეგი კომბინაციები: „not ... yet“, „n't ... but“, „n't any“, „hardly“, „n't ... at all“, „not a bit“, „never“ და სხვ.

ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართულ დისკურსშიც ნაწილაკის ფუნქციები და მოქმედების ველი ფართოა, რაც აისახება მის მიერ გამოხატული მნიშვნელობების მრავალფეროვნებაზე. უფრო მეტიც, ჩვენი კვლევა ადასტურებს, რომ აღნიშნული ნაწილაკის მნიშვნელობა დისკურსის/ტექსტის დეკოდირებისთვისაც დიდია. „არც“ და „ც“ ნაწილაკები გვხვდება ინგლისური ენის სხვადასხვა ლექსიკური ერთეულების პარალელურად, რომლებიც, ძირითადად, მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს წარმოადგენენ. „არც“ და „ც“ ნაწილაკების პარალელურად ინგლისურ ტექსტებში უფრო ხშირად გვხვდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ზმნიზედები - even, never და მათი კომბინაცია. შესაძლებელია იყოს even ზმნიზედის კომბინაცია უარყოფით ნაწილაკთან no, ამ ნაწილაკით გამოხატულ ზმნურ უარყოფასთან. გარდა ამისა, „არც“, „არ“, „ც“ და „კი“ ნაწილაკები შეიძლება პარალელურ ტექსტებში გვქონდეს წყვილი კავშირი – „neither ... nor“ ან უარყოფასთან კომბინაციაში შემდეგი ზმნიზედები: „even“, „at all“, „yet“, „a bit“ და სხვ.

არსებობს კონტექსტები, რომელთა ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე სრული ტრანსპონირება შეუძლებელია და თარგმანის მაქსიმალური რელევანტურობის დასაცავად ინგლისური ტექსტის დადებითი ან ნეიტრალური კონტექსტის ნაცვლად ქართულში შეიძლება გამოყენებული იყოს უარყოფითი მარკერი.

ინგლისურში ჩვენ მიერ განხილული მაგალითების პარალელურ ტექსტებში უარყოფის გამოხატვის საშუალებებად ხშირად გვხვდება ზმნიზედები: „even“, „never“ დამოუკიდებლად ან უარყოფასთან კომბინაციაში. უარყოფასთან კოლოკაციაში ასევე ხშირად ასოცირდება სხვა ზმნიზედებიც: „still“, „at all“, „yet“ დამატებითი

კონტექსტუალური ნიუანსებით. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაწილაკებით გამოხატული უარყოფისას ინგლისურ პარალელურ ტექსტებში გვხვდება უარყოფასთან ასოცირებული ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ინგლისურ ენაში აქვთ უარყოფის ინტენსიფიკაციის ფუნქცია.

შეიძლება ითქვას, რომ „არ“, „ც“, „არც“ და „კი“ ნაწილაკებით გამოხატული უარყოფა ინგლისურში გამოირჩევა მეტი ლექსიკური მრავალფეროვნებით. ინგლისურში ხშირად გვხვდება ზმნიზედა „even“, რომელიც უშუალოდ „ც“ ნაწილაკის ფუნქციას შეესაბამება. „ც“ ნაწილაკს ქართულში მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ სხვა ლექსიკურ ერთეულთან კომბინაციაში. ინგლისური კი იმავე მნიშვნელობის გამოხატვას ახერხებს დამოუკიდებელი სემანტიკური მნიშვნელობის მეორე ლექსიკური ერთეულებით, რაც შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ამ ასპექტში, ქართული სემანტიკური ველი ნაკლებ მარკირებული და ნაკლებად შეზღუდულია.

დასკვნა

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ფუნქციის მიხედვით ნაწილაკები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ერთსა და იმავე ნაწილაკს სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. კონტექსტის გარეშე ნაწილაკების უმრავლესობის სემანტიკა არ არის გამოკვეთილი, ნაწილაკების უმრავლესობა მრავალფუნქციურია. ძირითადად მათი მნიშვნელობის დადგენა ხდება კონკრეტული გამონათქვამის ფარგლებში. ნაწილაკის კონკრეტულ პრაგმატულ მნიშვნელობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა, ან რამდენიმე ფაქტორი ერთდროულად.

ნაწილაკების ფუნქციური შესაძლებლობებიდან განსაკუთრებით გამოიყოფა ნაწილაკების დეიქტური შესაძლებლობები. ნაწილაკები გამოიყენება როგორც ურთიერთობის სიტუაციაზე ან მის პარამეტრებზე მითითების მიზნით, და ასევე,

მიუთითებს ნაწილაკიანი გამონათქვამის ლოგიკურ კავშირზე სხვა გამონათქვამებთან. ნაწილაკების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ფარული სემანტიკის გადმოცემა, რომელიც გასაგებია ყველა კონკრეტული ენის მატარებლისათვის და მნელად მისახვედრია უცხოენოვანისთვის. ნაწილაკებით გამოხატული მნიშვნელობა, ძირითადად, იმპლიციტურია, რითაც განისაზღვრება ამ ჯგუფში შემავალი ელემენტების თავისებურება ენის სხვა მეტყველების ნაწილებთან მიმართებაში.

ნაწილაკების ფუნქციის შედარებით სრულყოფილი განსაზღვრა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერების კვლევის სემიოტიკური პარადიგმა შეიცვალა ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმით, რომლის კვლევის ამოსავალი ობიექტი არის დისკურსი/ტექსტი, ხოლო ენის კომუნიკაციური ფუნქციის ერთეული - სამეტყველო აქტი. დისკურსის ანალიზი მოიცავს სამეტყველო აქტების ფორმირების მექანიზმებს, მის ილოკუციურ მნიშვნელობას, ილოკუციურ ძალას, ადრესანტის პრესუპოზიციას. ყოველივე ზემოთ თქმულის ანალიზის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გამოიხატა ნაწილაკების როლი დისკურსის ფორმირებაში.

ამასთან, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადასხვა ენაში ლოგიკური ოპერატორების წარმომავლობა და მოქმედების არეალი განსხვავებულია. თუ შეიძლება ითქვას, სხვადასხვა ენა წარმოგვიდგენს განსხვავებულ ლოგიკურ ფორმას. აღნიშნული ნათლად ჩანს ჩვენ მიერ დამუშავებული მასალიდან. თუმცა, ეს განსხვავება არ უშლის ხელს ადრესანტის მიერ ზუსტად იყოს ადრესატამდე მიტანილი გამონათქვამის ილოკუციური მნიშვნელობა თუ ილოკუციური ძალა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსის მაფორმირებელი ელემენტები ქმნიან ენის ზოგად ლოგიკურ კარკასს, რომელიც აკონკრეტებს მნიშვნელობას და ეხმარება ადრესატს სამეტყველო აქტის სწორად გაშიფვრაში, მარკირებული ელემენტების საშუალებით ინფორმაციის ეფექტურად დეკოდირებასა და, საბოლოოდ, ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში. შესაბამისად, აღნიშნულ ელემენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლის პროცესში, რომლებიც რაოდენობრივადაც ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი.

უარყოფის ლოგიკური მოდელი იძლევა იმ ელემენტების უარყოფას, რომლის ჩამოთვლაც ან მოაზრებაც ერთმნიშვნელოვნად შესაძლებელია, ანუ ერთეულების საზღვრების დადგენა და ამ საზღვრებში მოქცეული ერთეულების ცალსახად იდენტიფიცირება სრულიად შესაძლებელია. ლინგვისტური უარყოფის შემთხვევაში უარყოფას განსხვავებული ფუნქცია გააჩნია და მისი ინტერპრეტაციის მექანიზმებიც განსხვავებულია. კერძოდ, „ც“ და „არ“ ნაწილაკებით გამოხატული უარყოფისას, მიუხედავად „არ“ ნაწილაკით გამოხატული კატეგორიულობისა, უარყოფა იძლევა წარმოსახვითი ერთეულების ერთობლიობას, რომელთა ექსპლიციტურად გადმოცემა შეუძლებელია. თუმცა ამ ტიპის უარყოფისას უარყოფილია არა მარტო ექსპლიციტურად გამოთქმული ერთეული, არამედ ყველა ის ერთეული, რომელიც განთავსებულია ადრესანტის მიერ იმპლიციტურად მოაზრებულ სკალაზე და, რაც მთავარია, აღნიშნული გასაგებია ადრესატისათვისაც, რაც წარმატებული კომუნიკაციის საწინდარს წარმოადგენს. თვით ამ სკალაზე განლაგებული პრედიკატების რაოდენობა და თითოეულის თვისობრივი მახასიათებელი შეიძლება დამოკიდებული იყოს ადრესატის წარმოსახვით შესაძლებლობებზე და მის ინტელექტუალურ და ენობრივ კომპეტენციებზე. თავისთავად, აღნიშნული მრავალფეროვნების შესაძლებლობა იძლევა განსხვავებას ლოგიკურ და ლინგვისტურ უარყოფას შორის და თვით ენათა შესაძლებლობას, განსხვავებულად გამოხატოს, კონკრეტულ შემთხვევაში, უარყოფის კონცეპტი. ეს არის ერთ-ერთი საფუძველი ენის ესთეტიკური ფუნქციონირებისათვის.

ნაწილაკების მნიშვნელობების გადატანა ერთი ენიდან მეორეში, ზეპირი თუ წერიტი კომუნიკაციის დროს, სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს. უნივერსალური პრაგმატული მნიშვნელობის გამოხატვა განსხვავებული ტიპოლოგიის მქონე ენებში ხდება სხვადასხვა კოდით, ხშირად ენის სისტემური დონის სხვადასხვა ერთეულით.

შეპირისპირებითი ანალიზისათვის ხელსაყრელია ნაწილაკები განხილული იყოს როგორც ფუნქციური და არა როგორც გრამატიკული კლასი. ზოგადად, ნაწილაკების უმრავლესობის ფუნქცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადრესანტის

დამოკიდებულების გამოხატვის ფუნქცია. ნაწილაკები გამოდიან გამონათქვამის ილოკუციური ძალის მაჩვენებლის როლში ან როგორც გამონათქვამის ძირითადი ილოკუციური ძალის გამაძლიერებლის ან შემასუსტებლის როლში.

უარყოფის სისტემა ქართულში შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით. უარყოფა ქართულ ენაში ითვალისწინებს ერთმაგ უარყოფას და ორმაგ უარყოფას. ერთმაგი უარყოფის შემთხვევაში ნეგაციის ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობენ: უარყოფითი მორფემების შემცველი ლექსიკური ერთეულები, უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები, უარყოფითი ნაწილაკები და ნაწილაკები, რომლებიც ასოცირებულია უარყოფასთან: „ც“, „კი“, „ხომ“, „აკი“, „დ“, „განა“.

ნაწილაკების კვლევა და მათი ფუნქციების განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ანთროპოპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში ტექსტის ლინგვისტური ანალიზის საშუალებით.

მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ:

- მტკიცება და უარყოფა განუყოფელია როგორც სემანტიკურად, ასევე, პრაგმატულად.
- ქართულ ენაში გვაქვს სახელური და პრედიკატული უარყოფა.
- „ც“ ნაწილაკის მონაწილეობით გამოხატული უარყოფა ქართულში იძლევა იმპლიკატური კოგნიტიური სკალის მოდელს პრედიკატების მზარდი/კლებადი თანმიმდევრობით. ამ შემთხვევაში ხდება სკალის მინიმალური ერთეულის უარყოფა და, ამავდროულად, უარყოფილია ამ სკალაზე განლაგებული ყველა პრედიკატი.
- „ც“ ნაწილაკი კონტექსტუალურად ავლენს შემდეგ ფუნქციებს: (1) ახდენს სახელის მარკირებას/აქცენტირებას და ქმნის კერძო უარყოფის მოდელს, (2) ქმნის პრაგმატული სკალის მოდელს და მისი მინიმალური ერთეულის უარყოფით უარყოფს სკალის ყველა ელემენტს, (3) ქმნის შეკვეცილი პრაგმატული სკალის მოდელს და შეკვეცილი სკალის მინიმალური ერთეულის უარყოფით უარყოფს ამ სკალის ყველა ელემენტს.

- „არც“ ნაწილაკი, რომელიც რეალურად არის „არ“ უარყოფითი ნაწილაკისა და „ც“ ნაწილაკის კომბინაცია, იძლევა უარყოფის გამოხატვის არა მარტო რაოდენობრივ, არამედ თვისობრივ მახასიათებელსაც. კერძოდ, გამოხატავს: (1) სახელურ უარყოფას; (2) უარყოფას ტემპორალური მნიშვნელობით; (3) რაოდენობის/ჯერადობის მინიმალური ერთეულის უარყოფას; (4) დაპირისპირებას.
- „კი“ ნაწილაკის კონტექსტუალური ფუნქციებია:
 - (1) სახელის მარკირება;
 - (2) უარყოფით ნაწილაკთან ერთად უარყოფს მოლოდინს, შესაძლებლობას, პრესუპოზიციას;
 - (3) უარყოფასთან ერთად აპირისპირებს ოპოზიციურ ერთეულებს;
 - (4) გამოხატავს დამატებითობას (ადიტიურ ფუნქციას) უარყოფით კონტექსტში;
 - (5) გამოხატავს დამატებითობას (ადიტიურ ფუნქციას) დადებითი კონოტაციით;
- ქართულში უარყოფის გამოხატვის მრავალფეროვნება მიიღწევა არა მარტო „არ“ უარყოფის გამოხატვის ძირითადი ნაწილაკისა და „ც“ და „კი“ ნაწილაკების კომბინაციით, არამედ მათი ტრანსპოზიციითაც: „არც“, „არც კი“, „კი არც“, „...ც კი არ“, „კი...ც არ“, „კი არ“, „...ც არ“;
- ქართულ ენაში უარყოფასთან კოლოკაციაში მყოფი სიტყვები, რომლებიც კონტექსტუალურად დადებითი კონოტაციის კონტექსტშიც გვხვდება, შეიძლება ჩაითვალოს პოლარულ ლექსიკურ ერთეულებად.
- შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ქართული ენისათვის დამახასიათებელი ორმაგი უარყოფა ვან დერ ვუდენის კლასიფიკაციიდან გამომდინარე, წარმოადგენს მეორე და მესამე ჯგუფის ერთგვარ სინთეზს, როდესაც სახეზე გვაქვს უარყოფის თანაწყობა. აღნიშნულის თანახმად, ქართულ ენაში ორმაგი უარყოფა იძლევა ერთმაგ უარყოფას და, ამავდროულად, სახეზე გვაქვს უარყოფის გაძლიერება/ინტენსიფიკაცია;

- უარყოფის ფორმირებაში ინგლისურ ენაში რაოდენობრივად უფრო მეტი ლექსიკური ერთეული მონაწილეობს, ვიდრე ქართულში და მათი დისტრიბუციაც უფრო ნათელია ინგლისურში. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ნეგაციის ფორმირებაში, ასოცირებულია ან იმყოფება კოლოკაციაში მასთან, სქემატურად შეიძლება წარმოდგენილი იყოს ვექტორულ სკალაზე, რომელზეც ისინი განლაგდებიან მზარდი უარყოფითობის ნიშნით;
- ქართულ ენაში უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობის ერთეულები რაოდენობრივად ნაკლებია. თუმცა ისინი ნეგაციას აწარმოებენ სხვა დამხმარე ერთეულების საშუალებით, რომლებსაც დამოუკიდებლად უარყოფითი სემანტიკა არ გააჩნიათ. უარყოფის გამოხატვის მრავალფეროვნება ქართულში მიიღწევა არა იმდენად რაოდენობრივი საშუალებებით, რამდენადაც ნეგაციაში მონაწილე ერთეულების ტრანსპოზიციით, რაც გულისხმობს, რომ ქართულ ენაში შესაძლებელია სინტაქსის დონეზე ლექსიკური ერთეულების ტრანსპოზიცია, რომელიც სემანტიკურ განსხვავებას იძლევა დისკურსის/ტექსტის დონეზე.

უარყოფის ენობრივი ფენომენის შესწავლას მივყავართ ენის ლოგიკური არსის შეცნობისაკენ. დისკურსში გამოყენებული უარყოფითი მარკერები და უარყოფასთან ასოცირებული ლექსიკური ერთეულები, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ენის ლოგიკურ ოპერატორებს. ისინი ასრულებენ ლოგიკური ოპერატორების მსგავს ფუნქციას ენაში. რა თქმა უნდა, მათ არ გააჩნიათ ლოგიკაში გამოყენებული ოპერატორებისთვის დამახასიათებელი სიზუსტე და ერთმნიშვნელოვნება, თუმცა, ენაში ისინი გამოიყენებიან უაღრესად მოქნილად და ზემოხსენებულ ფუნქციას ასრულებენ ეფექტურად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილაკების ფუნქციების განხილვისას ტექსტში, უნდა გავითვალისწინოთ ბუნებრივი ენების ერთი თავისებურება. ენის მეტყველების ნაწილების ფუნქციონირების დროს თავს იჩენს ისეთი ნიუანსები, რომლებიც ლოგიკასთან შეუთავსებელი ჩანს. თუმცა, ბუნებრივი ენა ახერხებს ამ დაპირისპირებული სფეროების ბუნებრივ გაერთიანებას. ეს ჩანს ნაწილაკების

შემთხვევაშიც კი, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან ლოგიკურ ოპერატორთან. რაც მთავარია, დისკურსში ისინი წარმატებით ასრულებენ ლოგიკური ოპერატორის როლს. და ამასთან ერთად, ნათლად ჩანს, რომ დისკურსში ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთობის პროცესში თავისუფალი წარმოსახვითი ფუნქციების რეალიზაციას უწყობს ხელს. აღნიშნული იძლევა ენის რეალიზაციის საშუალებას, როგორც ესტეტიკური ფენომენისა.

ლიტერატურა:

1. ა. არაბული, როდის გამოვიყენოთ ორმაგი უარყოფა, ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2004.
2. რ. ასათიანი, Yes/No ნაწილაკების სემანტიკა და ტიპოლოგია, დისერტაცია, 2005.
3. ლ. გეგუჩაძე, ერთმაგი უარყოფის მცდარ ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2007.
4. თ. მარგალიტაძე, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 1997.
5. რ. მარსაგიშვილი, უარყოფითი ემოციური დამოკიდებულების („უხეშობის“) გამოხატვას ქართული, ინგლისური და რუსული ენების ლექსიკურ სისტემაში, დისერტაცია, თბილისი, 1999.
6. პლატონი, სოფისტი (თარგმანი მაია შუხოშვილის), თბილისი, 2013.
7. ვ. ფრომკინი, ლინგვისტიკა: ლინგვისტიკის თეორიის შესავალი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.

8. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.
9. მ. შერაზადიშვილი, ნაწილაკის საკომუნიკაციო ფუნქციისათვის ქართულში, დისერტაცია, თბილისი, 2003.
10. ბ. ჯორბენაძე, უარყოფითის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში//ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, მეცნიერება, თბილისი, 1984.
11. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, მეცნიერება, თბილისი. 1988.
12. შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში (კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების საფუძველზე), მეცნიერება, თბილისი, 1989.
13. ნ. ხეცურიანი, უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულ, ინგლისურ და ესპანურ ენებში, დისერტაცია, 1999.
14. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, განათლება, თბილისი, 1988.
15. K. Aijmer, *English Discourse Particles: Evidence from a corpus*, John Benjamins Publishing Company, Amsterdam/Philadelphia, 2002.
16. M. Allen, *English Word-Formation: A History of Research, 1960-1995*, by PavolŠtekauer, Gunter Narr Tübingen, 2000.
17. *The American Heritage Book of English Usage: A Practical and Authoritative Guide to Contemporary English*, Houghton Mifflin Company, 1996.
18. L. Anderson, and P. Trudgill, *Bad Language*, Basil Blackwell. Oxford, 1990
19. Anderson, Gisle, *Pragmatic Markers and Sociolinguistic Variation: A Relevance-Theoretic Approach to the Language of Adolescents*, John Benjamins B.V. 2001
20. M. Arnold *Clitics and Particles*, *Source: Language*. Vol. 61. No. 2, 1985.
21. T J. L. Austin, *How to do Things with Words*. Oxford University Press', Oxford, 1962.
22. Baker, Carl Lee, 'Double Negatives', *Linguistic Inquiry* 1, 1970, pp. 169–186.
23. Van Baar, *Particles*. In B. Devriendent, L. Goossens and J. van der Auwera (eds). *Complex structures: A functionalist perspective*. Berlin & New York: Mouton de Gruyter. 259-301, 1996.

24. C. Bazzanella, 'Phatic connectives as interactional cues in contemporary spoken Italian', *Journal of Pragmatics*, 1990, pp. 639-47
25. von Bergen, Anke & von Bergen, Karl, *Negative Polarität im Englischen*. Tübingen: Narr. 1993.
26. H. Besten, Double negation and the genesis of Afrikaans, in: P. Muysken and N. Smith (eds.). *Substrata versus universals in Creole languages*, Amsterdam: John Benjamins, 1986, 185-230.
27. D. Blackmore, *Semantic constraints on relevance*: Blackwell, 1987.
28. D. Blackmore, Denial and Contrast: A Relevance Theoretic Analysis of "But". *Linguistics and Philosophy*. Vol. 12, No. 1989.
29. L. J. Brinton, *Pragmatic markers in English. Grammaticalization and discourse functions*. Berlin & New York. Mouton de Gruyter, 1996.
30. S. Brown, *The Syntax of Negation in Russian: a Minimalist Approach*. Stanford: CSLI. 1999.
31. Hadumod Bussman, *Routledge Dictionary of language and Literary Terms* (translated by Gregory P. Trauth and Kerstin Kazzari), Taylor & Francis e-Library, 2006, pp.701.
32. K. Buysens, 1959. Negative contexts. *English Studies* 40,163–69.
33. G. Chierchia, Scalar implicatures, polarity phenomena, and the syntax/pragmatics interface. In *Structures and Beyond*, ed. Adriana Belletti. Oxford:Oxford University Press, 2004.
34. R. Craige, Only, Presupposition and Implicature, *Journal of Semantics*, 2006.
35. D. Crystal, *Dictionary of Linguistics and Phonetics*, Sixth Edition, Blackwell Publishing, 2011.
36. J. A. Cuddon (revised by C. E. Preston), *The Penguin Dictionary of Literary Terms and Literary Theory*, Penguin Book Ltd, 1999.
37. Dayal, Veneeta (1998), Any as inherently modal. *Linguistics and Philosophy* 21:433-76
38. M. Dryer, Universal of negative position, in: Michael Hammond, Edith Moravcsik and Jessica Wirth (eds.). *Studies in syntactic typology*, Amsterdam: John Benjamins, 93-124, 1988.

39. M. Dryer, Negative morphemes, World atlas of language structures, ed. by M. Haspelmath, M. Dryer, D. Gil and Bernard Comrie, 454–7. UK: Oxford University Press, Oxford, 2005
40. J. Eastwood, Oxford Guide to English Grammar, Oxford University Press, 2002.
41. T. Ernst, Speaker oriented adverbs. (Submitted) manuscript, Dartmouth College/UMass Amherst, 2008.
42. G. Fauconnier, Polarity and the Scale Principle. Chicago Linguistics Society 11, 1975a, pp. 188-199.
43. G. Fauconnier, Pragmatic scales and logical structure. Linguistic Inquiry 6, 1975b, pp. 353–75.
44. Fauconnier, Gilles: 1978, 'Implication Reversal in a Natural Language', in F. Guenther and S.J. Schmidt (eds.), Formal Semantics and Pragmatics for Natural Languages, Reidel, Dordrecht, 289-301.
45. S. Feldman, (1948) 'Mannerism of speech'. Psychoanalytic Quarterly, 17, 356-67.
46. Von Fintel, Kai, 2000. Whatever. In Proceedings of Semantics and Linguistic Theory, volum 10.
47. J. E. Fox Tree, and J.C. Schrock (1999) 'Discourse Markers in Spontaneous Speech: Oh What a Difference an Oh Makes'. Journal of Memory and Language, 40, 280-295.
48. J. E. Fox Tree, and J.C. Schrock (2002) 'Basic meanings of you know and I mean'. Journal of Pragmatics, 34: 727-747.
49. D. Fowler, Modern English Usage. Cambridge. Cambridge University Press, 1978.
50. J. Gajewski, Licensing strong NPIs, University of Pennsylvania Working Papers in Linguistics, Volume 14, Issue 1, Article 13, 2008.
51. Giannakidou, Anastasia (1997). The landscape of polarity items, unpublished PhD dissertation, Groningen University, published as Giannakidou, 1998.
52. Giannakidou, Anastasia, Polarity sensitivity as (non)veridical dependency, Amsterdam: John Benjamins, 1998.
53. Giannakidou, Anastasia, Affective dependencies. Linguistics and Philosophy 22, 1999, pp. 367-421.
54. Giannakidou, Anastasia. Negative...concord, Natural Language and Linguistic Theory 18, 2000, pp. 457-523.

55. Giannakidou, Anastasia, "Varieties of Polarity Items and the (Non)veridicality Hypothesis," *Perspectives on Negation and Polarity Items*, 99-127, John Benjamins, Amsterdam, 2001.
56. Giannakidou, Anastasia (2007) *The Landscape of Even*. *Natural Language & Linguistic Theory*. Vol. 25. No.1.
57. Giannakidou, Anastasia (2008) *Negation and positive polarity items: Variation, licensing, and compositionality*. University of Chicago, 2008; Prepared for: Maienborn, Claudia, Klaus von Heusinger, and Paul Portner (eds). *Semantics: An International Handbook of Natural Language Meaning*. Berlin: Mouton de Gruyter.
58. Giannakidou, Anastasia, (Non)veridicality and existence: a tight relation, University of Chicago, 12th International Pragmatics Conference Manchester, 5 July 2011 Panel on Nonveridicality, Evaluation, and Coherence Relations.
59. T. Givon, *Negation in Language: Pragmatics, Function, Ontology, Syntax and Semantics*, vol. 9: Pragmatics, New York: Academic Press. 1978, pp. 62-112.
60. T. Givon, *English Grammar: A Function-Based Introduction*. John Benjamins Publishing Co., Amsterdam, 1993.
61. J. Greenberg, *Language universals, with special reference to feature hierarchies*, The Hague: Mouton, 1966.
62. H. Paul Grice: *Logic and Conversation*. *Syntax and Semantics*, Vol. 3, *Speech Acts*, ed. by Peter Cole and Jerry L. Morgan, Academic Press 41–58; New York, 1975.
63. L. Haegeman, and R. Zanuttini, *Negative Heads and the Neg Criterion*, *The Linguistic Review* 8, 1991, pp. 233-251.
64. L. Haegeman, "Sentential Negation Italian and the Neg Criterion," *Geneva Generative Papers*, 1992. 10-26.
65. L. Haegeman, *The syntax of negation*. Cambridge University Press, 1995.
66. E. Hajiyevev 'The Status of Particles in Modern English'. *International Journal of Computers*. Issue 4. Volume 2. 2008.
67. M.A.K. Halliday, and R. Hasan. (1976) *Cohesion in English*. London: Longman.
68. M. A. K. Halliday, and R. Husan, *Language, context, and Test: a social-semiotic perspective*. *Language and Learning* (3) Geelong, vic: Deakin University Press, 1985.

69. M.A.K. Halliday, and R. Hasan, *Cohesion in English*: Longman group Limited 1992.
70. Haspelmath, Martin, *A typological study of indefinite pronouns*. Freie Universität Berlin dissertation, 1993.
71. M. Haspelmath, *Indefinite Pronouns*. Oxford University Press.1997.
72. Laura Hidalgo-Dowining, *Negation, Text Worlds, and Discourse: The Pragmatics of Fiction*, Ablex Publishing Corporation, 2000
73. J. Hoeksema, *Negative polarity and the comparative*. *Natural Language and Linguistic Theory* 1, 1983. 403–434.
74. J. Hoeksema, *Monotonicity phenomena in natural language*. *Linguistic Analysis* 1986. 16, 25–40.
75. J. Hoeksema, 1994, 'On the grammaticalization of negative polarity items.' In S. Gahl, A. Dolbey, and C. Johnson (eds.) *Proceedings of the 20th annual meeting of the Berkeley Linguistics Society*. Berkeley.
76. L. Horn, 1972, *On the semantic properties of logical operators in English*.UCLA dissertation. Distributed by IULC, Bloomington, Indiana,
77. L. Horn *A Presuppositional Analysis of "only" and "even"»*. Chicago Linguistic Society. 5. Chicago. Linguistic Society. 1969.
78. L. Horn *A Duplex negation affirmat...: the economy of double negation*. In *CLS 27 – II: Papers from the parasession on negation*, Chicago. Chicago Linguistic Society, 1991.
79. L. Horn, (1996). *Exclusive company: Only and the dynamics of vertical inference*. *Journal of Semantics* 13, 1-40.
80. L. Horn, *Flaubert Triggers, Squatitive Negation, and Other Quirks of Grammar*. *Perspectives on Negation and Victor Polarity Items*, ed. by Jack Hoeksema, HotzeRullmann, Sanchez-Valencia and Ton van der Wouden. Amsterdam: Benjamins, 2001, pp. 173-200.
81. L. Horn, *A natural history of negation*, University of Chicago Press, Chicago, 1989.
82. J. J. Hwang, a Shin, *The Functions of Negation in Narration*, University of Texas at Arlington and Summer Institute of Linguistics, 1992.
83. *International Encyclopedia of Linguistics: 4-Volum Set, Volume 1*, p. 283, Oxford University Press, 2003.
84. M. Israel, *Polarity sensitivity as lexical semantics*. *Linguistics and Philosophy*, 19:619-666, 1996.

85. M. Israel, *The Pragmatics of Polarity*, University of Maryland, In *The Handbook of Pragmatics*, Horn & Ward (eds.). pp. 701-723, Blackwell. 2004.
86. Y. Iyeiri, *Verbs of Implicit Negation and Their Complements in the History of English*, John Benjamins B.V. Yushodo Press, 2010;
87. Jackendoff, Ray S. 1972. *Semantic interpretation in generative grammar*. Cambridge, Mass.: MIT Press.
88. R. Jakobson, *Selected Writings I. Phonological Studies*, the Hague: Mouton, 1962.
89. R. Jakobson, *Selected Writings II. Word and Language*, the Hague: Mouton, 1971.
90. Jayez, J. and L. Tovenca. 2005. Free choiceness and non-individuation. *Linguistics and Philosophy* 28: 1-71.
91. O. Jespersen, *The Philosophy of Grammar*, London: George Allen and Urwin, 1924.
92. O. Jespersen, *Negation in English and other Languages*, KØBENHAVN, Blanco Lunos Bogtrykkrti, 1917;
93. Nirit Kadmon and Fred Landman (1993), *Any*. *Linguistics and Philosophy* 16:353-422.
94. P. Kahrel, *Aspects of negation*. PhD dissertation, The Netherlands: University of Amsterdam, 1996.
95. E.S. Klima, 1964. 'Negation in English.' In: *The structure of language: Readings in the philosophy of language*, ed. by J.A. Fodor & J.J. Katz, 246-323. Englewood Cliffs, N.J.: Prentice Hall; pp. 246-323, 1964
96. A. Knott, and T. Sanders, 'The classification of coherence relations and their linguistic markers: An exploration of two languages'. *Journal of Pragmatics*. 30, 135-175, 1998.
97. M. Krifka, 'Polarity Phenomena and Alternative Semantics', in Martin Stokhof and Leen Torenvliet (eds.), *Proceedings of the 7th Amsterdam Colloquium*, Amsterdam, ITLI, 277-302, 1990.
98. W. Labov, *Negative attraction and negative concord in English grammar*, *Language* 48, 1972, pp. 773-818.
99. W. Ladusaw, *Polarity Sensitivity as Inherent Scope Relations*. Ph.D. Dissertation, University of Texas, 1979.
100. W. Ladusaw, *Polarity Sensitivity as Inherent Scope Relations*. Garland, NY, 1980.

101. W. Ladusaw, Expressing negation, Proceedings of SALT 2, Columbus: Ohio State University, 237-259, 1992
102. D. Levinson, Licensing of Negative Polarity Particles yet, anymore, either and neither: combining downward monotonisity and assertivity, Dissertation, Stenford University, 2008.
103. D. Levinson, Negative Polarity Particles and Semantic Negativity, dissertation proposal, 2007.
104. D. Levinson Licensing of negative polarity particles yet, anymore, either and neither: combining downward monotonicity and assertivity, Dissertation; 2008.
105. Lee, Young-Suk and Laurence Horn. 1994. Any as indefinite+ even. MS, Yale University.
106. M. C. Linebarger, The Grammar of Negative Polarity, Ph.D. Dissertation, MIT, Cambridge, MA, 1980.
107. Leech, Geoffrey, Svartvik, Jan, A communicative grammar of English; Addison Wesley Longman, 1994.
108. De Mey's, Sjaak, Determiner logic or the grammar of the NP. Groningen dissertation, 1990.
109. Miestamo, Matti, Clausal Negation: A Typological Study. Ph.D. Dissertation, University of Helsinki, 2003.
110. Muntaña, Susagna Tubau, Negative Concord in English and Romance: Syntax-Morphology Interface Conditions on the Expression of Negation, Academisch Proefschrift, 2008.
111. O. Nilsen, Eliminating Positions. PhD thesis. University of Utrecht, 2003.
112. Dahl, Östen, Typology of sentence negation, Linguistics 17: 79-106, 1979.
113. J.O. Östman, 'The symbiotic relationship between pragmatic particles and impromptu speech'. In N.E. Enkuist, (ed.) Impromptu Speech: A Symposium 78, pp. 147-77. Abo Akademi, 1982.
114. J.O. Östman, 'Pragmatic particles twenty years after'. In B. Warvik, S.-K. Tanskanen, & R. Hiltunen (eds). Organisation in discourse. Proceedings from the Turku Conference. University of Turku, Turku, Finland, 1995, pp. 95-108.
115. A. Pagano, Negatives in Written Text. In Coulthard (ed.), 1994, pp. 250-265.

116. J.R. Payne, 'Negation.' In: *Language typology and syntactic description*, ed. by T. Shopen, vol. 1, 197-242. Cambridge: Cambridge UP; 1985.
117. Ingo Plag, *Word-Formation in English*, Cambridge University Press, 2002.
118. Ingo Plag, *Word-Formation in English*, Cambridge University Press, 2003.
119. L. Progovac, *Negative and Positive Polarity: A Binding Approach*, Cambridge University Press, 1994.
120. Quirk, Randoff, Greenbaum, Sidney, *A University Grammar of English*, London: Longman. 1976.
121. Quirk, Randoff, S. Greenbaum, G. Leech, and J. Svartvik. *A Comprehensive Grammar of the English Language*. London: Longman. 1985.
122. On the notion "affective" in the analysis of negative polarity items. *Journal of Linguistic Research* 1:1-16. Reprinted in Portner and Partee, 2002, pp. 457-470.
123. Rizzi, Luigi, *Residual verb second and the wh-criterion*, ms., University of Geneva, 1991
124. Rullman, Hotze and Hoeksema, Jack, *Scalarity and polarity: A Study of Scalar Adverbs as Polarity Items*, in: Jack Hoeksema, Hotze Rullmann, Victor Sanchez-Valencia and
125. W. S. Smith, and Jucker, A. H., 'Discourse Markers as Turns: Evidence for the role of intersubjectivity in interactional sequences'. In Fetzer, Anita, Meierkord, Christiane. *Rethinking Sequentiality: Linguistics meets conversational interaction*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins, 2002, pp. 158-178.
126. R. Van der Sandt. *Denial and Presupposition*. In Kühnlein P & Zeevat H (eds.) *Perspectives on dialogue in the new millennium*. Amsterdam: John Benjamins, 2003.
127. D. Schiffrin, *Discourse Markers*. Cambridge: Cambridge University Press, 1987.
128. Schourup, Lawrence C. *Common discourse particles in English conversation*. New York and London: Garland Press, 1985.
129. J. R. Searle, *A Classification of Illocutionary Acts*, *Language in Society*, Vol. 5, No. 1, pp. 1-23, Published by: Cambridge University Press, 1976.
130. J. R. Searle, *Expression and Meaning, Studies in the Theory of Speech Acts*, Cambridge University Press, 1979.
131. J. R. Searle, *Mind, Language and Society. Philosophy in the Real World*, New York: Basic Books, 1999.

132. A. M. Pieter Seuren, presupposition and Negation, *A View of Language*, Oxford University Press, 2001, pp. 333-383.
133. D. Alan Solomon, *The Essentials of Boolean Algebra*, Research and Education Association, Piscataway, New Jersey, 1990.
134. A. Szabolcsi, Positive polarity-Negative polarity. *Natural Language and Linguistic Theory* 22.409-452, 2004.
135. G. Tottie, *Negation in English Speech and Writing: a Study in Variation*. New York: Academic Press, INC, 1991.
136. E.C. Traugott, 'The rhetoric of counter-expectation in semantic change: A study in subjectification'. In Koch, P. And A. Blank (eds). *Historical semantics and cognition*. Berlin & New York: Mouton de Gruyter, 1999.
137. A. Werle, *A typology of negative indefinites*, University of Massachusetts, Amherst, 2002.
138. A. Wierzbicka, 'Particles and Linguistic Relativity'. *International Review of Slavic Linguistics*, vol.1, no.2-3, 327-367, languages', *Journal of Pragmatics*. 30, 135-175, 1976.
139. L. Wittgenstein, *Philosophical Investigations*, Basil Blackwell Ltd, 1963.
140. T. Wouden, *Negative contexts*. PhD diss, University of Groningen, 1994.
141. T. Wouden, *Negative contexts: collocation, polarity and multiple negation*, London: Routledge. 1997.
142. T. Wouden (eds.), *Perspectives on Negation and Polarity Items*, Amsterdam: John Benjamins, 2001, pp. 129-171.
143. T. Wouden and F. Zwarts, A semantic analysis of negative concord. In: U. Lahiri and A. Wyner (eds.), *SALT III: Proceedings of the Third Conference on Semantics and Linguistic Theory* (pp. 202-219). Ithaca, New York: Cornell University; 1993.
144. K. Yasuhiko. "Interpretive asymmetries in negation," In Horn & Kato, eds., pp. 62-87, 2000.
145. R. Zanuttini, *Syntactic properties of sentential negation. A comparative study of Romance languages*. University of Pennsylvania dissertation, 1991.
146. H. Zeijlstra, *Sentential Negation and Negative Concord*, PhD Dissertation, University of Amsterdam, Utrecht: LOT Publications, 2004.

147. H. Zeijlstra, Negation in Natural Language: On the Form and Meaning of Negative Elements, University of Amsterdam, Language and Linguistic Compass 08/2007; 1(5):498-518.
148. E. Zimmer, Karl, English Word-Formation: A History of Research, 1960-1995, by Pavol Štekauer, Gunter Narr Tübingen, 2000.
149. F. Zwarts, Categorical grammatica en algebraïsche semantiek: een studie naar negatie en polariteit in het Nederlands, PhD diss. Groningen University, 1986.
150. F. Zwarts, Non-veridical contexts, Linguistic Analysis 25, 286-312. 1995.
151. F. Zwarts, "Three Types of Polarity." In Plural Quantification, F. Hamm& E. Hinrichs, eds., Foris: Dordrecht, 1996a.
152. F. Zwarts,. "A Hierarchy of Negative Expressions." In H. Wansing, ed., Negation: A Notion in Focus, Berlin and New York: Walter de Gruyter. 1996b 169-194.
153. Аристотель, Соч. в 4-х т., т.1, Москва, 1976.
154. Аристотель, Соч. в 4-х т., т.2, Москва, 1978.
155. И. В. Арнольд, Лексикология современного английского языка, Высш. шк., Москва, 1986.
156. В.Н. Бондаренко, Отрицание как логико-грамматическая категория, Наука, Москва, 1983.
157. А. И. Гальперин, Очерки по стилистике английского языка, Издательство литературы на иностранных языках, Москва, 1958.
158. Е. Падучева, Отрицание, Лингвистический Энциклопедический Словарь, Советская Энциклопедия, Москва, 1990.
159. <http://iness.uib.no/gekko/concordance>

წყაროები:

1. თ. დოლენჯაშვილი, ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე, 2005.
2. გ. დოჩანაშვილი, გამსვლელი პაიკი, მოთხრობები, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1976.
3. ე. ა. პო, ოვალური სურათი, (მთარგმნელი ზ. კილაძე), საუნჯე აშშN 0134-9848, თბილისი, 1985/4, გვ. 193,
4. ჯ. სელინჯერი, თამაში ჭვავის ყანაში, (მთარგმნელი ვ. ჭელიძე), ნაკადული, თბილისი, 1969.
5. ჯ. სელინჯერი, ბანანა თევზის ამინდი, (მთარგმნელი ვ. ჭელიძე) ნაკადული, თბილისი, 1969.
6. ჯ. სელინჯერი, - ჩემი მწვანე თვალები და ლამაზი ტუჩები, (მთარგმნელი ვ. ჭელიძე), ნაკადული, თბილისი, 1969.
7. ა. სულაკაური, პაწაწინა ნიგვზის ტოტი, თხზულებანი, ტ. I, მერანი, თბილისი, 1997.
8. გ. შატბერაშვილის, მკვდრის მზე, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1985
9. ა. ჩხიკვიშვილი, თოვლი, გამომცემლობა მერანი, თბილისი, 1978.
10. მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი ექვს ტომად. I ტომი. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1958, გვ. 51.
11. კ. ჯანდიერი, საოჯახო ქრონიკა, მერანი, თბილისი, 1995.

12. ჯერომ ჯერომი, სამნი ერთ ნავში (მთარგმნელი ს. გახოკიძე), ნაკადული, თბილისი, 1960.
13. ჯ. ჯოისი, ეველინი, დუბლინელები (მთარგანელი ლ. იმერლიშვილი), საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1984.
14. ე. ჰემინგუეი, მოთხრობები, თბილისი, 2011.
15. ლ. კეროლი, ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში, „კალთა“, თბილისი, 1997.
16. დ. კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი, მერანი, თბილისი, 1989.
17. ს. მოემი, მთვარე და ექვსპენიანი, საქართველოს მაცნე, თბილისი, 2009.
18. T. Dolenjashvili, Fidal or Amina from Three to Five, P.S Literature. Tbilisi. 2006.
19. E. Hemingway, The snows of Kilimanjaro, Modern American Short Stories, Foreign Languages Publishing House, Moscow, 1963.
20. E. Hemongway, A Clean, Well-Lighted Place, The Complete Short Stories, Scribner, New York, 2003.
21. E. Hemingway, The Old Man and the Sea, Scribner, New York, 2003.
22. J. Joyce – Dubliners, “Прогресс”, Москва, 1982.
23. M. Javakhishvili The Devil’s Stone. 12 Short stories. Shemetsneba Publishing House. Tbilisi, 2009.
24. Jandieri K. Family Chronicle. P.S Literature. Tbilisi.
25. Jerome K. Jerome, Three Man in a Boat, Moscow, Progress Publishers, 1964.
26. L. Carrol, Alice’s Adventures in Wonderland, Wordsworth Classics, 1993.
27. E. A. Poe, The Oval Portrate, Tales, Raduga Publishers, Moscow, 2001.
28. D. Kldiashvili Samanishvili’s Stepmother. New Century. 3’2003. ‘Saari’. Tbilisi. 2003.
29. S. Maugham, The Moon and Sixpence, Serenity Publishers, 2009
30. G. Shatberashvili The Sun for the Dead, Ganatleba Publishers, Tbilisi. 1978.
31. J.D. Salinger, The Perfect Day for Bananafish, Nine Stories, Moscow, Progress Publishers, 1979.
32. J.D. Salinger, The Catcher in the Rey, Moscow, Progress Publishers, 1979.
33. J. Salinger, Nine stories, Moscow, Progress Publishers, 1982.